საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№42 (513)
20 - 26 ნოემბერი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ერდოღანი პუტინს ანგარიშს ჩააბარებს 14



# ნაცების გვერდით დგომა ნეხვში ფეხის ჩადგმაზე უარესი არ არის? 3



## «ქართული ოცნების» ხელისუფლება შესაცვლელია, მაგრამ არა ბოკერია-სააკაშვილებით 6



გულბაათ რცხილაძე:

## ეს ვითომ პროტესტი არის აგრესიული პოლიტიკური ძალების რევანშის მცდელობა 2



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## მაშინ რატომ არ დატოვეს ბუნდი, როცა «ქართულმა ოცნებამ» არც ერთი დაპირება არ შეასრულა? ეს რა, ხალხის მოტყუება არ არის? 5

## გვჭირდება 150 დეპუტატი? 7



## ვინ არის დაინტერესებული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით? 9





## გაქნილი კანონიერი ქურდების ნაცვლად აშშ-ში ქურდბაცაცების წვრილფეხობა გამოდის 15



## შემდეგი ნაბიჯი მართლმადიდებლური კულტურის მქონე ხალხების განადგურება იქნება 11

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკრაინისგან განსხვავებით საქართველოში დესტრუქციულ ძალებს ფართო საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ. ვერ გამოყავათ ხალხი და ვერ ამწვავებენ ვითარებას საკმარისად, იმიტომ, რომ მოსახლეობა უკვე კარგადაა პოლიტიკურ ნიუანსებში გათვითცნობიერებული. სხვა დანარჩენს, ხვალ რა იქნება და ზეგ რა მოვლენებს ვიხილავთ, პროცესების დინამიკა გვიჩვენებს“.**



## გულბაათ რცხილაძე:

# ეს ვითომ პროტესტი არის აგრესიული პოლიტიკური ძალების რევანშის მცდელობა

**რამდენიმე დღის წინათ ატლანტიკური საბჭოს მკვლევარმა და ამერიკის გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან დაახლოებულმა ანალიტიკოსმა არიელ კოენმა, რომელიც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების აქტიური მომხრეა, მედიასთან საერთაშორისო უსაფრთხოების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამ თვალსაზრისით ალიანსისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კავკასიის რეგიონი უნდა იყოს. მისი თქმით, თუ შეერთებული შტატები და ნატო გააძლიერებენ კავკასიასა და შავ ზღვაში ყოფნას, რაც საქართველოსთან სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებაშიც უნდა გამოიხატებოდეს, ეს „ძლიერი სიგნალი იქნება მტრებისთვის: „საქართველო წარმოადგენს კავკასიონის კარიბჭეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომელიც აკონტროლებს რუსეთის წვდომას ირანსა და სომხეთთან. საქართველო არის ნათელი მაგალითი იმისა, რა როლი შეუძლია შეიტანონ პატარა ქვეყნებმა გლობალური უსაფრთხოების საკითხებში, რაც ხანდახან ვაშინგტონს ავიწყდება...“**

კოენის განმარტებით, საქართველო მნიშვნელოვანი ქვეყანაა მისი პორტების გათვალისწინებით, რაც, ერთი მხრივ, სერიოზულ ბერკეტებს ქმნის რეგიონის სტაბილურობისთვის და, მეორე მხრივ, დასავლეთისთვის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გაკონტროლების შესაძლებლობას იძლევა: „საქართველოს თავისი პორტებით ბათუმში, ფოთსა და ანაკლიაში, რომელიც ახლა შენდება, შეუძლია, უდიდესი როლი ითამაშოს შავი ზღვის უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარებაში...“ თუმცა განცხადებაში მკვლევარი არ აკონკრეტებს, რას გულისხმობს ამ „უსაფრთხოების სტრატეგიაში“ ან რაში ხედავს პორტების მნიშვნელობას და განსაკუთრებით ანაკლიის მშენებარე პორტის დანიშნულებას „რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების გაკონტროლებაში“.

**ცნობისთვის:** თავის დროზე, როცა ანაკლიის პორტის მშენებლობის საკითხი აქტიურად დადგა და მწვავე პოლიტიკური განხილვის საგანი შეიქნა, როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე ამერიკელი დიპლომატები და ნატოს წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ ეს პროექტი მხოლოდ კომერციულია და რუსეთის სტრატეგიული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი არ იყო (თუ კომერციულია, რა ესაქმებათ და მით უმეტეს ნატო-ს, სამხედრო ბლოკს?). მსგავსი შინაარსის პოლიტიკური გზავნილები კრემლის მისამართით საერთაშორისო ტრიბუნებიდანაც ისმოდა, თუმცა ოფიციალური მოსკოვისთვის ამ განცხადებებს, ბუნებრივია, დამაჯერებლობა აკლდა და ქვეყანაში ნატოს ძალების თუნდაც მინიმალური წარმომადგენლობით შემოყვანის მცდელობაზეც კი ჩრდილოელ მეზობელს უმწვავესი დიპლომატიური რეაქცია ჰქონდა.

**საქართველოსთვის რა საფრთხეებს შეიძლება შეიცავდეს შავ ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის გაძლიერების მცდელობა და რას ნიშნავს ამერიკელი ანალიტიკოსის შეფასება ანაკლიის მშენებარე პორტის მნიშვნელობაზე? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე.**

**— ბატონო გულბაათ, თუ ამერიკელ მკვლევარსა და ანალიტიკოს არიელ კოენს დავუჯერებთ, საქართველო, როგორც ამერიკისა და ნატოს მოკავშირე სახელმწიფო, სტრატეგიული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების ასაცილებლად. მისი თქმით, ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქვეყნის პორტებია, მათ შორის, საუბარი ანაკლიის მშენებარე პორტზეც იყო. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება, რეალურად იგულისხმებოდეს ამ შეფასებაში?**

— ის, რომ საქართველოს და მთლიანად კავკასიას გარკვეული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს დასავლეთისთვის, არახალია და დღეს ამას ძალიან იტყვის თუ სხვა რომელიმე წარმომადგენელი ამერიკული ლობისტური წრეებისა, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ბოლო პერიოდში ვაშინგტონმა გარკვეული პოზიციები დათმო, სტრატეგიულ კომპრომისზე წავიდა და, უწინარესად, ეს შავი ზღვის რეგიონს ეხება...

**— კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს კომპრომისი?**

— უწინარესად, მხედველობაში მაქვს ის, რომ ყირიმი შეუერთდა რუსეთს, რითაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ რეალობაში და პროცესების დინამიკამაც სხვა ხასიათი მიიღო. სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ერთი განცხადება, რომელიც ამ დღეებში ამერიკის სახელმწიფო მდივანმა **მაიკ პომპეომ** გააკეთა, მან განაცხადა, რომ გოლანის სიმაღლეებს აღიარებენ ისრაელის ნაწილად, განსხვავებით ყირიმისგან, რომელიც თურმე სულ სხვა ვითარებაა და სხვა რეალობა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს „ლოგიკა“ აბსოლუტურად დაუსაბუთებელია და ყველამ იცის, რომ არანაირი ისტორია ებრაულ სახელმწიფოს არ აკავშირებს გოლანის სიმაღლეებთან, რომელიც სირიის კუთვნილებაა; ყირიმი კი 1783 წლიდან რუსეთის შემადგენელი ნაწილია, სხვათა შორის, სრულიად სამართლიანად და კანონიერად, იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ სახელმწიფოებს შორის შეთანხმება შედგა და სულთანმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, ეს ტერიტორია ოფიციალურად რუსეთს გადაეცა. **რაც შეეხება ისევ იმ ცნობილ დასავლურ რეაქციულ რიტორიკას, რომ ნატო უნდა გაძლიერდეს შავ ზღვაზე და ამით თავიდან აიცილოს რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები, ჯერ ის ვთქვათ, რომ დასავლეთში უკვე აღარ არსებობს ერთიანი აზრი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიაზე და ამის ნათელი მაგალითია საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის ღია პოზიცია (და მერკელის ცოტათი მდუმარე თანხმობა) უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.** მეორე — თურქეთი, მართალია, ნატოს წევრია, მაგრამ რუსეთთან პირდაპირი თანამშრომლობის პარალელურად მას ბევრი რამ აქვს გასარკვევი ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ის ფაქტი, რომ გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში დაუფარავად საუბრობენ პოზიციების გაძლიერებაზე, მათ შორის, რუსეთისა და თურქეთის გავლენების არეალში, პირდაპირ მიანიშნებს იმ შეშფოთებაზე, რომელიც ოკეანის გაღმა არსებობს თუნდაც ამ ორ ქვეყანას შორის ბოლო პერიოდში დამთბარი ურთიერთობების გამო, მაგრამ ეს დიდი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და ამ პროცესებს ჩვენ სუბიექტურად არ უნდა შევხედოთ. საქართველოს რაც შეეხება, უნდა გვესმოდეს და, უწინარესად, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდა ესმოდეს ერთი რამ: **ნებისმიერი საუბარი, ნებისმიერი განცხადება თუ მინიშნება საქართველოს მნიშვნელობაზე რუსეთისგან მომდინარე საფრთხეების ასაცილებლად, ნიშნავს ჩვენი ქვეყნის გამოყენებას პლაცდარმად. ის ზესახელმწიფო, რომლის ხელმძღვანელობაც აცხადებს, რომ საქართველო მნიშვნელოვანი სახელმწიფოა რომელიმე სხვა ქვეყნიდან მომდინარე საფრთხეების გასანეიტრალებლად, პრაქტიკულად ამბობს, რომ საქართველო უნდა იყოს ინტერესთა შეჯახების, დაპირისპირების არეალი.** ახლა ვიღაც იტყვის, რომ ჩვენ ყოველთვის რომელიმე პოლიტიკურ ორბიტაზე უნდა ვიყოთ და ამ ორბიტაზე ყოფნა გარკვეულ პოლიტიკურ მსხვერპლსაც მოითხოვსო, მაგრამ, თუ ვინმე მეტყვის, პოტენციური საფრთხეების საპირწონედ რა უმეტეს სარგებელს იღებს საქართველო მწვავე ანტირუსულ პროვოკაციულ ორბიტაზე ყოფნით და პოლიტიკური გამლიზიანებლის როლის შესრულებით, დავეთანხმები, მაგრამ მსგავსი არგუმენტი ბუნებაში არ არსებობს...

**«მოტყუება და «გადაგდება» თუ ეთაკილებოდათ, 7 წლის წინათ ამოეღოთ ხმა და მაშინ წასულიყვნენ უმრავლესობიდან, როცა ხელისუფლებამ სრულიად საქართველო «გადააგდო» მთავარი წინასაარჩევნო დაპირების არ თუ ვერ შესრულებით სამართლიანობის აღდგენაზე»**

**— თქვენი აზრით, რა პოზიცია უნდა დაიკავოს საქართველომ ამ ვითარებაში?**

— ყოველ შემთხვევაში დღეს ერთი რამ ნათელია და, მგონი, ამაზე ყველა ვთანხმდებით: რა საერთაშორისო პოლიტიკური წნეხის ქვეშაც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, რა ზეწოლაც და გავლენებიც არ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაზე, **არ უნდა ჩავერთოთ არანაირ ავანტიურაში, არ უნდა გავხდეთ ბრმა იარაღი რომელიმე ზესახელმწიფოსი, რომელმაც რაღაც გავლენები დაკარგა და ახლა მის დაბრუნებას ცდილობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი აქ დაიწყება კიდევ დამატებით რამე სახის თანამშრომლობა დესტრუქციულ ძალებთან, რომლებიც რუსეთს მუდმივად უკირკიტებენ, რუსეთი იძულებული იქნება, მიიღოს გადამწყვეტი ზომები. კიდევ ვიმეორებ: ეს იქნება პრევენციული მოქმედებები და ნებისმიერი სახელმწიფოებრივი საფრთხის შემთხვევაში კრემლს ექნება უმკაცრესი რეაქცია, რაც სავსებით ლოგიკურია.**

**— ბოლო პერიოდში თბილისში განვითარებულ მოვლენებზეც შეგეკითხებით. უკვე რამდენიმე დღეა, რუსთაველის გამზირზე ლიბერალური პოლიტიკური ისტებლიშმენტის გარშემო გაერთიანებული ადამიანების აქციები გრძელდება. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურება რეალურად ეს ყველაფერი? არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეულ ძალებს კიევის ევრომაიდნის მსგავსი დაპირისპირების მოწყობა სურთ.**

— აქციების შესახებ მოკლედ ვიტყვი: „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი ანასხლეტების გაკონტროლებული ლიბერალური მედია ცდილობს, ისე წარმოაჩინოს ეს პროცესები, თითქოს **ივანიშვილმა** ხალხი მოატყუა და „გადააგდო“. რეალურად ხდება რა — **ხელისუფლებამ არ შეასრულა დაპირება, რომლითაც თავის დროზე ვითომ გავრილოვის საქართველოში ვიზიტით შეშფოთებული აგრესიული „ლიბერალური“ უმცირესობა დააცხრო და გაუშვა სახლებში.** მარტივად რომ ვთქვათ, **ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში თვალყურს ვადევნებთ, არის არა საერთო სახალხო მღელვარება, არამედ მღელვარება რევანშისტული პოლიტიკური ძალების გარშემო გაერთიანებული მცირერიცხოვანი აგრესიული ჯგუფებისა, რომელთა რეალური მიზნებისა და ამოცანების იდენტიფიცირებაც ამ დღეებში მოხდა.** მხედველობაში მაქვს ის, რომ ამ აქციებზე უკვე ღიად გაკეთდა რამდენიმე განცხადება შესაძლო რევოლუციურ სცენარზე. რაც შეეხება ევრომაიდნის საფრთხეს, მოგვწონს თუ არა, ერთი რამ ფაქტია და ამას ყველა ხედავს: **არსებობს გარკვეული რეაქციული ძალები დასავლეთში, რომლებსაც სურთ საქართველოს ხელახლა რადიკალიზაცია რუსეთის წინააღმდეგ. მათ მიაჩნიათ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ თვალსაზრისით საკმარისად ეფექტიანი ვერ არის. აი, ამ ძალებისგან, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია სერიოზული ჩარევა აქ მიმდინარე პროცესებში და, თუ ისინი ამაში რამე რეალურ პერსპექტივას დაინახავენ, ცხადია, უარს არ იტყვიან.** თუმცა აქ არის ერთი მომენტიც, რომელიც მათთვის ყველაზე დიდი ხელის შემშლელი ფაქტორია: **უკრაინისგან განსხვავებით საქართველოში დესტრუქციულ ძალებს ფართო საზოგადოების მხარდაჭერა არ აქვთ. ვერ გამოყავათ ხალხი და ვერ ამწვავებენ ვითარებას საკმარისად, იმიტომ, რომ მოსახლეობა უკვე კარგადაა პოლიტიკურ ნიუანსებში გათვითცნობიერებული. სხვა დანარჩენს, ხვალ რა იქნება და ზეგ რა მოვლენებს ვიხილავთ, პროცესების დინამიკა გვიჩვენებს.**

რაც შეეხება უმრავლესობიდან წასული დეპუტატების განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ხალხის „გადამგდებ“ ხელისუფლებაში ვერ დარჩებოდნენ, ჩემთვის ეს სასაცილო არგუმენტია. მოტყუება და „გადაგდება“ თუ ეთაკილებოდათ, 7 წლის წინათ ამოეღოთ ხმა და მაშინ წასულიყვნენ უმრავლესობიდან, როცა ხელისუფლებამ სრულიად საქართველო „გადააგდო“ მთავარი წინასაარჩევნო დაპირების არ თუ ვერ შესრულებით სამართლიანობის აღდგენაზე...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

როდესაც ხალხი მხარს გიჭერს და მასის კრიტიკულ რაოდენობას მართავ, შეიძლება პარლამენტიც დალუქო და „ზამთრის სასახლეც“ აიღო შტურმით — ამას საერთო სახალხო აჯანყება და რევოლუცია ეწოდება, მაგრამ, როდესაც ლამის ერთი კვირა დგახარ ქუჩაში და 2 ათასზე მეტ ადამიანს ვერ აჩერებ საპროტესტო აქციაზე 2 საათზე მეტხანს, ასეთ შემთხვევებში ეს ქმედებები, „რევოლუცია“ კი არა, ერთი ადგილის თამაში და უბრალო ხულიგნობაა.



ბაქურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნაცების გვერდით დგომა ნეხვში ფეხის ჩადგმაზე უარესი არ არის?

## ქართველი «თომას ჯეფერსონების» პოლიტიკური მედიაკრიზისი

**18 ნოემბერს თბილისში ისეთი ამბები მოხდა, რომ ამ სტატიის თავდაპირველად ჩაფიქრებული მთავარი ხაზი ამ მოვლენებმა დიდწილად შემაცვლევინა. ზოგადი პოლიტიკური ანალიზი, რატომ გადაწყვიტა ბიძინა ივანიშვილმა, რომ მხოლოდ პროპორციული წესით არჩევნების ჩატარების დაპირება გადაეთქვა, რამ განაპირობა მისი ასეთი საქციელი, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარც აქვს, რადგან ე.წ. ოპოზიციის საქციელი ნებისმიერ შემთხვევაში ყველა დასაშვებ ზღვარს გასცდა და სახელმწიფომაც და საზოგადოებამაც, ვფიქრობ, ახლა იმაზე უნდა იფიქროს, როგორ დააზღვიოს ეს ქვეყანა ამ ფსიქიკურად შეშლილი მანიაკების მიერ დაქცევისა და საბოლოო დანგრევისგან.**







**მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია და მისი ბელადი ბიძინა ივანიშვილი, საერთო ჯამში, არ მოიქცა სწორად და არ შეასრულა სახალხოდ დადებული პირობა, ქუჩაში 1000-მდე ადამიანის დგომას არ შეიძლება «პოლიტიკური კრიზისი» დაერქვას და თანაც «მძიმე»**

ნუ გაგელიმებათ, საქმე მართლაც სერიოზული ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანებთან გვაქვს. ყოველ მათგანს თავი, სულ ცოტა, **თომას ჯეფერსონი** ჰგონია, ზუსტად ისევე, როგორც ფსიქიატრიული საავადმყოფოს პაციენტების ნახევარს — **ნაპოლეონი, სტალინი** ან **ალექსანდრე მაკედონელი.**

ლოზუნგები და მოწოდებები, იცოცხლე, — „სამართლიანი სახელმწიფოს აშენების“, „საყოველთაო სახალხო მმართველობის“, „რუსი ოლიგარქის ტირანიის დამხობისა“ და სხვა სიკეთეების შესახებ... **ნოდარ დუმბაძეს** ასეთი „ბელადებისთვის“ უკვე აქვს გაცემული პასუხი თავის რომანში „თეთრი ბაირაღები“. თუ გახსოვთ, იქ პატიმარი **გამცემლიძე** პათეტიკურად წარმოთქვამს **„ადამიანის გონებაზე ძალადობის ნებისმიერი ფორმით გამოვლინების დაუძინებელი მტერი ვიქნები მუდამ! ამას ამბობდა ამერიკული დემოკრატიის მამა თომას ჯეფერსონი და მეც ვიმეორებ ამას!“,** რაზეც პატიმარმა ჭიჭიკო გოგოლმა მოგვიანებით უპასუხა: **„გამცემლიძე, თომას ჯეფერსონი მაგას რომ ამბობდა, 10 მილიონი ადამიანი მხარს უჭერდა და ერთი იმდენი ჯარი ჰყავდა კიდევ!“**

სწორედ ასეა დღევანდელი ქართველი „თომას ჯეფერსონების“ საქმე, რომლებსაც „არგუმენტად“ აუჩემებიათ, რომ მათი მოთხოვნები არის „სამართლიანი“ და ამის საფუძველზე ჯაჭვებსა და ბოქლომებს ადებენ საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, უშიშროების სამსახურისა და სხვა უმნიშვნელოვანესი შენობების კარებს.

კი, ბატონო, **როდესაც ხალხი მხარს გიჭერს და მასის კრიტიკულ რაოდენობას მართავ, შეიძლება პარლამენტიც დალუქო და „ზამთრის სასახლეც“ აიღო შტურმით — ამას საერთო სახალხო აჯანყება და რევოლუცია ეწოდება, მაგრამ, როდესაც ლამის ერთი კვირა დგახარ ქუჩაში და 2 ათასზე მეტ ადამიანს ვერ აჩერებ საპროტესტო აქციაზე 2 საათზე მეტხანს, ასეთ შემთხვევებში ეს ქმედებები, „რევოლუცია“ კი არა, ერთი ადგილის თამაში და უბრალო ხულიგნობაა.**

ამიტომაც ტრაგიკომიკურია ქართული მედიის, განსაკუთრებით — ტელევიზიების, პანიკური ტონი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში თურმე „მძიმე პოლიტიკური კრიზისია“. **მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია და მისი ბელადი ბიძინა ივანიშვილი, საერთო ჯამში, არ მოიქცა სწორად და არ შეასრულა სახალხოდ დადებული პირობა, ქუჩაში 1000-მდე ადამიანის დგომას არ შეიძლება „პოლიტიკური კრიზისი“ დაერქვას და თანაც „მძიმე“.**

**ეს უფრო მედიის მიერ ხელოვნურად შექმნილი „კრიზისია“, უფრო ზუსტად, ვითარების კრიზისად წარმოჩენის უსუსური მცდელობა. ასეთი მოპანიკე მედიის ბაირახტარი, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ინგა გრიგოლია-ნინო ჟიჟილაშვილი-ვახო სანაიას ტრიოა.** ისინი 18 ნოემბერს მთელი დღის განმავლობაში გაიძახოდნენ: „რა ფასი აქვს დეპუტატობას, თუკი პარლამენტის შენობაში სპეცრაზმის დახმარების გარეშე ვერ შედიხარ?!“ ეს ფრაზა, გარდა ჟურნალისტური ელემენტარული ეთიკის დარღვევისა (რაღაც შტერული „ქარტიის“ სულელურ მუხლებს არ ვგულისხმობ, ზოგად ეთიკასა და მორალზე ვლაპარაკობ), ელემენტარული თაღლითობის ნიმუშიც არის, რადგან მის მომსმენს ეგონება, არიქა, ერი და ჯამაათი არ უშვებდა დეპუტატებს პარლამენტის შენობაში და სპეცრაზმმა შეიყვანაო... არადა, **აქ საუბარია 40-მდე მოსყიდულ მიშისტ აქტივისტზე, რომლებმაც პარლამენტის შესასვლელ კარებს ბოქლომები დაადეს და ჯაჭვები შემოახვიეს, ხოლო 40-50 მოსყიდული „პოლიტიკურად ნეიტრალური ახალგაზრდა“ ყოველთვის და ნებისმიერი მთავრობის პირობებში მოიძებნება გარკვეული დესტრუქციული ქმედებების განსახორციელებლად.** სხვათა შორის სოციალურ ქსელში გავრცელდა სწორედ ამ ახალგაზრდების ფოტოები, რომლებზეც ისინი თავიანთ ბელად **მიშა სააკაშვილთან** ჩახუტებული არიან გადაღებული. ფაქტია, რომ **„პოლიტიკურად ნეიტრალური ახალგაზრდული მოძრაობა“,** როგორც ამას სწორედ ინგა გრიგოლია ხშირად იმეორებდა ეთერში, სინამდვილეში მიშა სააკაშვილის ფანატი გოგო-ბიჭები იყვნენ, თანაც არც ისე ძალიან ახალგაზრდები. საყურადღებოა ისიც, რომ მიმდინარე აქციის ამსახველ კადრებში ყველა ეს მიშისტი გოგო-ბიჭი იმ მომენტში არიან გადაღებულნი, როცა მათ ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტი კომენტარს ართმევს.

„აი, მოდი, ახლა რომელიმე ახალგაზრდას ვკითხოთ თავისი აზრი,“ — ეს ფრაზა მხოლოდ მაყურებელთა თვალის ასახვევად იყო ხოლმე ნათქვამი და სინამდვილეში ტელეკომპანია „პირველის“ ჯგუფები აშკარად ამ მიშისტ ახალგაზრდებთან ერთად იყვნენ „ნატრენინგები“ და სახეზეც ცნობდნენ მათ. ფაქტია, რომ „პირველის“ ჟურნალისტებს ჰქონდათ ბრძანება პატრონებისგან, ვინ უნდა გაეჩერებინათ, ვისთვის ეთხოვათ კომენტარი, „შემთხვევითი რესპონდენტების“ მხრიდან კი იწყებოდა მიშასგან დარიგებული ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების რახარუხი.

ასე იწრთობოდა „პოლიტიკური კრიზისი“, თუმცა, რა თქმა უნდა, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა „არასერიოზული კაცისა“ არ იყოს, რადგან 500-კაციანი, თუნდაც 1000 და თუნდაც 2-ათასკაციანი „რევოლუცია“ არსად არასოდეს მომხდარა და ვერც მოხდება.

სულ ტყუილად ეჭიდებიან ეს ე.წ. ოპოზიციონერები უკანასკნელ ხავსს და განწირული ხმით ხავიან, — რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობაო. ამ ტრენდის დამკვიდრებას მას შემდეგ ცდილობენ, რაც თვალნათლივ დაინახეს, რომ, კრიტიკული მასის კი არა, მეტ-ნაკლებად თვალში მოსახვედრი რაოდენობის ხალხიც კი არ აჰყვათ.

არადა, რეალურად, **სწორედ რაოდენობას აქვს მნიშვნელობა და სხვას არაფერს. მოთხოვნები ძალიან სამართლიანი და მართებულიც რომ იყოს, თუ მას მხარს არ უჭერს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა, შენი მოთხოვნებიანად უნდა აიკრა გუდა-ნაბადი და გზას ეწიო!**

დარიგებები, რომ „ბიძინა გვიბიძგებს ნეხვში ფეხის ჩადგმისკენ“, რომ „ბიძინა ცუდია, ხიხიაა და გამოვფხიზლდეთ“, გასაგებია, მაგრამ, თუ ადამიანების დიდ ნაწილს არ სურს გამოფხიზლება, არ გამოფხიზლდება და მორჩა!

„უნდა დაასაქმებინოთ თავზე ბიძინას?“ — ასეთი ფრაზაც მოვისმინე ამ დღეებში. პასუხი მარტივია: — კი! თუკი მოსახლეობის დიდ ნაწილს ეს გვსურს, დავასაქმებინებთ. და თქვენ არანაირი უფლება არ გაქვთ, ეს დაგვიშალოთ ან ხელი შევიშალოთ. აი, სწორედ ეს არის დემოკრატია!

თუკი საზოგადოება, ხალხი შეცდომას უშვებს, მან უნდა დაუშვას ეს შეცდომა და არავის აქვს უფლება, „გამომფხიზლებლის“ ფუნქცია დაიკისროს და ამ საბაბით სახელმწიფო მნიშვნელობის შენობების ბლოკირება დაიწყოს და ქვეყანაში კოლაფსი გამოიწვიოს.

კაცობრიობამ დემოკრატია, ანუ „უმრავლესობის მმართველობა“ სწორედ იმიტომ მოიგონა, რომ ძალიან ძნელია, გაარკვიო, როდის უშვებს შეცდომას საზოგადოება, როდის იღებს არასწორ გადაწყვეტილებას და ა.შ.

**ყველა მოცლილს ან რამე ქვენა მიზნებით შეპყრობილს რომ არ შეეტანა არეულობა საზოგადოებაში, ყველას თავისი რომ არ ერახუნებინა და ყველაფერზე სამოქალაქო ომი, შფოთი და ძიძგილაობა არ დაწყებულიყო, სწორედ ამიტომ თქვა კაცობრიობამ: დაე, გადაწყვიტოს უმრავლესობამ, თუნდაც დაუშვას შეცდომა და შემდეგ მოგვიანებით, ისევ არჩევნებზე გამოასწოროს, ვიდრე ის, რომ, ვისაც კი რამე არასწორი მოეჩვენება, ომი და უბედურება ატეხოსო!** უმრავლესობა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ და მხოლოდ რაოდენობით განისაზღვრება. სხვათა შორის, სიტყვა „რაოდენობა“ შესაბამის კანონებშიც არაერთხელ არის გამოყენებული. მაგალითად, „გზისა და ქუჩის გადაკეტვა მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, თუკი შეკრებილია ამისთვის აუცილებელი რაოდენობის ადამიანი“ და ა.შ.

ასე რომ, რაოდენობას აქვს მნიშვნელობა, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ბიძინა, თურმე, ნეხვში ფეხის ჩადგმას გვაიძულებს და ამიტომ გარკვეული ინდივიდები და ლიდერები შეუერთნენ იმ საპროტესტო აქციას, რომელსაც აშკარად მიშას ჩამოყვანა და ნაცების ხელისუფლებაში მობრუნება აქვს მიზნად დასახული, მინდა, ვკითხო ასეთ ინდივიდებს: **კარგი, ვთქვათ, ბიძინა მართლა გვაიძულებს ნეხვში ფეხის ჩადგმას და თქვენ ასე აღიქვით მხოლოდ პროპორციულ არჩევნებზე უარის თქმა (ალბათ, მეც ასე აღვიქვი), მაგრამ, აი, ნაცების გვერდით დგომა ნეხვში ფეხის ჩადგმაზე უარესი არ არის? მანიაკი მიშა სააკაშვილის ჩამოყვანასა და „გამეფებას“ რომ უწყობთ ხელს, ეგ არ არის უარესი, ვიდრე თუნდაც ბიძინასთან ერთად ნეხვში ფეხის ჩადგმა?** ბიძინა განგებ აკეთებს ამას და განგებ გვამყოფებს ასეთ მდგომარეობაშიო, — ამბობენ. არც არის სიმართლისგან შორს. ბოროტად იყენებს ეს კაცი შექმნილ ვითარებას, გასაგებია, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო უარეს დღეში უნდა აღმოვჩნდეთ? ხომ არ სჯობს, დროებით არსებულ ვითარებას შევეგუოთ, სანამ უკეთესი არჩევანი არ გამოგვიჩნდება? თუ არადა, პირდაპირ გეტყვით, აი ამ ძველი ანკდოტის პერსონაჟს მაგონებთ: **ქუჩაში სეირნობისას დედასთან მიირბენს პატარა ბავშვი, გაუშვერს ხელებს დედას, ხელში დიდი ნოტიო ნეხვი უჭირავს და ეუბნება: — დედიკო, დედიკო, აი, ამაში კინალამ ფეხი ჩავკარიო...**

პროცესი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კი გაიძახის, მაგალითად, შალვა ნათელაშვილი, — ახლა არ არის ბუტიაობის დროო; იქით ნინო ბურჯანაძემაც ხელი ჩამოართვა ნაცებს, მაგრამ როგორ გგონიათ, ხელისუფლებას ფეხი რომ დაუცდეს, ვინ „მოაჯდება“ (ეს სიტყვა შეესაბამება ზუსტად) ყველაფერს? რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილს თეთრ ცხენზე ამხედრებულს შემოიყვანს თბილისში. აი, თეთრი ულაყიდან რომ ჩამოვა მიშა, სწორედ ულაყივით მოექცევა ახლა ოპოზიციის გაერთიანებით აღტყინებულ პოლიტიკოსებს და ივანიშვილივით ფერებას არ დაუწყებს.**

# ქუჩაში გასული ოპოზიცია სხვის დაკრულზე ცეკვავს

**ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვისთანავე განაცხადა, შუა უნდა გავკრიფო, პოლიტიკურ სარბიელზე ძალიან ბევრი ისეთი ადამიანია, რომლებიც ამას არ იმსახურებენ და ორმაგ თამაშს თამაშობენო. როცა ამას ამბობდა, თვითონ ივანიშვილის მიერ შექმნილ კოალიციაში ისეთი ჭრელი სპექტრი იყო შეყრილი, მაშინვე მიუთითეს: გუნდის შიგნიდან დაიწყეო. მანაც დაიწყო, მართალია, მოგვიანებით, მაგრამ პირველი დარტყმა 2016 წელს განახორციელა, როცა კოალიცია პრაქტიკულად დაშალა და ადამიანებმა, რომლებიც მანამდე ივანიშვილის მზეს ფიცულობდნენ და მის ფულზე მეძუძური გოჭებივით იყვნენ ჩამოკიდებული, გინება დაუწყეს.**



**ქალბატონმა სალომე სამადაშვილმა თავი შეგვაცოდა, — მხოლოდ ერთი თბილი ქურთუკი მაქვსო. არადა, მისი ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, შარშან 60 ათას ლარზე მეტი პარლამენტარის ხელფასად აქვს აღებული, 16 ათას ლარზე მეტი — ლექტორობისთვის მიუღია და ბარემ ისიც ვთქვათ, მტარვალი და დიქტატორი ბიძინა ივანიშვილის ხელში 80 ათას ევროდ 2015 წელს ირლანდიაში რომ იყიდა სახლი, ხოლო 2017 წელს, იმავე დიქტატორის ხელში, 65 ათას დოლარად უკვე თბილისში შეიძინა ბინა. ეს ისე, იმის აღსანიშნავად, როგორ უჭირს ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას**

გაკრეფვის მეორე ტალღამ, როგორც ჩანს, ახლა უწია. მას შემდეგ, რაც პარლამენტმა 2020 წლის არჩევნებზე მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადასვლის კანონი ჩააგდო, უმრავლესობის დატოვება დაიწყეს წევრებმა, რომელთა ავტორიტეტიც მოსახლეობაში დაახლოებით იმდენია, პროპორციულზე გადასვლის შემთხვევაში, ერთ მანდატს ან ეყოფოდა, ან არა. საუბარია 0,67%-ზე, ანუ სწორედ ამდენი იქნებოდა საჭირო ერთი მანდატისთვის.

პირველი, ვინც წასვლის განცხადება გააკეთა, პარლამენტის ვიცესპიკერი **თამარ ჩუგოშვილი** იყო. სიმართლე გითხრათ, როცა ჩუგოშვილი ივანიშვილის გუნდში მოხვდა, შემდეგ კი ვიცესპიკერი გახდა, ყველას ძალიან გაუკვირდა, მაგრამ მაშინ ითქვა: დასავლეთის მხარდაჭერა აქვსო. **ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილ თავმჯდომარეს, ანუ იმ არასამთავრობოს პირველ პირს, რომელიც წლების განმავლობაში რესპუბლიკურ პარტიისა და ამერიკელთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად განიხილებოდა, მხარდაჭერა რომ ექნებოდა, არ გაგვკვირვებია. შესაბამისად, ჩუგოშვილი და მისი „ფემინისტი დაქალები“ აქტიურად ლობირებდნენ ლიბერალურ ჯგუფებს და მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ ლიბერალიზმის დამკვიდრებისთვის. ჰოდა, ჩუგოშვილი წავიდა და გაიყოლა ის ჯგუფი, რომელიც არასდროს მალავდა ლიბერასტების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას. არც ის გაგიკვირდეთ, თუ ძალიან მალე ქალბატონი თამარი ფრაქციას ჩამოაყალიბებს, ივანიშვილს ოპოზიციაში ჩაუდგება და ქუჩაში გამოსულებსაც მხარს დაუჭერს... ქუჩაშივე დგომით.**

აი, ქუჩაში გასული ოპოზიცია, შეიძლება ითქვას, ცალკე ფენომენია. პირველ დღეს, „ექსპრომტად“ რომ შეიკრიბნენ, ხმამაღლა და ომახიანად გამოაცხადეს: ჩვენ ძალიან ბევრი ვართ, ბიძინა, დაგვთვალეო. როგორც ჩანს, შემდეგ თავად გაითვალეს პირველი-მეორეზე და მიხვდნენ, რომ არც ისე ბევრნი იყვნენ და დაიშალნენ. უფრო ზუსტად, კი არ დაიშალნენ, მობილიზაცია მოვახდინოთ ჩვენი ამომრჩევლისო და აქცია 17-ში დანიშნეს. პარალელურად, ოციოდე კაცმა რუსთაველი გადაკეტა და არ დამიწყოთ ახლა, ოცზე მეტი იყვნენო — ღამით იმ კარვებში, პირდაპირ შუა გზაზე რომ დადგეს, მხოლოდ ოცი კაცი იყო და სამართლიანია თუ არა ოცი კაცის გამო ათასობით მცხოვრები რომ წვალობს ცენტრალური ქუჩის გადაკეტვის გამო, სხვა ამბავია. ჰო, როგორც წესი, წინა პლანზე ისევ ნაციონალები გამოჩდნენ და ყველაზე საოცარი რამ, მე თუ მკითხავთ, **სალომე სამადაშვილმა** თქვა. მან კამერების წინ ჩაიბარა დიდი ცელოფანი და ამაყად განაცხადა, თბილი ქურთუკი მომიტანეს, რადგან ჩემი ქურთუკი ბაკურიანშია და ახლა აქ გავათენებ და დავაღამებო (ან პირიქით). **ქალბატონმა სალომე სამადაშვილმა თავი შეგვაცოდა, — მხოლოდ ერთი თბილი ქურთუკი მაქვსო. არადა, მისი ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, შარშან 60 ათას ლარზე მეტი პარლამენტარის ხელფასად აქვს აღებული, 16 ათას ლარზე მეტი — ლექტორობისთვის მიუღია და ბარემ ისიც ვთქვათ, მტარვალი და დიქტატორი ბიძინა ივანიშვილის ხელში 80 ათას ევროდ 2015 წელს ირლანდიაში რომ იყიდა სახლი, ხოლო 2017 წელს, იმავე დიქტატორის ხელში, 65 ათას დოლარად უკვე თბილისში შეიძინა ბინა.** ეს ისე, იმის აღსანიშნავად, როგორ უჭირს ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას და როგორ ყვირის ბოლო ხმაზე, რომ ადამიანები გაღარიბდნენ. ადამიანები მართლა გაღარიბდნენ, მაგრამ ეს არ ეხება არც ოპოზიციონერ და არც სახელისუფლო პარტიის წარმომადგენელ დეპუტატებს.

რაც შეეხება დანარჩენებს, **ყველა მიხვდა, რომ ეკლესიაზე თავდასხმამ არ გაამართლა; მიხვდნენ იმას, რომ, ფილმის ჩვენების მიუხედავად, საქართველოში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდამ ვერ იმუშავა; მიხვდნენ იმასაც, რომ ხალხის აზროვნების შეცვლა ასე მოკლე ხანში შეუძლებელია და იმავე ხალხის სახელით, რომელიც მათ გვერდით, უბრალოდ, არ დგას, საყოველთაო აჯანყებას აანონსებენ.** პატრიარქის მიმართულებით თუ რაიმე ტალახის სროლა შეიძლებოდა, ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ხელით ესროლეს, მაგრამ ვერ მიაწვდინეს. ვისაც ეჭვი ეპარებოდა **პეტრე ცაავას** ზრახვებში, ახლა გაშიშვლებულია. პეტრემ უკვე მოუწოდა ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ და ქუდზე კაცს დაუძახა, თუმცა რამდენი ქუდიანი გავა მის დაძახილზე, ძნელი სათქმელია. **უქუდოები, ალბათ, მივლენ. ოპოზიცია კი ომახიანად დგას. თანამდებობების გადანაწილება უკვე დაწყებულია და მალე მუშტი-კრივიც გაიმართება, ვინ რომელი სამინისტრო უნდა ჩაიბაროს და ვისი ცოლი თუ ქმარი სად უნდა დანიშნონ. ჰო, ეს ქართული პოლიტიკური კულტურის თანმდევი ნაწილია, მაგრამ...**

ახლა შევეცდებით, აგიხსნათ, რატომ არიან ეს ადამიანები **ქვეყნის მტრები.** ცალცალკე აღებული, თითოეული მათგანი პატრიარქის მზეს ფიცულობს, მაგრამ, როცა უწმინდესი შეურაცხყვეს, სოციალურ ქსელში „პოსტით“ შემოიფარგლნენ. მაშინ არ დაუძახიათ ქუდზე კაცისთვის და, რაც მთავარია, მაშინაც ხომ ხელისუფლებას ბრალდებოდა პატრიარქზე შეტევა, ანუ შეეძლოთ ეს თემა სწორედ ხელისუფლების წინააღმდეგ შეეტრიალებინათ, მაგრამ არა, პატრიარქის დაცვა ხომ ღირებულებების დაცვასთან იქნებოდა გაიგივებული და ამას, პატრონები აპატიებდნენ?! ჰო, ამ ადამიანებმა პატრიარქი არ დაიცვეს და მასთან ერთად არ დაიცვეს ტრადიციული ზნეობა და სულიერება; სამაგიეროდ, როცა საქმე გეიპროპაგანდისტული ფილმის ე.ი. უზნეობის დაცვაზე მიდგა, ლამის აბჯარი აისხეს და ისე გამოვიდნენ „პრადვინუტი“ ნაწილის დასაცავად, — აქაოდა, რას ერჩით, ხელოვნებააო. ახლა კიდევ, სისხლმოწყურებული ამერიკელი კონგრესმენების განცხადებით ზურგგამაგრებულები, გამოდიან და ბოლო ხმაზე გაჰკივიან: ხელისუფლება უნდა დაემხოსო.

ისე არ გაიგოთ, თითქოს ივანიშვილს ვიცავდე. ჯერ ერთი, მის ადვოკატად ნამდვილად არ გამოვდგები და მეორეც, **ამ დღეში რომ ვართ, პირველ რიგში, სწორედ ივანიშვილის ბრალია. რომ არა მისი ლოიალურობა და დაპირებების შეუსრულებლობა, დღეს არც „ნაციონალური მოძრაობის“ ხსენება იქნებოდა და, შესაბამისად, არც მისგან გამოჩეკილი „ევროპული საქართველოსი“. სწორედ ივანიშვილმა გააკეთა მაქსიმუმი იმისთვის, რომ ეს ორი პარტია მძლავრად დარჩენილიყო პოლიტიკურ ასპარეზზე და მისგან „ბუა“ შეექმნა. ამ შექმნილმა და წარმოსახვითმა საფრთხემ შვიდი წელი იმუშავა და ისე ჩანს, დაბრუნების შანსი მართლა გაუჩინა.** კი გაიძახის, მაგალითად, **შალვა ნათელაშვილი:** ახლა არ არის ბუტიაობის დროო; იქით **ნინო ბურჯანაძემაც** ხელი ჩამოართვა ნაცებს, მაგრამ როგორ გგონიათ, ხელისუფლებას ფეხი რომ დაუცდეს, ვინ „მოაჯდება“ (ეს სიტყვა შეესაბამება ზუსტად) ყველაფერს? რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“ და **მიხეილ სააკაშვილს** თეთრ ცხენზე ამხედრებულს შემოიყვანს თბილისში. აი, თეთრი ულაყიდან რომ ჩამოვა მიშა, სწორედ ულაყივით მოექცევა ახლა ოპოზიციის გაერთიანებით აღტყინებულ პოლიტიკოსებს და არც ივანიშვილივით ფერებას დაუწყებს. ვისაც ამის დაჯერება არ სურს, სულ ცოტა, პოლიტიკურად უვიცია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ქუჩაში გამოსული პოლიტიკოსების უმრავლესობამ ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ იმედი აქვს, რომ ნაციონალებისთვის გამზადებული ტორტის ნაჭრებიდან ერთი მაინც შეხვდება და ამიტომ, მზად არის, ვაბანკზე წავიდეს.

**ერთადერთი, რაც ივანიშვილმა ნამდვილად შეასრულა, იმ პოლიტიკოსების გაშიშვლებაა, რომლებიც თავს პატრიოტებად გვაჩვენებდნენ. თუმცა, ჯერ ერთი, ეს ყველაფერი ძალიან დაგვიანებული იყო და მეორეც — არაერთი გამოცემა თუ ადამიანი, მათ შორის, ჩვენც, მუდმივად ვუკიჟინებდით ხელისუფლებას, დროულად გათავისუფლებულიყო ხორცმეტებისგან, მაგრამ არ გვისმენდა და შედეგიც აშკარაა**

**ერთადერთი, რაც ივანიშვილმა ნამდვილად შეასრულა, იმ პოლიტიკოსების გაშიშვლებაა, რომლებიც თავს პატრიოტებად გვაჩვენებდნენ, თუმცა, ჯერ ერთი, ეს ყველაფერი ძალიან დაგვიანებული იყო და მეორეც — არაერთი გამოცემა თუ ადამიანი, მათ შორის, ჩვენც, მუდმივად ვუკიჟინებდით ხელისუფლებას, დროულად გათავისუფლებულიყო ხორცმეტებისგან, მაგრამ არ გვისმენდა და შედეგიც აშკარაა.**

ჭკვიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ, სულელები — საკუთარზეო და... როგორ ვთქვათ, ივანიშვილი ამ ყველაფერს ვერ და არ ხვდებოდა, მაგრამ ფაქტია, ფეხს ითრევდა და აიძულა ისინი, გადაწყვეტილება თავად მიეღოთ. მაინც გვგონია, რომ ივანიშვილს ამ ყველაფრის უფლებას დასავლეთი არ აძლევდა და ახლა, როცა ოპოზიცია ამბობს, რომ ქუჩაში აჯანყების სუნი ტრიალებს, რატომღაც გვგონია, ყველაზე მეტად ეს სწორედ დასავლეთს აძლევს ხელს, რადგან 2008 წლის შემდეგ გვარიანი დრო გავიდა და ქვეყანა აღარ არეულა და, თუ ასე გაგრძელდება, ხომ შეიძლება, მართლა მივეჩვიოთ სტაბილურობას და საზარბაზნე ხორცად აღარ ვივარგოთ?! ამიტომ გვგონია, ქუჩაში გამოსული ოპოზიცია სხვის დაკრულზე ცეკვავს და ის სხვა დასავლეთია.

**ბესო ბარბაქაძე**

„ამერიკიდან ჩამოვიდნენ, საელჩოში დაიბარეს ეს ვითომ ოპოზიციის ლიდერები — ქართველი ავაკოვები და იაცენიუკები, რომლებსაც უნდა მიანდონ შემდგომი მოქმედებები, და კონკრეტული დირექტივები მისცეს. მათ რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარება არ აინტერესებთ, ისევე, როგორც უკრაინაში არ აინტერესებდათ, ყველამ ვიცით. მაშ, რა უნდათ? ყველაფერი გასაგებია — უნდათ, საქართველო გადააქციონ კიდევ ერთ რევოლუციურ სივრცედ და დაპირისპირების პლაცდარმად“.

მოვლენების კვალდაკვალ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: მაშინ რატომ არ დატოვეს გუნდი, როცა «ქართულმა ოცნებამ» არც ერთი დაპირება არ შეასრულა? ეს რა, ხალხის მოტყუება არ არის?

**მას შემდეგ, რაც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საარჩევნო ცვლილებების კანონპროექტის კენჭისყრა უშედეგოდ დასრულდა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარების შესაძლებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა (რითაც ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინათ გაცემული დაპირება ფეხებზე დაიკიდა), მწვავე პოლიტიკურ კრიზისში მყოფი „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი გეომეტრიული პროგრესიით დაიწყო.**

დეპუტატების ერთმა ნაწილმა, რომელიც ოლიგარქის ყველა პოლიტიკურ ახირებას უსიტყვოდ ასრულებდა, უმრავლესობა დატოვა, ნაწილმა კი სათათბიროდ ლეიბორისტული პარტიის ოფისში დაბანაკებულ „გაერთიანებულ ოპოზიციას“ მიაშურა და „მშენებარე ქართულ დემოკრატიაზე“ ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ ნაცებისა და ევრონაცების მხარდამხარ რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციისკენ გასწია. მიუხედავად ამ უპრეცენდენტო რღვევისა, სახელისუფლო გუნდის პოზიცია უცვლელი დარჩა, 2020-ში არჩევნები პროპორციული სისტემით არ ჩატარდება, რაც შეეხება ე.წ. გერმანულ მოდელს, უმრავლესობის ლიდერებმა „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში გამართული სხდომის შემდეგ მედიასთან განმარტეს, რომ იგი საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამება...

რა პროცესები მიდის დღეს ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და რა მიზანს ემსახურება უმრავლესობიდან დეპუტატების მასობრივი გადინება, რომელსაც რევოლუციურ სცენარზე პირდაპირი თუ ირიბი მინიშნებებიც თან სდევს?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, საპარლამენტო უმრავლესობა 12-მა დეპუტატმა დატოვა და ხვალ-ზეგ, შესაძლოა, კიდევ რამდენიმემ დატოვოს. ისინი აცხადებენ, რომ არ სურთ ხალხის „გადამგდებ“ უმრავლესობაში ყოფნა, რომელიც უკვე გასცდა ყოველგვარ პოლიტიკურ და სამართლებრივ ჩარჩოებს... რატომ აღმოჩნდა, როგორ ფიქრობთ, მაინცდამაინც ეს ტყუილი მიუღებელი დეპუტატებისთვის, როცა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2012 წელს დაიწყო ტყუილებით ქვეყნის მართვა? ვგულისხმობ სამართლიანობის აღდგენაზე მთავარი წინასაარჩევნო დაპირების არ თუ ვერ შესრულებას, რომელსაც მერე „ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია მოჰყვა.**

— სწორი შეკითხვაა და ვფიქრობ, სწორედ ამ შეკითხვით უნდა მიმართოს დღეს ყველა ჟურნალისტმა ამ ადამიანებს. მაინტერესებს, როდესაც ბატონი **ძიძიგური** ან სხვა ნებისმიერი დეპუტატი, რომელმაც იმის გამო დატოვა უმრავლესობა, რომ თურმე ხელისუფლებამ ხალხი მოატყუა, მაგალითად, **რატომ არ ტოვებდნენ გუნდს იმის გამო, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ ზოგიერთი „ზონდერპოლიციელი“ სამართლებრივ პასუხისგებაში კი არ მიცეს, დააწინაურეს და უფრო დიდ თანამდებობაზეც დანიშნეს; რატომ არ დაიკისრეს პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როცა უკვე სააკაშვილის დიქტატურა დაემხო, მასობრივად დაიწყო გარკვეული აქტივის პორტირება „ნაციონალური მოძრაობიდან“ „ოცნებაში“. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ პრაქტიკულად მთელი სასამართლო სისტემა ისევ ძველი „ზონდერმოსამართლეების“ ხელში დარჩა და ზოგიერთი მათგანი დღეს მორალს უკითხავს საზოგადოებას კანონის უზენაესობაზე.** მკვლელები და მწამებლები კი დაუსჯელი დადიან. ვეკითხები ყველა დეპუტატს, რომლებმაც ამ დღეებში პროტესტის ნიშნად დატოვეს უმრავლესობა: **ხელისუფლების მხრიდან რომელი უფრო დიდი ტყუილი და „გადაგდება“ იყო ხალხის — ის, რომ მთავარი წინასაარჩევნო დაპირება არ შეასრულეს და ცხრაწლიანი დანაშაულებრივი რეჟიმი, გასამართლების ნაცვლად, მთავარ ოპოზიციად გამოაცხადეს, თუ ის, რომ ერთი საარჩევნო სისტემიდან მეორეზე გადასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა? მე მათ ადგილას შემრცხვებოდა იმაზე საუბარი, რომ თურმე გუნდიდან მათი წასვლის მიზეზი ხელისუფლების მიერ ხალხის „გადაგდებაა“, თუმცა, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს მსგავსი უხერხულობის მომენტი საერთოდ არ აქვთ.**

ახლა პროპორციულ სისტემაზეც ვიტყვი მოკლედ. ის, რომ ამ სისტემაზე გადასვლა საჭიროა, ყველა ვთანხმდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ხაზგასასმელია ის, რომ იმ პარტიებს თუ ცალკეულ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც დღეს ქუჩაში დგანან და ვითომ ქართულ დემოკრატიაზე დარდობენ, სინამდვილეში სამართლიანი საარჩევნო გარემოს არარსებობა არ აწუხებთ, მათთვის ეს საარჩევნო სისტემა, უწინარესად, მიუღებელია იმიტომ, რომ ამ სისტემით არჩევნებში გამარჯვების შანსი აქვთ მხოლოდ მაღალი პოლიტიკური ლეგიტიმაციის მქონე პარტიებს, მათ კი — არა. აი ეს არის მათი მთავარი სადარდებელი, თორემ ორპროცენტიან რესპუბლიკელებსა და სხვა მსგავს უპერსპექტივო პოლიტიკურ ჯგუფებს ხალხის მოტყუება ფეხებზე რომ ჰკიდიათ, მგონი, ყველა ხვდება. რაც შეეხება რუსთაველზე მიმდინარე აქციებსა და მოწოდებებს, რომლებიც მარგინალური პოლიტიკური პირებისგან ისმის, საინტერესოა ის, რომ **ეს პროცესები, ეს ვითომ შეშფოთება პოლიტიკურ სპექტრში და მღელვარება ხდება მას შემდეგ, რაც 20 ივნისის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მოგვწონს თუ არა, გვინდა თუ არა, ფაქტია: ქვეყანაში არსებობს გარკვეული დესტრუქციული ძალა, რომელსაც ჰყავს თავისი მცირერიცხოვანი, მაგრამ ორგანიზებული აქტივი და, სამწუხაროდ, ამ ძალას დასაყრდენი აღმოაჩნდა ხელისუფლებაშიც.** მე მენიშნა ის ფაქტი, რომ ქალბატონმა **სოფიო ქაცარავამ** საერთოდ უარი თქვა დეპუტატის მანდატზე...

**— რას გულისხმობთ?**

— გამომდინარე იქიდან, რომ **ქალბატონი ქაცარავა პარლამენტში შესვლამდე წლების განმავლობაში იყო დიდი ბრიტანეთის საელჩოს ოფიცერი, შემიძლია ვთქვა, რომ ეს ქალბატონი დაკავშირებულია ბრიტანეთის დაზვერვასთან. შესაბამისად, როდესაც ასეთი პერსონები ტოვებენ პარლამენტს, ეს უკვე რაღაცაზე მიანიშნებს.**

**— გინდათ, თქვათ, რომ პროცესებში გარკვეული გარე ძალები მონაწილეობენ?**

— მხედველობაში მაქვს ის შესაძლო კატაკლიზმები, რომლებიც კიევის მაიდნის მსგავსი შეიძლება იყოს. კიდევ ვიმეორებ: **ეს შეიძლება იყოს უკვე კარგად გამოცდილი და აპრობირებული სცენარი, რომელშიც თავის დროზე მონაწილეობდნენ იაცენიუკი, ავაკოვი, ლიაშკო და სხვები, ე.ი. ადამიანები, რომელთაგან ზოგი ულტრამემარცხენე იყო, ზოგი — ულტრამემარჯვენე და ზოგი კიდევ, კაცმა არ იცის, რა ძალას წარმოადგენდა. საბოლოოდ ამ დესტრუქციულმა, რევანშისტულმა ძალებმა რა დამართეს უკრაინას, ყველა ვხედავთ და მსგავსი რამ აქაც გამორიცხული არ არის...**

აქვე ვსვამ შეკითხვას: სად არის საზოგადოება? სად არის ამ ქვეყნის მოსახლეობის 80-90 პროცენტი, რომელიც კარგად ხვდება, რა პროცესები მიდის და რა უბედურებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა?

**— საზოგადოების ეს ნაწილი (უმრავლესობა), დიდი ხანია, უკიდურეს ნიჰილიზმშია ჩავარდნილი. ალბათ, ამითაც სარგებლობენ რევანშისტულ ოპოზიციაში არსებული რეაქციული ძალები, რომლებსაც თავის დროზე თვითონ ბიძინა ივანიშვილმა მიანიჭა პოლიტიკური ლეგიტიმაცია. არ მეთანხმებით?**

— მიუხედავად ამისა, ფაქტია და ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების უმრავლესობა არ დგას არც ერთ მხარეს — საზოგადოება არ დგას არც ხელისუფლების და არც იმ 22 პარტიისაგან შემდგარი ე.წ. კოალიციის გვერდით, რომელიც ამ დღეებში საგულდაგულოდ შეკოწიწდა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობისთვის მიუღებელია ორივე და სინამდვილეში ხალხი ელოდება რეალურ ალტერნატივას, რომელმაც სწორი დიაგნოზი უნდა დასვას ამ ყალბ პოლიტიკურ პროცესში. რაც შეეხება რევოლუციურ სცენარს, **ეს პროცესები, მთელი ეს ვითომ პროტესტის ტალღა, ძალადობა, გაწევ-გამოწევა ორგანიზებულია ოკეანის გაღმიდან; და ისევე, როგორც თავის დროზე ვიქტორია ნულანდის მიერ დარიგებულ „პრიანიკებს“ ელოდებოდნენ რეაქციული ძალები კიევის ცენტრში, აქაც ვიღაცები ელოდებიან სერიოზულ ჩარევას გარედან. აი, ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე და ამაზე უნდა ვისაუბროთ, იმიტომ, რომ შემთხვევითი არ არის თუნდაც ამ დღეებში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების ვიზიტი თბილისში.**

**— თქვენი აზრით, ეს მაღალჩინოსნები ხელს უწყობენ პროტესტის ტალღას?**

— გაიხსენეთ, რა განცხადებები გააკეთეს ამ დღეებში მათთან ვიზიტის შემდეგ ყოფილმა პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა, დავით უსუფაშვილმა** და სხვებმა, — ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებთან გვაქვს საქმე, მათ სახელებს ვერ ვიტყვით. წარმოიდგინეთ, რა ხდება: **ამერიკიდან ჩამოვიდნენ, საელჩოში დაიბარეს ეს ვითომ ოპოზიციის ლიდერები — ქართველი ავაკოვები და იაცენიუკები, რომლებსაც უნდა მიანდონ შემდგომი მოქმედებები, და კონკრეტული დირექტივები მისცეს.** მათ რომ საქართველოში დემოკრატიის განვითარება არ აინტერესებთ, ისევე, როგორც უკრაინაში არ აინტერესებდათ, ყველამ ვიცით. მაშ, რა უნდათ? ყველაფერი გასაგებია — უნდათ, საქართველო გადააქციონ კიდევ ერთ რევოლუციურ სივრცედ და დაპირისპირების პლაცდარმად.

**— სხვათა შორის, ბოლო 4-5 თვის მოვლენების ქრონოლოგიას თუ გადავხედავთ, პროცესები შემდეგნაირად ვითარდებოდა: იყო თბილისი პრაიდის თემა და ამას მოჰყვა კონსერვატიული ძალების გააქტიურება, შედეგად ათიათასობით მოქალაქე მამათმავლობის პროპაგანდის წინააღმდეგ ქუჩაში გამოვიდა; რამდენიმე დღეში მოხდა „გავრილოვის პროვოკაცია“... ახლახან იყო მამათმავლური ფილმის პრემიერის გარშემო პროტესტი და ისევ იმავე ძალებმა დაიწყეს აქციები. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს პროცესები საზოგადოებრივი განწყობების გადაფარვასაც ემსახურება?**

— რა თქმა უნდა, ამას უკვე ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება. სტრატეგია არის ის, რომ, **როდესაც აქტიურდებიან კონსერვატიული ძალები, ეს მათ თავზარს სცემს, რადგან ეს პირდაპირი ინდიკატორია საზოგადოებაში არსებული რეალური განწყობებისა, ამიტომ უნდა მოხდეს ამის განეიტრალება. თუმცა მსგავსი მცდელობებით, მსგავსი მიჩუმათებისა და გადაფარვის პოლიტიკით ესენი რეალურ განწყობებს კი ვერ ახშობენ, პირიქით, კიდევ უფრო ამძაფრებენ.** რატომ, იცით? რაც დრო გადის და იწელება მთელი ეს პროცესები, უფრო მეტი ადამიანი ხვდება, რომ არსებული აგრესიული ლიბერალური სისტემა მას შანსს არ უტოვებს. აი ეს არის ის, რაც მარწმუნებს, რომ ძალიან მალე ჩვენს საზოგადოებაში დაიძლევა ნიჰილიზმი და დღეს განზე მდგომი, ჩუმად მყოფი ხალხი, რომელიც შეიძლება უიმედოდ და ხელჩაქნეულადაც უყურებს ამ „ნაც-ქოცურ“ მასკარადს, ორივე ძალას, მათ ანასხლეტებთან ერთად წალეკავს. ასე მოხდა თავის დროზე დასავლეთში კონსერვატიული ძალების აღზევება და მერწმუნეთ, იქ არანაკლებ ნიჰილისტურად იყო საზოგადოება განწყობილი. ლიბერალური დიქტატურა აუცილებლად დასრულდება და მასთან ერთად ყველა ფსევდოოპოზიციური ძალა, ყველა ყალბი პოლიტიკური გაერთიანება, რომლებიც ვითომ ქართულ დემოკრატიაზე არიან დღეს გულდათუთქული, წარსულს ჩაბარდება...

«ფაქტია და ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადოების უმრავლესობა არ დგას არც ერთ მხარეს — არც ხელისუფლების და არც იმ 22 პარტიისაგან შემდგარი ე.წ. კოალიციის გვერდით, რომელიც ამ დღეებში საგულდაგულოდ შეკოწიწდა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობისთვის მიუღებელია ორივე და სინამდვილეში ხალხი ელოდება რეალურ ალტერნატივას, რომელმაც სწორი დიაგნოზი უნდა დასვას ამ ყალბ პოლიტიკურ პროცესში»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა, რომ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ფიქციაა და ის, რაც მოხდა, ნაცების მიერ კარგად მოფიქრებული პროვოკაცია იყო; და მეორე — სამართალდამცველებმა დროულად და მაღალპროფესიულ დონეზე აღკვეთეს ნაცსექტის მორიგი მცდელობა სახელმწიფო გადატრიალებისა. ხელოვნურად, ყოველგვარი კანონის დარღვევით დღეების განმავლობაში გადაკეტილი რუსთაველის პროსპექტი გაათავისუფლეს კარვებისგან. რუსთაველის პროსპექტი, რომელიც, უკაცრავად და, შარდის სუნად ყარდა.**

# «ქართული ოცნების» ხელისუფლება შესაცვლელია, მაგრამ არა ბოკერია-სააკაშვილებით

**„ვინც გველს რძეს ასმევს, შხამს უორკეცებს“ — ბოლო ხანს საქართველოში განვითარებული პროცესების შესახებ წინამდებარე წერილზე მუშაობის დაწყებისას კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელიდან“ ეს ფრაზა ამეკვიატა. რატომ? იმიტომ, რომ სიბრძნე, რომელიც ამ ფრაზაშია დაუნჯებული და რომელიც დიდმა ქართველმა მწერალმა თავისი რომანის ერთ-ერთი გმირის, „ორხმლიანი სპარაზენის“ პირით თქვა, თუ დღევანდელობას ალეგორიულად მივუსადაგებთ, დავინახავთ, რომ საოცრად ეხმიანება წინამდებარე წერილის მთავარ თემას — გველისა და რძის „იგავ-არაკში“ გველი, ვითომც ორად გახლეჩილი, ე.წ. ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა, ხოლო მეორე, ანუ რძე, ე.წ. კოაბიტაცია, რომელიც ამ 7 წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილმა ბევრი ასვა მიშნაცებსა და ჩვენც — ქართველ საზოგადოებასაც.**





**ქალბატონო ნინო! თქვენ, ტრადიციულ ოჯახში, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე აღზრდილ ქალბატონს, არ გეუხერხულებათ, ვაჟას სიტყვებით გეტყვით: «გული როგორ არ გერევა, მაგასთან ჯდომა ყოფნითა»? თქვენ, 26 მაისის ღამის ერთ-ერთი შემოქმედი, ღამისა, რომელიც, ბიძინა ივანიშვილის აღიარებით, ის წითელი ხაზი იყო, რომლის გადაკვეთა გახდა კიდეც მისი პოლიტიკაში მოსვლის ბოლო მიზეზი, დღეს ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში გიგა ბოკერიასთან ერთად ხართ; იმ გიგა ბოკერიასთან, რომელიც სწორედ 26 მაისის სისხლიანი ღამის ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო; რომელიც ცნობილია, როგორც საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაუძინებელი მტერი**

არადა, **2012 წლის 1 ოქტომბრის რევოლუციური არჩევნების შედეგად ხერხემალში გადამტვრეული გველისთვის ბიძინა ივანიშვილს, რძე ესმია კი არა, თავი რომ გაეჭეჭყა, შხამგაორკეცებული, ყალყზე შემდგარი „სოროსის კობრა“ დღეს რუსთაველზე ვეღარ ისისინებდა!**

ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ გავიმეორებ: კოაბიტაცია, ანუ 7 წლის განმავლობაში თანაცხოვრება იმ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომლებმაც 9 წლის განმავლობაში სისხლსა და ცრემლში აბანავეს ქართველი ერი, არის სათავე გუშინდელ-დღევანდელი და, ღმერთმა დაგვიფაროს, ხვალინდელი მოსალოდნელი უბედურებებისა.

კოაბიტაცია ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა ნაცების სატელიტი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც, რომლებიც, 7 წლის წინათ ჩატარებული არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ნაცებზე არანაკლებ დაიზაფრნენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რადგან ე.წ. სამართლიანობის აღდგენის (რაც „ქართული ოცნების“ უპირველესი დაპირება იყო) „სუსხი“, დიდი ალბათობით, მათაც შეეხებოდა, რადგან ყოველგვარი ალბათობის გარეშე ისინი („თავისუფლების ინსტიტუტის“ თამადობით) 9-წლიანი ნაცისტური რეჟიმის სადისტური დანაშაულების, სულ ცოტა, მდუმარე თანხმობით „გამპრავებლები“ იყვნენ — მშვენივრად იცოდნენ, რა ხდებოდა ციხეებში, რომ აღარაფერი ვთქვათ 7 ნოემბრის, 26 მაისის დარბევებზე.

მოკლედ, ნაცების „ორად გახლეჩისა“ არ იყოს, „თავისუფლების ინსტიტუტის“ გველის წიწილებმაც ბევრი სვეს კოაბიტაციური რძე, მათაც იბარტყეს და **ეკა გიგაურის** „გამჭვირვალე“ თუ **ნინო ლომჯარიას** „გაუმჭვირვალე“ სახალხო დამცველ გველებად იქცნენ; „სოროსის გიურზებად“, რომლებიც ზემოხსენებულ „სოროსის კობრებთან“ ერთად ხმაშეწყობილად სისინებენ რუსთაველზე, ხოლო მათ გესლის ნთხევას დაუფარავი სიამოვნებით აშუქებენ და მათთან ერთად ტელეეკრანებიდან იკბინებიან „სოროსის ვირთხები“ **(ნინო ჟიჟილაშვილი, დიანა ტრაპაიძე, ინგა გრიგოლია, ეკა კვესიტაძე, გიორგი გაბუნია, ნიკა გვარამია და სხვ.),** რომლებსაც ჰყოფნით თავხედობა და ობიექტურ ჟურნალისტობაზე აქვთ პრეტენზია...

სამწუხაროდ, **უნდა ვაღიაროთ, რომ, როგორც იტყვიან, იმავე ოპერიდან არის, ე.წ. ციანიდის სკანდალი და ყოფილი მეუფის, თახსირი პეტრეს იგავმიუწვდომელი ბინძური განცხადება. სოროსის საცეცებმა საქართველოს დედაეკლესიაშიც შეაღწია ზემოთ ხსენებული სოროსის კობრებთან, გიურზებსა თუ ვირთხებთან ერთად, რუსთაველზე მიმდინარე პროცესებში (რაც სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობაა) საქართველოს ეკლესიაში ნეოლიბერასტული ძალების მიერ სხვადასხვა პერიოდში ჩანერგილი აგენტებიც ფარულად თუ აშკარად მონაწილეობენ...**

დიახ, არ ვაჭარბებ — რუსთაველზე მიმდინარე პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ნაცბანდის მიერ სახელმწიფო გადატრიალების მორიგი მცდელობა.

არ ვაჭარბებ — ვითომ ორად გახლეჩილი, სინამდვილეში კი, რომ იტყვიან, ერთ სულ და ერთ ხორც ნაცების მიერ გავრილოვის ღამის შემდეგ სახელმწიფო გადატრიალების მეორე მცდელობა, ისევე, როგორც პირველი, კრახით დასრულდა, რადგან ბუნებაში არ არსებობს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია.

უფრო სწორად, ის ქაღალდზე კი არსებობს, მაგრამ ამ გაერთიანებას რეალური ძალა არ აქვს, რადგან დიდი გაჭირვებითა და ინტერნეტის დახმარებით შეიძლება გაიგო ამ გაერთიანებაში შემავალი პარტიების დასახელება, მაგრამ, მაგალითად, ვინმე **მაჭუტაძის** პარტიის მეორე ნომრის ვინაობის დადგენა, ალბათ, თვით ყოვლისშემძლე ინტერნეტსაც გაუჭირდება. დაახლოვებით იგივე ითქმის გაერთიანებული ოპოზიციის სხვა პარტიების შესახებაც. „დაახლოებით იგივე“-ში იმას ვგულისხმობ, რომ ზოგიერთი პარტიის (მაგალითად, ლეიბორისტების, რესპების და, რა ვიცი, კიდევ, თქვენ შემახსენეთ) მეორესი კი არა, მესამე ნომრის ვინაობაც კი შეიძლება დაადგინო, მაგრამ რად გინდა, მათი რეიტინგი 2-3 %-ს არ აღემატება.

ლექსის წერას ატანილ ზურიკელა ვაშალომიძეს რომ ეუბნება ილარიონა შევარდნაძე, იმ ნათქვამის ჩემეული პერიფრაზით მივმართავ პოლიტიკას ატანილ ნიკა მაჭუტაძეს: ბებიაშენს ნუ ეტყვი, პოლიტიკაში რომ დურთე თავი, თავისი გაჭირვება ეყოფა საწყალს! ვისაც ეკრანზე პოლიტიკით შთაგონებული მაჭუტაძის პროფილი გინახავთ, ალბათ, დამეთანხმება მეც და ილარიონ შევარდნეძესაც...

მაგრამ მხოლოდ სალადაოდ არ მიხსენებია წინამდებარე წერილის სათაურშივე ბატონი მაჭუტაძე — ჩემგან არც ქოცებს და არც მათ ლიდერს კრიტიკა არასოდეს დაკლებია, მაგრამ, რომ იტყვიან, ნამუსიც კარგი საქონელიაო და, ბატონ ბიძინას იმდენი მაინც გაუკეთებია ქვეყნისთვის, რომ მაჭუტაძეების „საბლატაო“ ნამდვილად არ არის. დიახ, მაჭუტაძეების, ანუ მთელი ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციის!

თუმცა, რომ იტყვიან, ენას ძვალი არ აქვსო, და „ბლატაობაც“ იქით რომ იყოს, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის ჩემთვის ყველაზე მისაღებ წევრს, ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეს,** მინდა, მივმართო: **ქალბატონო ნინო! თქვენ, ტრადიციულ ოჯახში, მართლმადიდებლურ ღირებულებებზე აღზრდილ ქალბატონს, არ გეუხერხულებათ, ვაჟას სიტყვებით გეტყვით: „გული როგორ არ გერევა, მაგასთან ჯდომა ყოფნითა“? თქვენ, 26 მაისის ღამის ერთ-ერთ შემოქმედი, ღამისა, რომელიც, ბიძინა ივანიშვილის აღიარებით, ის წითელი ხაზი იყო, რომლის გადაკვეთა გახდა კიდეც მისი პოლიტიკაში მოსვლის ბოლო მიზეზი, დღეს ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში გიგა ბოკერიასთან ერთად ხართ; იმ გიგა ბოკერიასთან, რომელიც სწორედ 26 მაისის სისხლიანი ღამის ერთ-ერთი ორგანიზატორი და შემსრულებელი იყო; რომელიც ცნობილია, როგორც საქართველოს ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობლის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დაუძინებელი მტერი.**

ამ შემთხვევაში თქვენეული ახსნა-განმარტება ნაბიჯისა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკამ გაიძულათ გაერთიანებულ ოპოზიციაში გადასვლა, ჩემთვის გაუგებარ-მიუღებელია, რადგანაც „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ — ჩემთვის არ არსებობს მიზეზი, მიზანი თუ მოტივი, რომელიც ბოკერია-სააკაშვილებთან, გნებავთ, თუნდაც დროებით, ფორმალური სახის გაერთიანებას მაიძულებდა.

გასულ კვირას ჯერ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის მიტინგი იმ მომენტში „დავზვერე“, როდესაც ამ გაერთიანების ერთ-ერთი სუბიექტი, მარად ორპროცენტიანი რესპუბლიკური პარტიის ცნობილი ლიბერასტი დავით ბერძენიშვილი მიმართავდა საზოგადოებას მგზნებარე სიტყვით, რომლის ლაიტმოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველო მრავალეროვანი (რაშიც ვეთანხმები), მრავალკონფესიური, მათ შორის ხლისტური სექტების(?), მრავალი სექსუალური ორიენტაციის, ევროპული, ნატოსკენ მსწრაფი ქვეყანააო და ამისთანა ევროპეიზაცია „ქართულმა ოცნებამ“, პირადად ბიძინა ივანიშვილმა შეაფერხაო და მომიტინგეებს მტკიცედ დგომისკენ მოუწოდა.

ამის გამგონე მივხვდი, რომ ლიბერასტების აქციაზე არაფერი მესაქმებოდა და იქვე, რესპუბლიკის მოედანზე, ვინმესთან ყოველგვარი გაერთიანების უარმყოფელი პარტიის — „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიტინგზე გადავინაცვლე, სადაც წინა მიტინგისგან დიამეტრიულად განსხვავებული ატმოსფერო დამხვდა, რომელიც, მოკლედ თუ ვიტყვით, ილიასეულ „ფორმულაში“ — მამული, ენა, სარწმუნოებაში — ჯდებოდა...

უნებლიეთ გამახსენდა ეროვნული მოძრაობის დასაწყისში გამართული ორი პარალელური აქცია: ერთი „დინამოს“ სტადიონზე ე.წ. ეროვნული კონგრესის მომხრეების და მეორე — „ლოკომოტივის“ სტადიონზე ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ მომხრეების. საქართველომ მაშინ სწორი არჩევანი გააკეთა და „ლოკომოტივის“ სტადიონი გაავსო, რამაც მოკლე ხანში ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის მოსვლა განაპირობა!

ისტორია მეორდება? ვნახოთ.

მანამდე კი ის გავიხსენოთ, რაც უკვე ვნახეთ, ანუ რაც მოახდინა ე.წ. გაერთიანებულმა ოპოზიციამ: პირველი, **კიდევ ერთხელ კარგად გამოჩნდა, რომ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია ფიქციაა და ის, რაც მოხდა, ნაცების მიერ კარგად მოფიქრებული პროვოკაცია იყო; მეორე — სამართალდამცველებმა დროულად და მაღალპროფესიულ დონეზე აღკვეთეს ნაცსექტის მორიგი მცდელობა სახელმწიფო გადატრიალებისა. ხელოვნურად, ყოველგვარი კანონის დარღვევით დღეების განმავლობაში გადაკეტილი რუსთაველის პროსპექტი გაათავისუფლეს კარვებისგან, რუსთაველის პროსპექტი, რომელიც, უკაცრავად და შარდის სუნად ყარდა.**

ახლა ერთი კითხვა მაწუხებს — მიუხედავად დასავლეთის (ძირითადად, არასამთავრობო სექტორის) უსინდისო ზეწოლისა, ეყოფა კი ძალა, უფრო ზუსტად, ბოლომდე ექნება პოლიტიკური ნება ხელისუფლებას იმისა, რომ არ დაუშვას სახელმწიფო გადატრიალება?

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების, რბილად რომ ვთქვათ, უსინდისობის მიუხედავად, ქართველი კაცი ინტუიციურად გრძნობს, რომ ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობის“ დაბრუნება გაცილებით დიდი უბედურება იქნება, ვიდრე დღეს არის, ამიტომ, მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება გამოსაცვლელია, მაგრამ არა ბოკერია-სააკაშვილებით.**

ზემოთ ორი პარალელური მიტინგი გავიხსენე: ერთი — ახლო წარსულიდან და მეორე — აგერ, სულ ახლახან. ისიც აღვნიშნეთ, რომ იმხანად საქართველომ სწორი არჩევანი გააკეთა, მაგრამ რა იქნება 2020 წლის არჩევნებზე?

დევიზი „არც ქოცი, არც ნაცი!“ სწორია, მაგრამ ვინ? — საკითხავი აი ეს არის!

მე „პატრიოტთა ალიანსისკენ“ ვიხრები. ყოველ შემთხვევაში მათზე უკეთეს ძალას, ეროვნულს, მართლმადიდებელს, ტრადიციულ ღირებულებათა დამცველს დღეს ვერ ვხედავ.

ხვალ?

როგორც დიდი **გალაკტიონი** იტყოდა, **„ხვალემ იზრუნოს ხვალისა“!**

**30 წელია, ჩაგვჩიჩინებენ: გინდათ თუ არა, ნატოში უნდა შევიდეთ, აგერ ახლა გაგვიღებენ კარს, აგერ ახლაო. და იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ პირდაპირ გვითხრეს: უახლოეს 30 წელიწადში მაგაზე არც იოცნებოთო, მაინც ჯიუტად იმავეს „ვაწვებით“. ხომ ამბობს ხელისუფლება, ხალხის მსახური ვარო? ხომ იმეორებს ოპოზიციაც: ხელისუფლებაში რომ მოვალ, მხოლოდ ხალხზე ვიზრუნებო? ჰოდა, გაითვალისწინეთ, ბატონებო, ხალხის აზრი და, რასაც მოსახლეობა აირჩევს, ის გააკეთეთ, ისე იმოქმედეთ.**

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გვჭირდება 150 დეპუტატი?



**გნებავთ, ექსპერიმენტი ჩავატაროთ და ქუჩაში გამვლელ ნებისმიერ ათ, ოც ან ოცდაათ ადამიანს ვკითხოთ, რომელი კანონპროექტი დაამახსოვრდა, რომელიც მოქმედმა პარლამენტმა მიიღო ან წინა პარლამენტმა, ან იმის წინამ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერავინ ვერაფერს გაიხსენებს, გარდა... ბუსუსებიან პრეზერვატივზე მსჯელობისა. ჰო, ეს იყო კანონპროექტი, რომელიც განსახილველად პარლამენტში შევიდა და რომელზეც სრული სერიოზულობით მსჯელობდნენ პარლამენტარები და ამტკიცებდნენ, ბუსუსებიანი პრეზერვატივის აკრძალვა იმიტომ არის აუცილებელი, მისგან სიამოვნებას იღებენ ადამიანები, პრეზერვატივი კი თავისი არსით სულ სხვა რამისთვის არის გათვლილი და არასასურველი ორსულობისგან თავის არიდების მიზნით გამოიყენებაო...**

„კანონპროექტზე მსჯელობის გაგრძელება მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. ვთვლი, რომ შეიძლება გარკვეული მოსაზრებები ჰქონდათ ინიციატორებს თავის დროზე, საზოგადოდ, მორალთან და სხვა კუთხით, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალური არ არის, მით უმეტეს დღეს“, — განაცხადა მაშინ აკაკი ზოიძემ, ამჟამად ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ.

ბუსუსებიან პრეზერვატივს თუ რამე გადაფარავდა, ნამდვილად არ გვეგონა, მაგრამ მერე პარლამენტმა ძაღლების ყეფისთვის მოიცალა. პრინციპში, სწორედ პარლამენტის მიმართ იმდენჯერ ახსენეს, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო“, რომ კანონმდებლებმა რაღაცის მოფიქრება გადაწყვიტეს. მეორე ვერსიით, ერთ-ერთი დეპუტატი ღამით მეზობლის ძაღლმა არ დააძინა და გადაწყვიტა, რამე რეგულაცია შემოეღო. მოკლედ, **პარლამენტში სრული სერიოზულობით განიხილება პროექტი, რომლის მიხედვით, ძაღლის ყეფა დაისჯება და სასჯელი 50 ლარით შეფასდება. მართალია, ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული, ერთ დაყეფებაზე იქნება გადასახდელი 50 ლარი თუ 50 ლარად შეგიძლიათ მთელი დღე აყეფოთ ძაღლი, მაგრამ ამასაც დახვეწენ, იმსჯელებენ, იმუშავებენ, ოფლს დაღვრიან, მეტი რა საქმე აქვთ?! ჰო, აუცილებლად გაამართლებს ძაღლების სკოლის გახსნა, იმიტომ, ვიღაც რომ მოადგება ჭიშკარს, რომ არ დაგაზარალოს, ძაღლმა არ უნდა დაუყეფოს, უნდა მოვიდეს, კარზე მოგიკაკუნოს და განიშნოს, ვიღაც არისო... ეს ან თვალის ჩაკვრით უნდა გააკეთოს, ან კუდის ქიცინით; ქალზე — თვალის ჩაკვრით, კაცზე — კუდის ქიცინით, რადგან ბოლო პერიოდში კაცების კუდის ქიცინიც არანაკლებ აქტუალური თემაა.**

ვიტყოდით მარტივად, ვაი, ჩვენს პატრონსო და დავსვამდით წერტილს, მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე. ახლა აჟიოტაჟი რომ არის ამტყდარი, მხოლოდ პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს არჩევნები თუ შერეული სისტემით, **რატომ არავინ სვამს კითხვას — საერთოდ, უნდა ჩატარდეს კი არჩევნები და გვჭირდება 150 დეპუტატი?** ეს იმიტომ, რომ ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ზუსტად აქვს გათვლილ-დათვლილი, ვინ სად უნდა ჰყავდეს და ვინ რამდენი უნდა ჭამოს. ისიც გათვლილია, რამდენი დაიხარჯება ამ აქციებზე, ვისი ჯიბიდან დაიხარჯება და შემდეგ ის „ვიღაც“ როგორ ამოიღებს ამ თანხას ორმაგად. **ახლა არ მითხრათ, რუსთაველზე მიტანილი შეშა მოქალაქეებისგან აგროვებული ფულით იყიდესო. ფული ვიღაცამ გაიმეტა და გაიმეტა იმის იმედად, რომ ხელისუფლების ცვლილება მის წისქვილზე დაასხამს წყალს.** ახლა მთავარი — ოპოზიციამ არაერთხელ ახსენა, რომ აუცილებელია რეფერენდუმის ჩატარება, სადაც მოქალაქეები გამოხატავენ თავიანთ პოზიციას, სურთ თუ არა მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება. **ვერ გეტყვით, რამდენჯერ დავწერეთ ის, რომ რეფერენდუმის ჩატარება აუცილებელია და ხელისუფლებასაც კი მივმართეთ, მაგრამ გვითხრეს, რეფერენდუმი ძვირი ჯდება და ამის შესაძლებლობა არ გვაქვსო. ახლა კი ის შემთხვევაა, როცა ჩვენ მხარს ვუჭერთ რეფერენდუმის ჩატარებას მხოლოდ ერთი პირობით — ჩაიწეროს კითხვა: როგორი საგარეო კურსი სურს საქართველოს მოსახლეობას — სურს დასავლეთი და ევროინტეგრაცია თუ მოსწყინდა ნატოს კარზე კაკუნი და სურს მეზობლებთან ურთიერთობის დათბობა, უვიზო რეჟიმის აღდგენა რუსეთთან?** არ ვამტკიცებთ, რომ მოსახლეობა ამ ან იმ არჩევანს გააკეთებს, ჩვენ ვამბობთ, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში, ეს კითხვაც ჩავდოთ და ვნახოთ ხალხის განწყობა. ჰოდა, იმ განწყობის შესაბამისად იმოქმედოს შემდეგ ხელისუფლებამ და სწორედ ხალხის არჩევანის მიხედვით განავითაროს საგარეო კურსი.

სხვაგვარად კი რა გამოდის? **30 წელია, ჩაგვჩიჩინებენ: გინდათ თუ არა, ნატოში უნდა შევიდეთ, აგერ ახლა გაგვიღებენ კარს, აგერ ახლაო. და იმის მიუხედავად, რომ არაერთხელ პირდაპირ გვითხრეს: უახლოეს 30 წელში მაგაზე არც იოცნებოთო, მაინც ჯიუტად იმავეს „ვაწვებით“. ხომ ამბობს ხელისუფლება, ხალხის მსახური ვარო? ხომ იმეორებს ოპოზიციაც: ხელისუფლებაში რომ მოვალ, მხოლოდ ხალხზე ვიზრუნებო? ჰოდა, გაითვალისწინეთ, ბატონებო, ხალხის აზრი და, რასაც მოსახლეობა აირჩევს, ის გააკეთეთ, ისე იმოქმედეთ, თუმცა...**

> **არსებობს ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ ამჟამინდელ საგარეო კურსზე ამომრჩეველთა უმრავლესობა უარს იტყვის. ეს კი იმის მანიშნებელი იქნება, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა დაუქნიოს დასავლეთს და იქიდან მიღებული ინსტრუქციები არ შეასრულოს, რაც დასავლეთს ხელს არ აძლევს, ამიტომ მაქსიმუმს გააკეთებს, რათა ხალხის აზრი დოკუმენტში არ აისახოს და მსოფლიოს გასაგონად იყვირონ, რომ, რასაც აკეთებენ, ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის დაკვეთაა**

არსებობს ძალიან დიდი ალბათობა იმისა, რომ ამჟამინდელ საგარეო კურსზე ამომრჩევლის უმრავლესობა უარს იტყვის. ეს კი იმის მანიშნებელი იქნება, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა დაუქნიოს დასავლეთს და იქიდან მიღებული ინსტრუქციები არ შეასრულოს, რაც დასავლეთს ხელს არ აძლევს, ამიტომ მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ ხალხის აზრი დოკუმენტში არ აისახოს და მსოფლიოს გასაგონად იყვირონ, რომ რასაც აკეთებენ, ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის დაკვეთაა.

სხვათა შორის, პროპორციულ სისტემაზე გადასვლის კანონპროექტის ჩაგდების შემდეგ, მთავრობის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა ამერიკის საელჩომ საქართველოში, რამდენიმე ამერიკელმა კონგრესმენმა, ევროკომისარმა, ევროპარლამენტარებმა. რაც მთავარია, მათი უმრავლესობა პირდაპირ ამბობდა, რომ ეს არის ვლადიმერ პუტინისთვის ლანგრით მირთმეული საჩუქარი. მაგრამ **რა შუაშია პუტინი და ის, როგორი სისტემით ჩატარდება საქართველოში არჩევნები?!** მით უმეტეს, რომ რუსეთის ფედერაციის არც ერთ მაღალჩინოსანს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე კომენტარი არ გაუკეთებია, ანუ ისინი ქვეყნის საშინაო საქმეებში, უბრალოდ, არ ერევიან. სამაგიეროდ, ვისაც არ დაეზარა ევროპიდან თუ ამერიკიდან, ყველამ ჭკუა გვასწავლა, მითითებები მოგვცა და, რაც მთავარია, მათმა უმრავლესობამ გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ. **ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ჩრდილოელი მეზობლის დუმილი და დიპლომატია გადაეფარათ.** აბა, თავად განსაჯეთ: **ამერიკის ან ნებისმიერი ევროპული ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილება ქართველმა პოლიტიკოსებმა რომ გააპროტესტონ, რა მოხდება? მოხდება ის, რომ ცუდის მთქმელს დაიბარებენ და იმ კანონს, რომელსაც გააპროტესტებს, თავზე გადაახევენ და პოლიტიკურ კარიერასაც დაასრულებინებენ.** ჰო, იმ ქვეყნის ელჩი, საპროტესტო ნოტას კი არა, საგარეო საქმეთა სამინისტროს იმხელა არზას გაუგზავნის, წაკითხვას რამდენიმე დღე დასჭირდება. ამ პირობებში ხმა არავის ამოუღია იმაზე, რომ **ამერიკამ და ევროპამ თითი ატაკეს თვალში საქართველოს ხელისუფლებას — არავის უკითხავს, რას აკეთებთ და რატომ აკეთებთ, საშინაო საქმეებში რატომ ერევითო; საარჩევნო სისტემა კი სწორედ რომ საშინაო საქმეა. საარჩევნო სისტემა არ არის არც საგარეო კურსი, არც სხვა ისეთი რამ, რომელზეც შეიძლება ყველა უცხოელმა პოლიტიკოსმა კომენტარი აკეთოს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდებოდა, რომელიმე რუს პოლიტიკოსს რომ წამოსცდენოდა, პროექტი მომწონს ან არ მომწონსო?!** მაშინვე ჯვარზე გააკრავდნენ, ქვეყანაში შემოსვლას აუკრძალავდნენ, შავ სიაში შეიყვანდნენ და ამას სატელევიზიო შოუები მიეძღვნებოდა. ახლა კი ვითომ არაფერი, ისე მარტივად ვიტანთ საშინაო საქმეებში უცხოთა ჩარევას, მაგალითად, ლიეტუველი **ანდრიუს კუბილიუსის** განცხადებას, რომელიც „გულისტკივილით“ ამბობს, რომ თურმე „პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა ქართველი ხალხის მოთხოვნა იყო და პარლამენტმა საკუთარ ამომრჩეველს ვერ მოუსმინა...“ **ეს კაცი ევროპარლამენტარია და... ხომ არ იცით, საიდან დაასკვნა, რომ ეს ქართველი ხალხის მოთხოვნა იყო? თუ იმ რამდენიმე ასეული ადამიანის მოთხოვნას, რომელიც რუსთაველზე იდგა, მთელი ერის პოზიციად თვლის? ასე, რამდენიმე ათეული ადამიანი გეიაღლუმის ჩატარებასაც ცდილობდა და ვაღიაროთ ეს ქართველი ხალხის მოთხოვნად?!**

> **სანამ კანონმდებლები პრეზერვატივებზე ბუსუსების თვლით, ძაღლის ყეფის სიხშირითა და სხვა არაფრისმომცემი ამბებით იქნებიან დაკავებულნი, არაფერი გვეშველება. დროა, ყველამ ერთად, პოზიციამ და ოპოზიციამ, თქვას, რომ ეს საშინაო საქმეა და სწორედაც რომ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს იმის გასარკვევად, რანი ვართ, რა გვინდა და საით მივდივართ. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის, რადგან კომპასდაკარგულ გემს ვგავართ, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელიწადია**

არ გამოვა ასე, ბატონებო, არა! **სანამ კანონმდებლები პრეზერვატივებზე ბუსუსების თვლით, ძაღლის ყეფის სიხშირითა და სხვა არაფრისმომცემი ამბებით იქნებიან დაკავებულნი, არაფერი გვეშველება. დროა, ყველამ ერთად, პოზიციამ და ოპოზიციამ, თქვას, რომ ეს საშინაო საქმეა და სწორედაც რომ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს იმის გასარკვევად, რანი ვართ, რა გვინდა და საით მივდივართ. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის, რადგან კომპასდაკარგულ გემს ვგავართ, აგერ უკვე მერამდენე ათეული წელია.**

**ბესო ბარბაქაძე**

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს ხელისუფლება, ისევე, როგორც ნაცური ოპოზიცია, უკრაინელ ბანდერელებს, რომლებიც ფაშისტური სვასტიკებითა და ჩირაღდნებით მარშირებენ კიევისა და სხვა ქალაქების ქუჩებში, გაგებით ეკიდება და არამხოლოდ ისინი, ე.წ. ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებიც. მათი მხრიდან გაფრთხილების, საზარელი ფაქტების, ჟურნალისტების ხოცვის, მეორე მსოფლიო ომის გმირი საბჭოთა ჯარისკაცებისა და მეთაურების ძეგლების დემონტაჟის, წაბილწვის მაგალითების დაგმობის ერთი სიტყვაც არ ისმის. სამაგიეროდ, უკრაინას საბრძოლო იარაღს აწვდიან რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. რას ნიშნავს ეს, თუ არა უკრაინაში სამოქალაქო ომის გახანგრძლივებას, ძმათა შორის შუღლისა და მტრობის გაათკეცებას?**

# ვიაროთ დიდი ილიას გზით

**ახლახან ავტომანქანით მგზავრობისას ჩემი ყურადღება მიიპყრო საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველი არხის რადიოგადაცემამ, რომელშიც ორი წამყვანი ერთმანეთსა და რადიომსმენელს ესაუბრებოდა დიდი ილიას შემოქმედებაზე, მის ნიჭსა და გონიერებაზე, უბადლო საზოგადო მოღვაწეობაზე... ერთი სიტყვით, იმ ყველა სიკეთესა და სიბრძნეზე, განგებამ რომ უხვად დააბერტყა მართლაცდა ბუმბერაზ ადამიანს — საქართველოს უგვირგვინო მეფეს.**



ჟურნალისტების პათოსს ხმას უერთებდნენ მსმენელები, რომლებიც ტელეფონით უკავშირდებოდნენ სტუდიას. მოგვიანებით დავადგინე, რომ ეს პროგრამა შაბათ-კვირაობით გადაიცემა ეთერში, სათაურით „ჩაი ორისთვის“.

საკმაოდ ხანგრძლივ რადიოგადაცემაში რაზე არ იყო ლაპარაკი, გარედან შესული ზარების ჩართვით — ეკოლოგიაზე, ფლორაზე, სხვა თემებზე. ერთ-ერთმა წამყვანმა, სახელად **შავლეგომ,** ამცნო მსმენელებს, რომ ბუნების, კერძოდ, ფლორის მიმართ ამერიკული სიმღერა აქვს შერჩეული და მისი მოსმენა შესთავაზა მსმენელებს.

სანამ სიმღერას გაუშვებდა, კიდევ ერთ ზარს უპასუხა, რამაც უმალ ნეგატიურად განმაწყო, როგორც შავლეგოს, ისე გადაცემის მიმართ. მსმენელი თხოვდა, წამყვანებს გაეშვათ ქართული სიმღერა **„ტყე შეუნახე შვილებსა“,** რომელიც წამოჭრილ საკითხს თემატურად ესადაგებოდა; გარდა ამისა, სურდა სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორის — **ალექსანდრა პახმუტოვას** პოპულარული სიმღერის „ბელოვეჟსკაია პუშჩა“-ს (ბელოვეჟის ტევრი) მოსმენა. მსმენელმა ისიც დაამატა, რომ იმ დღეს კომპოზიტორის დაბადების დღე იყო და მოსკოვის „დიდ თეატრში“ საიუბილეო საღამო იყო დაგეგმილი.

პატივცემულმა შავლეგომ, ვითარცა გველნაკბენმა, უმალ შეიცვალა საუბრის ტონი და უხეშად, ღვარძლიანად უპასუხა რადიომსმენელს: პახმუტოვას სიმღერას არ გავუშვებო! ერთი დააკლდა, ეთქვა, — არ გაუშვებს იმიტომ, რომ რუსეთი აგრესორი და ოკუპანტია.

თუმცა შავლეგოსი რა მიკვირს, როდესაც მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლის დასაწყისში ქართულ და ინგლისურ ენებზე მაყურებელს, რომელიც თეატრში სულიერი საზრდოს მისაღებად და კულტურულად დასასვენებლად მივიდა, „გულში ჩამწვდომი ხმით“, პოლიტიკურად „მუხტავენ“: გახსოვდეთ, საქართველოს ტერიტორიების 20% რუსეთს აქვს მიტაცებულიო.

ბარაქალა კულტურის მესვეურებს, საზოგადოებრივ ტელევიზიას „სიფხიზლისა“ და „პატრიოტიზმისთვის“! ოღონდ მოჭარბებული, უადგილო პატრიოტიზმი მომაბეზრებელია და საწინააღმდეგოდ განაწყობს საზოგადოებას. დაუკვირდით, დღის განმავლობაში ელექტრონული მედია რამდენჯერ ახსენებს რუსეთის აგრესიას, ამ ქვეყნის „შავბნელ“ საქმეებს, როგორ „ტანჯავს“ ის თავის მეზობელ ქვეყნებს, განსაკუთრებით — ჩვენს მეგობარ უკრაინას.

უკრაინის ტელეკომპანიები (ისევე, როგორც ჩვენი) რუსეთის ლანძღვა-გინებაში ათენაღამებენ. იქაც ისე, როგორც აქ, ნებისმიერი პოლიტიკოსი, ჟურნალისტი თუ ანალიტიკოსი, რომელიც მოუწოდებს საზოგადოებას, შეწყვიტოს აგრესიული განცხადებების ფრქვევა და ყველაფერი ილონოს დონბასში ომის შეწყვეტისა და რუსეთთან საქმიანი ურთიერთობების აღსადგენად, უმალ მოღალატეებად, მტრებად სახელდებიან. ქალაქ ლვოვში გამართული ერთ-ერთი სატელევიზიო თოქშოუს მიმდინარეობისას ცნობილ უკრაინელ ჟურნალისტ **რუსლან კაცაბას** მოფაშისტო ელემენტმა ყური აახია მუქარით თან ბღავილით, რომ კაცაბა „ეფ-ეს-ბეს“ აგენტია და იქიდან ფინანსდება.

**ანტირუსული ბაცილით დააავადეს ამერიკელებმა ორი «მოძმე» ქვეყანა, რამაც ორივეს გაპარტახება არგუნა წილად. ორივე ქვეყანაში ნულზე დავიდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, დემოგრაფიული ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. მილიონობით უკრაინელი გადაიხვეწა საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად, ისევე, როგორც ქართველი**

**საქართველოს ხელისუფლება, ისევე, როგორც ნაცური ოპოზიცია, უკრაინელ ბანდერელებს, რომლებიც ფაშისტური სვასტიკებითა და ჩირაღდნებით მარშირებენ კიევისა და სხვა ქალაქების ქუჩებში, გაგებით ეკიდება და არამხოლოდ ისინი, ე.წ. ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებიც. მათი მხრიდან გაფრთხილების, საზარელი ფაქტების, ჟურნალისტების ხოცვის, მეორე მსოფლიო ომის გმირი საბჭოთა ჯარისკაცებისა და მეთაურების ძეგლების დემონტაჟის, წაბილწვის მაგალითების დაგმობის ერთი სიტყვაც არ ისმის. სამაგიეროდ, უკრაინას საბრძოლო იარაღს აწვდიან რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. რას ნიშნავს ეს, თუ არა უკრაინაში სამოქალაქო ომის გახანგრძლივებას, ძმათა შორის შუღლისა და მტრობის გაათკეცებას?**

შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების ანტირუსული პროექტისთვის ხორცშესხმა. შეგახსენებთ, ცნობილი ამერიკელი (წარმოშობით პოლონელი) პოლიტიკოსისა და სწავლულის, **ზბიგნევ ბჟეზინსკის** რეცეპტს — **„რუსეთისთვის წყლის შეყენება უკრაინის ჩამოშორებით უნდა დაიწყოს!“**

როგორც ვხედავთ, ამერიკელებმა მოახერხეს ბჟეზინსკის შეგონებისთვის ფრთების შესხმა. მართალია, ამ საქმისთვის, მათივე აღიარებით, 5 მილიარდი დოლარი დახარჯეს, აღარაფერი რომ არაფერი ვთქვათ ბიზნესის მიერ დახარჯულ მილიონებზე და მიზანს მიაღწიეს.

**დღევანდელი უკრაინა, განსაკუთრებით, პოლიტიკური ელიტა, ისეა გადამტერებული საკუთარ სისხლსა და ხორცზე — რუსებზე, უარესს რომ ვერავინ წარმოიდგენდა თუნდაც უახლოეს წარსულში. ამერიკულმა ფერად-ყვავილოვანმა რევოლუციამ მოიტანა ეს — 2014 წელს ჩვენთვის ცნობილი დიპლომატი ქალბატონის — ნულანდის, მიერ მაიდნის მეამბოხეებისთვის ფუნთუშების ჩამორიგებამ; აწ განსვენებული ამერიკელი სენატორის — მაკეინის ანტირუსულმა განცხადებებმა; ყოფილი ვიცეპრეზიდენტის — ბაიდენის უკრაინულმა ვოიაჟებმა.**

**ამერიკელებმა იყიდეს უკრაინული პოლიტელიტა, აამხედრეს რუსეთის წინააღმდეგ, დააწყებინეს ომი საკუთარი ქვეყნის იმ ნაწილის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც იცავდა მშობლიურ ენას — რუსულს და იმ ზომამდე გაამწვავეს, დამუხრუჭება რომ შეუძლებელი ხდება.**

მოდი დავსვათ კითხვა: რომ არა „ნარინჯისფერი“ რევოლუცია, ფაშიზმის აღორძინება, ანტირუსული კამპანიის გაჩაღება, რუსული ენის აკრძალვა, მოხდებოდა თუ არა დონბასის უბედურება, გამოეყოფოდა თუ არა ყირიმი უკრაინას?

ანალოგიური კითხვა დავუსვათ საკუთარ თავსაც — 2008 წლის აგვისტოს ცხინვალის ომზე — **რომ არა სააკაშვილის ავანტიურისტული ნაბიჯი, ამერიკის გარკვეული წრეების წახალისებით საქართველო ტერიტორიების 20%-ს დაკარგავდა და ასობით ახალგაზრდა მეომარი დაიღუპებოდა ან დასახიჩრდებოდა?**

როდესაც ვამბობთ ერთს, იქ მეორეც უნდა ვთქვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში წინა ნათქვამი დაუჯერებლად აღიქმება. და ეს უნდა შეიგნოს ყველამ — პოლიტიკოსმა, ექსპერტმა, ჟურნალისტმა, ინტელიგენციის წარმომადგენელმა... მათ შორის შავლეგომაც, რომ უცეცხლოდ კვამლი არ არსებობს. თუ უკრაინის უბედურებაში პოროშენკოს ხელისუფლებასა და მისი მხარდამჭერი აშშ-ის ადმინისტრაციას მიუძღვის ბრალი, **საქართველოს გაუბედურებაში — სააკაშვილს, ნაცებსა და იმავე ამერიკელ „სტრატეგიულ პარტნიორებს“.**

**ანტირუსული ბაცილით დააავადეს ამერიკელებმა ორი „მოძმე“ ქვეყანა, რამაც ორივეს გაპარტახება არგუნა წილად. ორივე ქვეყანაში ნულზე დავიდა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, დემოგრაფიული ვითარება საგრძნობლად გაუარესდა. მილიონობით უკრაინელი გადაიხვეწა საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად, ისევე, როგორც ქართველი.**

**საბჭოთა უკრაინა — თითით საჩვენებელი, სამაგალითო რესპუბლიკა, ისევე, როგორც წარმატებული საბჭოთა საქართველო, „დამოუკიდებლობის“ ჟამს მათხოვრად იქცა. ე.წ. დამოუკიდებლობამ უკიდურესი სიდუხჭირე მოუტანა ხალხს, ხოლო ერთ მუჭა ბიზნესმენებსა და პოლიტიკურ ელიტას — ზღაპრული მილიონები. ნაცვლად პრაგმატული პოლიტიკისა, „სტრატეგიული პარტნიორის“ დაკვეთას მუყაითად ვასრულებთ — ვლანძღავთ რუსებს.**

როგორ არ ვგავართ ფინელებს, რომლებმაც, საბჭოთა კავშირთან გადატანილი მძიმე ომის მიუხედავად, უმალ მოუხმეს გონიერებას, ძალასა და ენერგიას, აწონ-დაწონეს შექმნილი ვითარება, თავიანთი შესაძლებლობები და გადაწყვიტეს, საბჭოთა კავშირთან, რომელმაც ომის შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჩამოაჭრა, დაეწყოთ თანამშრომლობა.

**საბჭოთა კავშირმაც არ დააყოვნა — ენერგეტიკული რესურსებით, ხეტყით, წიაღისეულით უზრუნველყო ფინეთის მრეწველობა და დროის უმოკლეს პერიოდში 5-მი-** ▶

**დღევანდელებს, განსაკუთრებით, ე.წ. პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს შევახსენებ: გზები, რომლებზეც თქვენ დადიხართ, 70-წლიანი «რუსული ანექსიის» პერიოდში არის გაკეთებული; სახლებში, რომლებშიც ცხოვრობთ, იმხანად აშენდაა; განათლებას, მეცნიერებას, სპორტს, კულტურას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას... მაშინ ჩაეყარა საფუძველი და 70 წლის განმავლობაში ისეთ მწვერვალებს მიაღწია, მსოფლიოში თითით საჩვენებელი იყო. თქვენ კი ყოველივე აღნიშნული დაანგრიეთ, მიწასთან გაასწორეთ და, წინაპართა მონიწებით ხსენების ნაცვლად, დღენიადაგ აგინებთ მათ; თესავთ შუღლსა და მტრობას, ზიზღს, განსაკუთრებით რუსთა მიმართ**

# ეროვნული ძალის გამოჩენა საქართველოში მიუღებელია ამერიკული ისტებლიშმენტისთვის, ამიტომ მართვადი პოლიტიკური სუბიექტების მანიპულაციით ყველაფერს აკეთებს ქართველი ამომრჩევლის მოსატყუებლად.

კრიზისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიონიანი ქვეყანა ედემის ბაღად გადაიქცა. თანამედროვე ფინეთი, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოებით, მოწინავეა მსოფლიოში, ხოლო ფინელის ცხოვრების დონეს ნატრულობს, როგორც ამერიკა, ისე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები.**

ფინეთი ის ქვეყანაა, ნატო რომ ეხვეწება ალიანსში შემოდიო. ფინეთი კი უარზეა მარტივი მიზეზის გამო — მას რუსეთის გაღიზიანება არ სურს. ფინეთი არ არის ის ქვეყანა, უკრაინისა და საქართველოს მსგავსად, დღენიადაგ რომ აგინოს რუსეთს. ფინეთი არ უძახის რუსეთს ოკუპანტს. ფინეთმა თავიდანვე გააცნობიერა საკუთარი შეცდომები, რომლებმაც გამოიწვია ომი საბჭოთა კავშირთან და რეალობიდან გამომდინარე დაიწყო მოლაპარაკება კრემლთან.

ჩვენ კი რას ვაკეთებთ?

**ყველა უარყოფით მოვლენას რუსეთს, კრემლსა და პუტინს ვაბრალებთ. იმ დონემდე მივედით, გახმაურებული კინოფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ ჩვენების საწინააღმდეგო გამოსვლებიც რუსეთს დავუკავშირეთ. უზომოდ გაევროპელებული პოლიტიკური ელიტა, მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი საზოგადოება, დაბეჯითებით ტიკტიკებდა ტელეგადაცემებში, რომ ვასაძე, „პატრიოტთა მარში“, ივანიშვილი პირდაპირ კავშირში არიან (არც მეტი, არც ნაკლები) რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან და ასრულებენ პირადად მის დავალებას, რომ „პატრიოტთა მარში“ კრემლიდან ფინანსდება.**

**საპატრიარქოს პრობლემებსაც რუსეთს უკავშირებენ, თან ურცხვად აცხადებენ, რომ მოსკოვს სურს, საქართველოს ეკლესიაში არეულობა შეიტანოს.**

გაევროპელებულებს შევახსენებ, რომ აშშ-იც კი, ე.წ. დემოკრატიის აკვანში, არასასურველი კინოფილმის ჩვენება არაერთხელ აუკრძალავთ, ხოლო პარიზის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოსულა ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების დაკანონების წინააღმდეგ.

**როგორც ჩანს, დასავლეთს ისე მოვაბეზრეთ თავი ჩვენი ევროპელობით, რომ გერმანულმა გაზეთმა „იუნგე ველტმა“ (JUNGE WELT) სტატია გამოაქვეყნა ასეთი სათაურით — „საქართველო არ არის ევროპა, ისწავლეთ გეოგრაფია!“. სტატია გერმანიის პრეზიდენტის, შტაინმაიერის საქართველოში ვიზიტისას დაიბეჭდა.** აი რა წერია მასში:

„საქართველოს რატომ სურს ევროკავშირში შესვლა, გეოგრაფიულად ხომ ის ევროპას არ მიეკუთვნება? საერთაშორისოდ აღიარებული გეოგრაფიული განსაზღვრების თანახმად, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი კავკასიის ქედზე გადის. საქართველო ამ საზღვრის იქით მდებარეობს და ევროპას არ მიეკუთვნება“, — წერს სტატიის ავტორი **რაინჰარდ ლაუტერბახი.**

**დღევანდელებს, განსაკუთრებით, ე.წ. პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს შევახსენებ: გზები, რომლებზეც თქვენ დადიხართ, 70-წლიანი „რუსული ანექსიის“ პერიოდში არის გაკეთებული; სახლებში, რომლებშიც ცხოვრობთ, იმხანად აშენდაა; განათლებას, მეცნიერებას, სპორტს, კულტურას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას... მაშინ ჩაეყარა საფუძველი და 70 წლის განმავლობაში ისეთ მწვერვალებს მიაღწია, მსოფლიოში თითით საჩვენებელი იყო.**

უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, მიზერულ ფასებში პროფკავშირული საგზური საბჭოთა კურორტებზე იმ „დიქტატურის“ დამსახურებაა. ქართველს არასდროს გასჭირვებია უკიდეგანო საბჭოეთის ტერიტორიაზე არსებულ რესპუბლიკებში, მოსკოვში თუ სხვა ქალაქებში. მას ყველგან ხელგაშლილი ხვდებოდნენ, იმიტომ, რომ ვითარება იყო ისეთი, მეგობრობა, კეთილმეზობლობა, კეთილგანწყობა ფასობდა.

თქვენ კი ყოველივე აღნიშნული დაანგრიეთ, მიწასთან გაასწორეთ და, წინაპართა მოწიწებით ხსენების ნაცვლად, დღენიადაგ აგინებთ მათ; თესავთ შუღლსა და მტრობას, ზიზღს, განსაკუთრებით რუსების მიმართ.

თქვენ აქებთ და ადიდებთ დიდ ილიას, რაც გასაკვირია, ვინაიდან შეგნებულად თუ შეუგნებლად, მეტადრე — შეუგნებლად, ილიას ქებას აბათილებთ. არ შეისმენთ მის შეგონებას რუსეთის მიმართ. ამის დასტურია სავალალო მაგალითი შავლეგოსი, რომელმაც დიდი ილიას შემოქმედება დამსახურებულად შეაქო და იქვე ღვარძლიანად გააბათილა ილიას მოწოდება რუსეთთან კეთილი ურთიერთობის თაობაზე განცხადებით — რუსი კომპოზიტორის სიმღერას ეთერში არ გავუშვებო.

**„რუს და ქართველ ხალხთა ტრადიციული ურთიერთსიყვარული ჩვენთვის უფრო საჭირო, ვიდრე რუსთათვის, ვინაიდან ამაშია ჩვენი კეთილდღეობის, ჩვენი ხსნის ერთადერთი საწინდარი. დიდ თვალუწვდენელ რუსეთისთვის კი, ქართველის მისდამი სიყვარულის საკითხი შეიძლება იყვეს მხოლოდ ზნეობრივი ხასიათის კეთილშობილური მზრუნველობის საგანი და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას; ვინაიდან რუსეთი თავისთავად მეტად ღონიერი და ძლიერია და ამიტომ არ სჭირდება რომელიმე პატარა ხალხის თანაგრძნობაში ექიოს თავისთვის საყრდენი; ვიმეორებ, ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს სიყვარული დაკავშირებულია ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხთან — დიდი რუსეთის გარეშე არ არის ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის“.**

ეს სიტყვები ილიას ეკუთვნის და მას კომენტარი არ სჭირდება.

**ომარ მარგველაშვილი**

# ვინ არის დაინტერესებული რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნით?



დავით სუხიაშვილი



**პოლიტიკური კრიზისები, პოლიტიკური რეჟიმების დამხობის მცდელობა, ამომრჩევლის ქუჩაში გამოყვანისკენ მოწოდება თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მსგავსი მოწოდებები ისე ხშირია, რომ ქართველ კაცს, უბრალოდ, რეაქცია აღარ აქვს, თუმცა მსგავსი ნიჰილიზმი მხოლოდ აქციების სიხშირით არ არის განპირობებული, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებ. ახლა მოკლედ — მორიგ პოლიტიკურ კრიზისზე:**

მორიგი პოლიტიკური კრიზისის მიზეზი გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ „ჩაგდება“, არჩევნებთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებებისა, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი ამ ზაფხულს დაჰპირდა რუსთაველზე შეკრებილ რევანშისტებს. დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 2020 წლიდან საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო მხოლოდ პროპორციული სისტემით და ნულოვანი ბარიერის პირობებში. დაპირებას წინ უძღოდა ხანგრძლივი საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა მაჟორიტატული სისტემის „მანკიერებაში“ საზოგადოების დარწმუნებასა და პროპორციული სისტემის უპირობო უპირატესობის მტკიცებას.

**პროპორციული სისტემის დანერგვა დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ხელს აძლევთ მხოლოდ არსებულ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებსაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ტოტალური კონტროლის პირობებში ხელეწიფებათ საკუთარი იდეების გაპიარება და ამომრჩევლისთვის თავსმოხვევა.** ვაშინგტონის ინტერესების გამტარებელი ხსენებული პოლიტიკური სუბიექტების ურთიერთშეთანხმებული ქმედებით ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ვერ მოხერხდა და ფეხი ვერ მოიკიდა ეროვნულმა ძალამ. დღეისათვის სწორედ ამ სუბიექტებისთვის გახდა მიუღებელი მაჟორიტარული სისტემა, რომლის საშუალებითაც შეიძლება პარლამენტში მოხვდეს ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც გული შესტკივა ქვეყნის, ერისა და საკუთარი კუთხის ბედზე.

მაჟორიტარულ სისტემაზე კოლექტიური თავდასხმა განპირობებულია იმით, რომ ის ხელს უშლის არსებულ პოლიტიკურ სუბიექტებს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კონტროლით მიიღონ მაქსიმალური შედეგი, რადგანაც, ადამიანის ცნობიერებაზე მასმედიის დიდი ზეგავლენის მიუხედავად, ძნელია, აიძულო ვინმე, მხარი არ დაუჭიროს ეროვნულად მოაზროვნე, დიდი ავტორიტეტის მქონე მაჟორიტარს. სწორედ ამ არჩევანის წართმევას ისახავს მიზნად პროდასავლური პოლიტიკური სუბიექტების მაჟორიტარული სისტემის კოლექტიური კრიტიკა.

ივანიშვილი თავდაპირველად დასთანხმდა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მიხვდა, რომ პროცესებზე მის მიერ კონტროლის დაკარგვის შანსი ძალიან მაღალი იყო, ამიტომ მის ქისაზე დაკიდებული დეპუტატების საშუალებით კანონპროექტის ჩავარდნა გაითამაშა, თან მწუხარებაც გამოთქვა და ყველაფერში აგრესიული „ოპოზიციონერი“ დეპუტატები დაადანაშაულა, თითქოს მათ მოახდინეს დეპუტატების პროვოცირება და კანონპროექტის წინააღმდეგ მათ მიერ ხმის მიცემა.

საკონსტიტუციო ცვლილების ჩაგდებამ „ალაშფოთა“ და რუსთაველზე გამოიყვანა ყველა პოლიტიკური გვამი, რომლებმაც ერთხმად შემოუძახეს ივანიშვილს და მოითხოვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, რაც საქართველოს ძველი თუ ახლანდელი დამანგრეველი პოლიტიკური სუბიექტების ინტერესებშია და რომლებიც მუდმივ წინასაარჩევნო მზადყოფნაში არიან. მათთვის სრულიად საკმარისია ორი თვე, რათა ურთიერთბრალდებებითა და პროვოკაციებით მოახდინონ საკუთრი ამომრჩევლის ორგანიზება და დარაზმვა.

ერთადერთი, ვისაც ხელს არ აძლევს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, ეროვნული ძალის მოლოდინში დაღლილი ქართველი კაცია. ეროვნული ძალის გამოჩენის მოლოდინში საზოგადოების ამ ნაწილმა, დიდი ხანია, შეწყვიტა ბოლო ათწლეულებში არჩევნებად წოდებულ ფარსში მონაწილეობა. საზოგადოების ხსენებულ ნაწილს დღესაც აქვს არჩევნებამდე ეროვნული ძალის გამოჩენის მოლოდინი, თუმცა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში ვერ ჩამოყალიბდება და ამომრჩევლამდე თავის სათქმელს ვერ მიიტანს ეროვნული ძალა, რომლის გამოჩენის იმედსაც ქართველი კაცი არ კარგავს. **სწორედ ამის ეშინიათ ვაშინგტონის მონა პოლიტიკურ სუბიექტებს, გადაჯგუფებით ცდილობენ ამომრჩევლის მოტყუებას და პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენას. ეროვნული ძალის გამოჩენა საქართველოში მიუღებელია ამერიკული ისტებლიშმენტისთვის, ამიტომ მართვადი პოლიტიკური სუბიექტების მანიპულაციით ყველაფერს აკეთებს ქართველი ამომრჩევლის მოსატყუებლად.**

ქართველ საზოგადოებაში, დიდი ხანია, მომწიფდა ანტიამერიკული განწყობა, იცვლება დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის მიმართ. ამომრჩეველი ხედავს, რომ იზრდება მოსკოვის ავტორიტეტი და გავლენა, მასზე დასავლეთის ლიბერალური ელიტის კოლექტიური თავდასხმის მიუხედავათ. აღნიშნულმა მდგომარეობამ ბევრი ქართველი რუსოფობიც ჩრდილოეთისკენ გაახედა, თუმცა ესეც ამომრჩევლის მოტყუების კიდევ ერთი ხერხია. ამერიკის მიერ მართული პოლიტიკური სუბიექტები რუსეთთან სხვადასხვა ფორმით დიალოგის ინიცირებით ცდილობენ ამომრჩეველთა მოტყუებას და მოსკოვთან დიალოგზე ორიენტირებული სუბიექტების იმიჯის შექმნას.

მშიერი ქართველი კაცი დაიღალა დაუსრულებელი პოლიტიკური კრიზისებით, რაზეც კარგად მეტყველებს ბოლო წლების არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა და საპროტესტო მოწოდებების მიმართ მათი გულგრილი დამოკიდებულება. საზოგადოება მიხვდა, რომ არ არსებობს პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც შეასრულებს მათ დაკვეთას.

ევროპული და ევროატლანტიკური „გაბრწყინების“ მოლოდინში საზოგადოება ისე დაამშიეს, რომ ყველა სრულწლოვანი საქართველოდან წასვლაზე ოცნებობს. ის, ვისაც წასვლა არ შეუძლია, მონური შრომით, მევახშეებისგან გატყავებული ცდილობს ლუკმაპურის შოვნას. დღეს საზოგადოების უდიდესი ნაწილი უმძიმეს მდგომარეობაშია. მათთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ ჩატარდება მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რადგან ხვდებიან, რომ მათ კეთილდღეობაზე ეს არანაირ გავლენს არ მოახდენს და დღევანდელი პოლიტიკური კრიზისი არის მხოლოდ ვაშინგტონს დამონებული პოლიტიკური სუბიექტების ურთიერთდაპირისპირება ძალაუფლების მორიგი გადანაწილების მიზნით.

**დავით სუხიაშვილი,**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

**მაჟორიტარულ სისტემაზე კოლექტიური თავდასხმა განპირობებულია იმით, რომ ის ხელს უშლის არსებულ პოლიტიკურ სუბიექტებს, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კონტროლით მიიღონ მაქსიმალური შედეგი, რადგანაც, ადამიანის ცნობიერებაზე მასმედიის დიდი ზეგავლენის მიუხედავად, ძნელია, აიძულო ვინმე, მხარი არ დაუჭიროს ეროვნულად მოაზროვნე, დიდი ავტორიტეტის მქონე მაჟორიტარს. სწორედ ამ არჩევანის წართმევას ისახავს მიზნად პროდასავლური პოლიტიკური სუბიექტების მიერ მაჟორიტარული სისტემის კოლექტიური კრიტიკა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტჩისტებს განზრახული აქვთ, მორალესს თავისუფლება აღუკვეთონ ან სულაც სიცოცხლეს გამოასალმონ, რადგან, პოლიტიკური დამარცხების მიუხედავად, აიმარის წარმომადგენელი ინდიელი კვლავ ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, რომელმაც ახლახან გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა. ასეთი მტრის განადგურების ცდუნება ძალიან დიდია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მორალესი მიყრუებულ პროვინციაში იმალება და მას მხარდამჭერები იცავენ.**

**ბოლივიაში მოხდა კლასიკური გადატრიალება, რომლის შედეგად გადადგა ევო მორალესი — პრეზიდენტი, რომელიც 14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქვეყანას და ბევრი რამ გააკეთა სიღარიბისა და ჩამორჩენილობის დასაძლევად.**

# რატომ შფოთავს ლათინური ამერიკა

## სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს რევოლუციები და ამბოხებები აზანზარებს და ეს მხოლოდ დასაწყისია

**ევო მორალესი**, აიმარების ხალხის წარმომადგენელი, სარგებლობდა ადგილობრივების მხარდაჭერით — პირველ რიგში, ინდიელების, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. სწორედ ამ მხარდაჭერით გაიმარჯვა მან მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ შედეგები გააპროტესტეს ნეოლიბერალური პოლიტიკოს **კარლოსის მესას** მომხრეებმა, რომელთა მხარესაც დადგნენ „საერთაშორისო საზოგადოების" წარმომადგენლები ამერიკული ორგანიზაციებისა და თვით აშშ-ის სახით.

ამჟამად აშკარაა: **ინდიელი პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებმა ჩაატარეს კარგად ორგანიზებული და კოორდინირებული ოპერაცია ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდებით ხელში ჩასაგდებად. და, როგორც ჩანს, ამაში ქვეყნის გარედან დახმარების იმედი ჰქონდათ.**

**ბოლივიის დიდ ქალაქებში ერთდროულად იფეთქა ადგილობრივი ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების აჯანყებამ. მათ მხარეს მალე გადავიდა პოლიცია. გადატრიალების მონაწილეები ცდილობდნენ, მაქსიმალურად შეეშინებინათ ოპონენტები — მორალესის მომხრეებს ქუჩაში აჩერებდნენ, საღებავს ასხამდნენ, შემდეგ კი, სქესისა და წლოვანების მიუხედავად, სირცხვილის დერეფანში ატარებდნენ** (ამერიკული სპეცსამსახურების აგენტების ხელწერა ყველგან ერთნაირია — გ.გ).

ამ ტაქტიკის სპეციფიკა იყო შეტევა იმ სახლებზე, რომლებშიც ცხოვრობდნენ ცნობილი ბოლივიელი პოლიტიკოსების ნათესავები, მათ შორის, თვითონ პრეზიდენტის ოჯახის წევრებიც, რაც კანონიერი ხელისუფლების დემორალიზაციას იწვევდა. ამასთანავე, ევო მორალესისთვის წაყენებული პრეტენზიები აბსტრაქტული იყო — მას დიდი პათოსით ადანაშაულებდნენ კორუფციაში, მაგრამ ეს ბრალდება მტკიცებულებებით არ იყო გამაგრებული.

**ევო მორალესმა ვერ გაუძლო წნეხს და დათანხმდა ახალი არჩევნების ჩატარებას, მაგრამ მემარჯვენეებმა მას პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომა და მმართველი პარტიის — „მოძრაობა სოციალიზმისკენ" ყველა დეპუტატისა და მაღალჩინოსნის გათავისუფლება მოსთხოვეს.** ამის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ამბოხებულებს სურთ, კანონის ელემენტარული ნორმების დაუცველად სრულიად გაწმინდონ ბოლივიის მთავრობა მემარცხენეებისგან. ამბოხებულთა მხარეს გადავიდნენ შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი **უილიამ კალიმანი** და პოლიციის უფროსი **ვლადიმერ იური კალდერონი.** მათ ულტიმატუმის ენით მოითხოვეს მორალესისგან, უარი ეთქვა ძალაუფლებაზე და პრეზიდენტმაც დათმო. მორალესმა სამთავრობო გუნდის ძირითად წევრებთან ერთად უარი განაცხადა უფლებამოსილებებზე, რაც ამბოხებულთა გამარჯვებას ნიშნავდა.

მაგრამ ამის შემდეგ მოვლენები უფრო დრამატულად განვითარდა. მას შემდეგ, რაც პარტია „მოძრაობა სოციალიზმისკენ" წამყვანმა პოლიტიკოსებმა სახელმწიფო პოსტები დატოვეს, ქვეყნის პრეზიდენტის ფუნქციები მიისაკუთრა მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელმა, სენატის ვიცეთავმჯდომარე **ჟანინ ანიესმა,** მაგრამ მან ვერ შეაჩერა ძალადობა. **ულტრამემარჯვენეებმა პოლიციასთან ერთად შეუტიეს მემარცხენე პარტიების, პროფკავშირებისა და ინდიელების ორგანიზაციების ოფისებს, აგრეთვე, კუბის, მექსიკისა და ვენესუელის საელჩოებს, თანაც, მექსიკელი დიპლომატის თქმით, ამ თავდასხმაში მონაწილეობდნენ ბოლივიელი პოლიციელები და ჯარისკაცები. პარალელურად თავდამსხმელებმა ნადირობა გააჩაღეს ევო მორალესზე — შტურმით აიღეს მისი რეზიდენცია, მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებმა კი დემონსტრაციულად ჩაუკეტეს მას საჰაერო საზღვრები, რათა ჩამოგდებული პრეზიდენტი ხაფანგში მოქცეულიყო.**

ყველასთვის ნათელია, რომ პუტჩისტებს განზრახული აქვთ, მორალესს თავისუფლება აღუკვეთონ ან სულაც სიცოცხლეს გამოასალმონ, რადგან, პოლიტიკური დამარცხების მიუხედავად, აიმარის წარმომადგენელი ინდიელი კვლავ ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია, რომელმაც ახლახან გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა. ასეთი მტრის განადგურების ცდუნება ძალიან დიდია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მორალესი მიყრუებულ პროვინციაში იმალება და მას მხარდამჭერები იცავენ. ბოლივიაში მემარჯვენე გადატრიალება, რომლის უკანაც იდგნენ ადგილობრივი პარამილიტარისტული ორგანიზაციები, პოლიციელები და არმიის ნაწილები, განსაკუთრებული სპეციფიკით ხასიათდება — აქვს ინდიელთა საწინააღმდეგო მკვეთრად გამოხატული შტრიხები. პუტჩისტები აპატიმრებენ ინდიელ პოლიტიკოსებსა და აქტივისტებს, დემონსტრაციულად წვავენ ინდიელთა ეროვნულ დროშებსა და ვიპჰალუს სიმბოლოებს, რომლებიც ადრე სახელმწიფო ორგანოების შენობებზე ეკიდა, მემარჯვენეების ლიდერები, რომლებიც საკუთარ თავს მეომარ ჯარისკაცებს უწოდებდნენ, შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს არ იშურებენ ინდიელთა ტრადიციული სარწმუნოების მიმართ და თავიანთ ქმედებას კერპთაყვანისმცემლებთან ბრძოლას უწოდებენ.

პოლიტიკოსებმა, რომლებმაც ძალაუფლება მოიპოვეს,



ევო მორალესი

**ულტრამემარჯვენეებმა პოლიციასთან ერთად შეუტიეს მემარცხენე პარტიების პროფკავშირებისა და ინდიელთა ორგანიზაციების ოფისებს, აგრეთვე, კუბის, მექსიკისა და ვენესუელის საელჩოებს, თანაც, მექსიკელი დიპლომატის თქმით, ამ თავდასხმაში მონაწილეობდნენ ბოლივიელი პოლიციელები და ჯარისკაცები. პარალელურად თავდამსხმელებმა ნადირობა გააჩაღეს ევო მორალესზე — შტურმით აიღეს მისი რეზიდენცია, მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებმა კი დემონსტრაციულად ჩაუკეტეს მას საჰაერო საზღვრები, რათა ჩამოგდებული პრეზიდენტი ხაფანგში მოქცეულიყო**



ფსონი დადეს ქვეყნის გახლეჩვაზე, რადგან მათი ქმედებით აღშფოთებულები არიან ინდიელები, მორალესის მომხრეებიც ცდილობენ მობილიზაციას ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ მათ, პრაქტიკულად, შანსი არ აქვთ ადგილობრივი პოლიციისა და სამხედროების წინააღმდეგ.

ქვეყანა სამოქალაქო ომის წინაშეა, ოპოზიციას კი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, დასავლეთის მხარდაჭერის იმედი აქვს, როგორც ჰქონდათ ევრომაიდნის გამარჯვებულ წარმომადგენლებს. და მართლაც, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ყურადღებას არ აქცევდა მასობრივ პროტესტებს ეკვადორსა და ჩილეში, რადგან ადგილობრივი ხელისუფლებები საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების ნეოლიბერალური დღის წესრიგის საკითხებს ახორციელებენ, მყისვე გამოვიდა გადატრიალების მხარდამჭერი განცხადებით და ამასთანავე, სრულიადაც არ დაუფარავს თავისი ეკონომიკური ინტერესები.

„ბოლივიას აქვს ბუნებრივი აირის სიდიდით მეორე საბადოები (ვენესუელის შემდეგ) სამხრეთ ამერიკაში და სასარგებლო წიაღისეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა, — დაუფარავად ამბობდა „რადიო თავისუფლება" გადაცემაში, რომელიც მიეძღვნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — მაიკ პომპეოს საჯარო მისალმებას ევო მორალესის დამხობის გამო. „საერთაშორისო საზოგადოებრიობის" ეს დაუფარავი კონიუნქტურულობა თვალში ხვდება დამოუკიდებელ დამკვირვებლებს.

„ვნახე „კორუფციაში ჩაფლული მორალესის" სახლის ძარცვის ვიდეო. განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა პატარა ოთახებმა, დაბალმა ჭერმა, მცირე ზომის ტუალეტმა, იაფფასიანმა ავეჯმა. არცთუ წარმატებული ფირმის ოფისს ჰგავდა, მაგრამ, რადგან ეს გადატრიალებაა მათთვის, ვისაც ეს გადატრიალება სურდა, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ამ იდიოტიზმს თანაუგრძნო", — ირონიით დაწერა ერთ-ერთ მედიაექსპერტმა.

სხვათა შორის, ბოლივიაში გადატრიალების მხარდაჭერით აშშ არა მხოლოდ კერძო ეკონომიკურ ამოცანებს წყვეტს, ვაშინგტონს სურს, შეაკავოს „მემარცხენე ტალღა", რომელმაც სამხრეთ ▶

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რელიგიური ოჯახები სტატისტიკურად შესამჩნევად მრავალშვილიანია, ამიტომ ცდილობენ, რელიგიური საზოგადოებები მოაქციონ წნეხში, რათა აიძულონ, დათანხმდნენ ლიბერალურ დღის წესრიგს, თუნდაც შეარყიონ მისი გავლენა. თუ ეს არ გამოუვათ, ლიბერალების ძირითადი სტრატეგია არის ეკლესიის გახრწნა შიგნიდან. ცოტა ხნის წინათ მომხდარი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ გამოიყურება რელიგიური თემი, რომლის მიმართაც ლიბერალებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს.**

◀ ამერიკის კონტინენტს გადაუარა ვენესუელაში თებერვლის პუტჩის დამარცხების შემდეგ. ეკვადორის, ჩილესა და ურუგვაის მცხოვრებნი ქუჩაში გამოვიდნენ ადგილობრივი მემარჯვენე რეჟიმების მიერ განხორციელებული ნეოლიბერალური პოლიტიკის გასაპროტესტებლად და პოლიტიკური სისტემის გადატვირთვის მოთხოვნით. არგენტინის ხელისუფლების სათავეში კვლავ მოვიდნენ პერონის პარტიის მომხრეები, ბრაზილიაში კი პატიმრობიდან გათავისუფლდა ქარიზმული და პოპულარული ექსპრეზიდენტი **ლულა და სილვა**, რომელსაც შეუძლია, გარშემო შემოიკრიბოს ულტრამემარჯვენე პროამერიკული პრეზიდენტის — **ჟაირ ბოლსონარუს** მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგენი.

მორალესის დამხობამ მემარცხენე ძალებისა და ინდიელთა მოძრაობის წინააღმდეგ დაწყებულმა ტერორმა შეიძლება შეაფერხოს კონტინენტზე საერთო განწყობა, რომელიც მიმართულია ტრადიციული ნეოლიბერალური პოლიტიკური კლასის წინააღმდეგ.

დასამალი არავისთვისაა: ევო მორალესს ლომის წილი მიუძღვის ამ გამანადგურებელ დამარცხებაში, რაც, სხვათა შორის, არ აკნინებს მის თვალსაჩინო დამსახურებებს.

**„ბოლივიის მთავრობაში და მის გარშემო მხოლოდ საკუთარი პრივილეგიებისთვის მებრძოლი ბევრი ოპორტუნისტი იყო. ამის მიუხედავად, ბოლივიელთა უმრავლესობისთვის ევო მორალესის მთავრობა საუკეთესო იყო ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან — გატარებული სოციალური რეფორმების შედეგად, ბოლივიაში ადამიანები უკეთესად ცხოვრობდნენ. სხვა დიდი გარღვევა იყო უზარმაზარი კულტურული ცვლილებები. ქვეყანაში, სადაც ყველაზე მეტი ინდიელი ცხოვრობდა, ბოლო მოეღო ინდიელი ხალხების სახელმწიფო დისკრიმინაციას და ხელისუფლება თეთრი ელიტების ხელიდან ადგილობრივი ელიტების ხელში გადავიდა. მთავრობის მრავალრიცხოვანი შეცდომების, მემარცხენე ძალების გაფანტულობითა და ძალოვან სტრუქტურებში ღრმა რეფორმების არარსებობის გამოყენებით ადგილობრივმა ოლიგარქიამ აშშ-ის იმპერიალიზმისა და მისი რეგიონული ვასალების დახმარებით დაიბრუნა პოლიტიკური ძალაუფლება. ყველაზე სავარაუდო გაგრძელება იქნება ახალი ხელისუფლების მხრიდან სოციალური, ინდიელებისა და გლეხების ლიდერების დევნა, ბოლივიის ნაციონალური სიმდიდრეების გადაცემა უწინდელი უცხოელი მფლობელებისთვის“,** — ასეთია ექსპერტების შეფასება.

ბოლივიის „მოძრაობამ სოციალიზმისკენ“ ვერ გაითვალისწინა თავისი ვენესუელელი მოკავშირის გამოცდილება, რომელმაც თავისი შეიარაღებული მხარდამჭერების მობილიზებითა და სამხედრო სტრუქტურების ლოიალურობის წყალობით შეინარჩუნა პოლიტიკური ძალაუფლება. და, სახელდობრ, ამან განსაზღვრა საბოლოოდ გადატრიალების წარმატებით განვითარება.

ამას გარდა, მორალესის მომხრეები აგებენ საინფორმაციო ომს — არჩევნების მიმდინარეობისას მემარჯვენე ოპოზიცია აქტიურად იყენებდა მათ წინააღმდეგ ყალბ ინფორმაციას რუს პიარტექნოლოგებზე, რომლებიც თითქოს ეხმარებოდნენ ინდიელთა სოციალისტურ მთავრობას, აგრეთვე, ბრალს დებდა მორალესს კორუფციაში და აშკარად აჭარბებდა მის რეალურ მასშტაბებს.

**ინდიელი ევოს „კომუნისტური დიქტატურა ძალიან დემოკრატიული აღმოჩნდა — ხელისუფლებამ აშკარად ვერ გაითვალისწინა უკრაინის გამოცდილების ცნობილი რეალიები და ხელი ვერ შეუშალა ოპოზიციას, გაეკონტროლებინა ვითარება ქვეყნის რამდენიმე რეგიონში, რომლებშიც შექმნეს შეიარაღებული რაზმები და აქტიურად ემზადებოდნენ პუტჩისთვის. ამის საზღაური იქნება ახლა რეპრესიები თვით მემარცხენეების წინააღმდეგ.**

ბოლივიაში ბრძოლა, რა თქმა უნდა, არ დამთავრებულა. დემოკრატიულად არჩეული მთავრობის მომხრეები გონს მოდიან შოკის შემდეგ, გარდაქმნის ქარმა კი, რომელიც ბოლივიის მეზობელ ქვეყნებშიც ქრის, პუტჩისტებს შეიძლება გადაუკეტოს უცხოეთიდან დახმარების გზები და შეცვალოს პოლიტიკური კონფიგურაცია სამხრეთ ამერიკაში. ბევრი რამ დამოკიდებულია ევო მორალესისა და მისი უახლესი მხარდამჭერების ბედზე, რომლებზეც პუტჩისტები ნადირობენ. ასე რომ, აშშ-ის მხარდაჭერით ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების საბოლოო წარმატება დადასტურდება მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ, თუკი ამას ხელს არ შეუშლის ბოლივიელი მოქალაქეების მასშტაბური პროტესტი.

**Ukraina.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**





# შემდეგი ნაბიჯი მართლმადიდებლური კულტურის მქონე ხალხების განადგურება იქნება

**შეიძლება თუ არა, რომ ჩვენ მივიღოთ ეკლესიის ისეთი მმართველობა, როცა მის სათავეში იქნება ადამიანი პაპის უფლებამოსილებებით და, ამასთანავე, იქნება ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი გარე ძალების გავლენის ქვეშ?**
**უკრაინაში ეკლესიის კრიზისის დაწყებამდე ლიბერალურად განწყობილი ჟურნალისტები კმაყოფილებით იუწყებოდნენ მართლმადიდებლობის გაყოფის შესახებ ლიბერალურ (ცენტრით კონსტანტინოპოლში) და კონსერვატიულ (ცენტრით მოსკოვში) ნაწილებად, თუმცა ეს არავისთვის ყოფილა სიახლე. სულაც არ არის საჭირო, რაღაც საიდუმლო გეგმების ცოდნა, რათა მიხვდე იმას, რომ ძალები, რომლებსაც სურთ მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა, სწორედ ამგვარად იმოქმედებდნენ.**

თანამედროვე გლობალისტურ ელიტას ჩამოყალიბებული იდეოლოგია აქვს. მისი მოკლედ გამოხატვა შეიძლება ლოზუნგით: **„ცოტა ხალხი — ბევრი ჟანგბადი“.** ხოლო უფრო დაწვრილებით, ამ იდეოლოგიის თანახმად, დედამიწას ემუქრება მოსახლეობის სიჭარბე და ამით გამოწვეული გლობალური დათბობა, თუკი რამე ზომებს არ მივიღებთ, ატმოსფერო გადახურდება, სოფლის მეურნეობა დაინგრევა, კაცობრიობას თავს უბედურება დაატყდება, რომელიც, მედიამაგნატ **ტედ ტერნერის** თქმით, ატომური ომის ტოლფასი იქნება. ამიტომ მსოფლიოს მდიდარი და გავლენიანი ადამიანები, გაერთიანებულები ე.წ. კეთილთა კლუბში, მიზნად ისახავენ „ბრძოლას მოსახლეობის სიჭარბის“ წინააღმდეგ და შობადობის მკვეთრად შემცირებას.

ამ კონტექსტში გასაგები ხდება აბორტების დაშვება და სექსუალური ქცევების უნაყოფო ფორმები, აგრეთვე, ბრძოლა ოჯახთან, საიდანაც მოდის ადამიანის გამრავლების საფრთხე.

აქ, რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს, რომ, **თუ დედამიწაზე მოსახლეობა ჭარბია — ეს არ არის მართლმადიდებლების წყალობით, ლიბერალები კი მოითხოვენ, მცირერიცხოვან ხალხებშიც შემცირდეს შობადობა, რომელიც გამოიწვევს ლიბერალური დიქტატის ქვეშ მოხვედრილი ხალხების გადაშენებას, იმ ხალხების, რომლებმაც შეინარჩუნეს ოჯახისადმი პატივისცემა. ისიც აღსანიშნავია, რომ გლობალური საფრთხეებით ხალხის დაშინება კარგი მეთოდია გლობალური გავლენებისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. ასეა თუ ისე, ლიბერალური პროგრამა პრინციპულად არის მიმართული ოჯახისა და ბავშვების წინააღმდეგ.**

ტრადიციული და, განსაკუთრებით — რელიგიური, ეთიკა, რომელიც პატივს სცემს ოჯახსა და ბავშვებს, გარყვნილებასა და აბორტებს კი, პირიქით — გმობს, ამ პროგრამის უპირობო მოწინააღმდეგეა.

რელიგიური ოჯახები სტატისტიკურად შესამჩნევად მრავალშვილიანია, ამიტომ ცდილობენ, რელიგიური საზოგადოებები მოაქციონ წნეხში, რათა აიძულონ, დათანხმდნენ ლიბერალურ დღის წესრიგს, თუნდაც შეარყიონ მისი გავლენა. თუ ეს არ გამოუვათ, ლიბერალების ძირითადი სტრატეგია არის ეკლესიის გახრწნა შიგნიდან. ცოტა ხნის წინათ მომხდარი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ გამოიყურება რელიგიური თემი, რომლის მიმართაც ლიბერალებმა თავიანთ მიზანს მიაღწიეს.

აბორტების აშშ-ის ნაციონალურმა ფედერაციამ 5 ნოემბერს თავის პრეზიდენტად **კეტრინ რეგსდეილი** გამოაცხადა — აქტივისტი და აშშ-ის საეპისკოპოსო ეკლესიის „წმინდანი“. მისი თქმით, „ისინი, ვინც იკეთებენ აბორტს, გმირები და თანამედროვე წმინდანები არიან“. კეტრინი ლესბოსელია, „დაქორწინებულია მეორე „წმინდანზე“ იმავე თემიდან.

**უზარმაზარი ძალისხმევაა მიმართული ლიბერალი აქტივისტების მხარდასაჭერად სხვა ქრისტიანულ საზოგადოებებშიც — პროტესტანტულ და კათოლიკურ მრევლში. ისინი ცდილობენ, თავიანთი თემები გადააქციონ იმად, რაც უკვე არის საეპისკოპოსო ეკლესია აშშ-ში.**

ლიბერალური საზოგადოებები, რომლებიც დაჰყვნენ „თანამედროვე ადამიანის“ მოთხოვნებს, რა თქმა უნდა, კვდებიან გაუკაცრიელების გამო და ყიდიან მათთვის უკვე უსარგებლო საეკლესიო ნაგებობებს, რომლებსაც შემდეგ საუკეთესო შემთხვევაში წიგნების მაღაზიად გადააკეთებენ ხოლმე, ძირითადად კი — ბარებად ან რესტორნებად. „პროგრესული საზოგადოება“ ეკლესიაში არც ადრე დადიოდა და არც ახლა დადის. მორწმუნე ადამიანების რაოდენობა კი თანდათან მცირდება — აი, სწორედ ეს არის ლიბერალური რეფორმების მიზანი.

მართლმადიდებლობაში ლიბერალური მიმდინარეობა ცოტა ხნის წინათ შეუმჩნეველი იყო და შეგვეძლო, კმაყოფილებით გვეთქვა, რომ ჩვენ ამ ხაფანგში არ გავებმებოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე აღარ არის. გულუბრყვილობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, რომ თავს დაგანებებენ. ლიბერალური ფონდები დაუფარავად უჭერენ მხარს „მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებს“, რომლებიც მოუწოდებენ, გადაისინჯოს ეკლესიის სწავლება და „აღიარონ სექსუალური მრავალფეროვნება“.

**დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები მართლმადიდებლები გარემომცველი ლიბერალური კულტურის უზარმაზარ გავლენას განიცდიან, მაგრამ ამ გავლენას ხელს უშლის მართლმადიდებელი ქვეყნების, უწინარესად, რუსეთისა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მაგალითი. რუსეთი, ბელარუსი, საქართველო და ბოლო პერიოდამდე უკრაინა — ის ევროპული ქვეყნებია, რომლებშიც კი არ ანგრევენ ეკლესიებს, არამედ აშენებენ. ტაძრებს არც კაფეებად და რესტორნებად გადააკეთებენ ხოლმე. ამ ქვეყნებში ატმოსფეროც სასურველი არ არის ნეოლიბერალების იდეებისთვის, ამიტომ იმისათვის, რომ შეძლონ მართლმადიდებელი ეკლესიის ლიბერალიზაცია, მასში უნდა დაანგრიონ, უწინარესად, მოსკოვის საპატრიარქოს გავლენა, შემდეგ კი ცალ-ცალკე გარდაქმნან ადგილობრივი ეკლესიები.**

პატრიარქ **ბართოლომეოსის** საუკეთესო მეგობარი, მისგან პატრიარქ აფინაგორას სახელობის პრემიით დაჯილდოებული, აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი, **ჯო ბაიდენი,** ცნობილია არა მხოლოდ იმით, რომ კორუფციაშია ჩაფლული, არამედ ლგბტ პირების მხარდამჭერი გამონათქვამებითაც. პატრიარქი ბართოლომეოსი კი აშშ-ის ლიბერალურ ელიტაში მიღებული პირია.

ბართოლომეოსი თავგამოდებით გამოეხმაურა მოწოდებას მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილების შეტანის შესახებ — და ამერიკელი დიპლომატის როლი ამ პროცესში არავის უარუყვია. თავისი ლიბერალი მეგობრების კიდევ რომელ თხოვნასა და მოწოდებას გამოეხმაურება კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ასეთი თხოვნები და მოწოდებები აუცილებლად იქნება. მათი შინაარსის მიხვედრა კი რთული საქმე არ არის.

შეიძლება თუ არა, რომ ჩვენ მივიღოთ ეკლესიის ისეთი მმართველობა, რომლის სათავეშიც იქნება პაპის უფლებამოსილებებით აღჭურვილი ადამიანი, და, ამასთანავე, იქნება ეკლესიის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების ძლიერი გავლენის ქვეშ? არა! ბევრი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო.

**თუკი, ჩვენ, მართლმადიდებლებს, გვაკისრია მისია, გლობალური ლიბერალური იდეოლოგიის შემოტევისგან დავიცვათ მართლმადიდებელი სარწმუნოება, ოჯახი და საღი აზრი, რა გაეწყობა, ეს მისია უნდა შევასრულოთ! მადლიერებით მივესალმოთ მათ, ვინც ჩვენ გვერდით დგას და მშვიდად გავუშვათ ისინი, ვინც მიდიან.**

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვენისა და ბერლინის აღების კვალდაკვალ, სტალინის საგანგებო ბრძანებით, ისე გააკეთეს, რომ პრაღა გერმანელებისგან რუსებმა გაათავისუფლეს და არა ამერიკელებმა. ჩერჩილი გააფრთებით ადევნებდა თვალს, როგორ ეცემოდა ერთმანეთის მიყოლებით ცენტრალური ევროპის დედაქალაქები რუსი ჯარისკაცების წინაშე. იგი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ენტონი იდენს, რომელიც ამერიკაში იმყოფებოდა, სწერდა საშინელი პერსპექტივის შესახებ, რომ მალე მთელი ევროპა რუსეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ეს კი ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა იქნებოდა.**

# სტალინი — მსოფლიო პოლიტიკისა და დიპლომატიის კორიფე

**მსოფლიო ომების ისტორიაში უამრავი კავშირი და ტრიუმვირატი შექმნილა, მაგრამ ხშირად ამ კავშირებს დადებითი შედეგისთვის ვერ მიუღწევია. ამის უახლესი მაგალითია მსოფლიო ომში გერმანია-იტალიის კავშირი, რომლის არაორგანიზაციულობის შედეგად ორივე ქვეყნის მთავარსარდლებმა სიცოცხლე სამარცხვინო სიკვდილით დაასრულეს. სიცოცხლის ბოლო დღეებში ჰიტლერი წუხდა, რომ მისი გაერთიანება მუსოლინისთან დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო — „მუსოლინი მე ფეხებში მებლანდებოდა“. რამ განაპირობა „დიდი სამეულის“ სიმტკიცე და მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება? პასუხი ერთადერთია: სტალინმა.**

სტალინმა კარგად იცოდა, რომ მისი ომისდროინდელი მოკავშირეები იმ ომის მოკავშირეები იყვნენ, რომელიც თვითონ გააჩაღეს **ჰიტლერის** ხელით. აკი **რუზველტმა** (ამერიკის პრეზიდენტმა) თავისი შვილის შეკითხვას — „ომში რატომ არ ვებმებით?“ — ასე უპასუხა: **„ჩვენ სათადარიგო მოთამაშეები ვართ და სათადარიგო სკამზეც ვზივართ. ძირითადი მოთამაშეები რუსები და გერმანელები არიან. ჩვენ მათ გარედან ვუყურებთ. რომელი გუნდიც დაიღლება და რესურსი გამოელევა, მის ნაცვლად შევალთ მოედანზე და დაღლილ გუნდს ადვილად მოვუგებთ“.** ამ პრინციპით მიჰყავდა თამაში მოკავშირეებს, რასაც კარგად ხვდებოდა სტალინი და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების დღიდან პრინციპულად მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას.

1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე ჩასვლის მომენტში, სტალინს ბეჭებზე ჰყავდა გაკრული ჰიტლერი და სტალინგრადში გერმანიის გამარჯვების მზის ჩასვენებითა და წითელ მოედანზე სტალინგრადის გმირი მებრძოლების პატივსაცემად გასროლილი საარტილერიო ზალპით მსოფლიოსთვის დამტკიცებული ჰქონდა თავისი წინასწარმეტყველება, რომ „გაივლის ექვსი თვე, ერთი წელი, შეიძლება წელიწად-ნახევარი, რომ ჰიტლერს თავისი დანაშაულებრივი სიმძიმე გასრესს“. თეირანში სტალინი დიდი სამეულის, ერთ-ერთი წევრი კი არა, „ხაზეინი“ იყო. სწორედ ირანის დედაქალაქში მოსთხოვა მოკავშირეებს მეორე ფრონტის დაწყების თარიღის დასახელება. და როდესაც მოკავშირეებმა ყოყმანი დაიწყეს, სტალინმა ვოროშილოვს მიმართა: „მე აქ სალაყბოდ არ ჩამოვსულვარ, უამრავი საქმე გვაქვს შინაც“. ფეხზე წამომდგარ სტალინს მორჩილად დაუწყო თხოვნა **ჩერჩილმა** და დაუსახელა მეორე ფრონტის გახსნის კონკრეტული თარიღი, შემდეგ კონფერენციამ მუშაობა განაგრძო. ამ ერთი კონკრეტული მომენტით დაიწყო ურთიერთობა „დიდმა სამეულმა“, რომლის წევრებმაც უამრავი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ სტალინის რკინის ხელმა ყველა ღალატისა და თვალთმაქცობის მცდელობა ძირშივე აღკვეთა. სწორედ ამას ეძღვნება დღევანდელი წერილი, რომელიც სრულიად ახალ მასალებზეა აგებული და მოიცავს პერიოდს 1945 წლის მარტიდან სტალინის სიცოცხლის ბოლომდე — 1953 წლის მარტამდე.

1945 წლის მარტში გენერალი **კარლ ვოლფი** საიდუმლოდ შეხვდა იტალიის ხელმძღვანელობას, რაც აგენტურულმა ქსელმა დაუყოვნებლივ აცნობა სტალინს. სტალინმა მოითხოვა, სასწრაფოდ დაეკავშირებინათ შვეიცარიაში მყოფ მოლოტოვთან, რომელსაც დაავალა, დაუყოვნებლივ გარკვეულიყო საქმეში და შედეგები მოეხსენებინა. მოლოტოვმა გაარკვია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ვოლფსა და იტალიის ხელმძღვანელობასთან საბჭოთა ოფიცრობა მიიწვიეს, სადაც გამოჩნდა გერმანელების უფლებამოსილი პირი. აღნიშნულის გამო საბჭოთა ოფიცრებმა შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვეს. მოლოტოვმა სტალინს აცნობა, რომ ეს უბრალო „გაუგებრობა“ კი არ იყო, არამედ უნდა განეხილათ, როგორც „უარესი“. მოლოტოვმა სტალინს სთხოვა, ეპასუხა, იყო თუ არა მისი გამგზავრება საჭირო სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის გამო. სტალინმა მოლოტოვს უარი განუცხადა ამერიკაში გამგზავრებაზე. სან-ფრანცისკოში მოლოტოვის წაუსვლელობამ ძალიან შეაშფოთა ჩერჩილი და რუზველტი. ამ პერიოდში სტალინს ესაუბრა **დუაიტ ეიზენჰაუერი** (იმხანად გენერალი), რომელმაც ბერლინის ოპერაციაზე სხვადასხვა საკითხი წამოწია, მაგრამ ბერლინის აღებაზე დიდი ყურადღება არ გაუმახვილებია და ის მეორეხარისხოვან საკითხად ჩათვალა. საუბრის დამთავრების შემდეგ სტალინი **ჟუკოვსა** და **კონევს** მოეთათბირა და მისცა საიდუმლო ინსტრუქცია, ნებისმიერ ფასად აეღოთ ბერლინი. რაც, ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, უპირველეს საკითხად მიაჩნდა. დაძაბულობამ კულმინაციას 3 აპრილს მიაღწია და სტალინმა ამერიკის პრეზიდენტს წერილი მისწერა:

„თქვენ ამტკიცებთ, რომ მოლაპარაკება არ ყოფილა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თქვენი ინფორმირება ჯერჯერობით სრულად არ მომხდარა. ჩემი სამხედრო კოლეგები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მოლაპარაკებები გაიმართა და დასრულდა გერმანელებთან შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც გერმანელი მარშალი კესელრინგი ფრონტის გახსნას და ინგლის-ამერიკის ჯარების აღმოსავლეთისკენ გადაადგილებას დასთანხმდა. სამაგიეროდ, გერმანელებს მშვიდობის უზრუნველყოფას დაჰპირდნენ. ვფიქრობ, ჩემი კოლეგები სიმართლისგან არც ისე შორს არიან. ამის შემდეგ გერმანელებმა ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლები შეწყვიტეს, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ ომს მაინც განაგრძობენ“.



უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი და სტალინი

**პოტსდამში ჩასვლიდან მეორე დღეს ტრუმენს შეატყობინეს, რომ აშშ-ის პოლიგონზე, ნიუ-მექსიკოში, ატომური ბომბი წარმატებით ააფეთქეს. ამერიკელებმა ინგლისელებთან ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მოილაპარაკეს, რომ სტალინისთვის შეეხსენებინათ: «მოკავშირეებს არნახული გამანადგურებელი ძალის მქონე ახალი იარაღი აქვთ», მაგრამ ამ ძალის საიდუმლო არ უნდა გაემხილათ. სტალინმა თქვა, რომ ამის მოსმენა ძალიან უხარია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია. ამან ჩერჩილი და დანარჩენები დაარწმუნა, რომ სტალინმა ინგლის-ამერიკული ატომური იარაღის შესახებ არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, ისინი ცდებოდნენ. თავის მხრივ, სწორედ მათ არ იცოდნენ არაფერი რუსული ატომური პროექტის შესახებ მანამდე, სანამ, მათდა გასაოცრად, 1949 წელს საბჭოთა ატომური მოწყობილობა წარმატებით არ გამოსცადეს**

12 აპრილს რუზველტმა სტალინს გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც იგი ბრალდებებს უარყოფდა. იმავე დღეს, 12 აპრილს, რუზველტი გარდაიცვალა. როგორც ჩანს, სტალინი და მოლოტოვი დამწუხრებულები იყვნენ იმ ადამიანის დაკარგვით, რომელმაც საბჭოთა ხელმძღვანელობასთან ნდობის დასამყარებლად საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა. **რუზველტისადმი პატივისცემის გამოსახატავად სტალინმა თავისი სიტყვა უკან წაიღო და თანხმობა განაცხადა, მოლოტოვი სან-ფრანცისკოს კონფერენციას დასწრებოდა. თანაც ეს რუზველტის უცნობი მემკვიდრის, ვიცეპრეზიდენტ ჰარი ტრუმენის გაცნობის შესაძლებლობაც იქნებოდა.**

ვენისა და ბერლინის აღების კვალდაკვალ, სტალინის საგანგებო ბრძანებით, ისე გააკეთეს, რომ პრაღა გერმანელებისგან რუსებმა გაათავისუფლეს და არა ამერიკელებმა. ჩერჩილი გააფთრებით ადევნებდა თვალს, როგორ ეცემოდა ერთმანეთის მიყოლებით ცენტრალური ევროპის დედაქალაქები რუსი ჯარისკაცების წინაშე. იგი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **ენტონი იდენს,** რომელიც ამერიკაში იმყოფებოდა, წერდა საშინელი პერსპექტივის შესახებ, რომ მალე მთელი ევროპა რუსეთის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდებოდა. ეს კი ევროპის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა იქნებოდა.

ამავე ეტაპზე სტალინმა მიიღო ზომები, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ევროპის მთავრობებს კომუნისტებთან, რადიკალურ და გლეხურ პარტიებთან ეთანამშრომლათ და შეექმნათ კოალიციები. ასეთი რამ მოხდა უნგრეთსა და ბულგარეთში, 1945 წლის მარტში ანალოგიური რამ კიდევ სამ ქვეყანაში გააკეთეს.

ლონდონიდან დაბრუნებული **ჩეხოსლოვაკიის** პრეზიდენტი **ბენეში** იძულებული იყო, მოსკოვში შექმნილი სახალხო ფრონტი მიეღო. ამ გზით კომუნისტებმა შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაიგდეს ხელში, რაც პოლიციისა და ჯარების კონტროლის შესაძლებლობას იძლეოდა. ამასთანავე, მათ ხელში აღმოჩნდა სამი სხვა სამინისტროც: სოფლის მეურნეობის, ინფორმაციისა და განათლების.

**პოლონეთი** საჯილდაო ქვად რჩებოდა. იგი თავსმოხვეულ რეჟიმს იმაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდა, ვიდრე ამას რუსეთი მოელოდა. მარტში რუსებმა პოლონეთის იატაკქვეშა მოძრაობის თექვსმეტი ლიდერი მიიწვიეს, რათა მათთან ერთად ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ემსჯელათ. იმუნიტეტის გარანტიების მიღების შემდეგ იატაკქვეშა მოძრაობის ლიდერები მარშალ **ჟუკოვის** შტაბში გამოცხადდნენ. ამის შემდეგ ისინი აღარავის უნახავს და რა დაემართათ, უცნობია.

**აპრილის ბოლოს ჩერჩილმა სტალინს გაუგზავნა გრძელი წერილი, რომელშიც სწერდა, რომ, მართალია, ინგლისი პოლონეთის მთავრობას მხარს არასოდეს დაუჭერდა, მაგრამ მტრულად განწყობილ საბჭოთა კავშირს არ უნდა დავიწყებოდა, რომ ინგლისელები ომში პოლონეთის გამო ჩაებნენ.** მათ არასოდეს დაავიწყდებოდათ, რომ ომი სამართლიანად დამთავრდა. ჩერჩილმა წერილი ასე დაასრულა: „არც ისე სასიამოვნოა, როცა თქვენ და თქვენი ქვეყნები ერთ მხარეს დგახართ; ისინი კი, ვინც ინგლისურენოვანი ქვეყნების გარშემო გაერთიანდნენ, ▶

**სანამ სამი ლიდერი 1945 წლის ივლისში გერმანიაში ერთმანეთს შეხვდებოდა, სტალინის დაჟინებამ და დიპლომატიურმა ოსტატობამ ყველანაირი წინააღმდეგობა გადალახა და იალტაში მოკავშირეების მიერ მიღებულ პოლონეთის საზღვრებს კიდევ ერთი პუნქტი დაამატა — ეს იმ მთავრობის აღიარება იყო, რომლის შესახებაც პირველად 1943 წელს თეირანში ისაუბრა. ახლა უკვე მესამე პუნქტი უნდა შეეთანხმებინა — საუბარია პოლონეთის დასავლეთის საზღვრებზე.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — მეორე მხარეს. სრულიად ნათელია, რომ მათი შეჯახება მსოფლიოს ნაკუწებად აქცევს... ხანგრძლივი პერიოდით საწინააღმდეგო პოლიტიკა, ლანძღვა და ეჭვიც კი კატასტროფა იქნებოდა მშვიდობიანი განვითარებისთვის“.

სტალინის პასუხი უკომპრომისო იყო და აჩვენებდა, რა ღრმა უფსკრული აშორებდა მათ. აუცილებელი იყო პოლონეთისათვის ანგარიშის გაწევა, როგორ მეზობლისთვის, და სსრკ-ის უსაფრთხოებისთვის. სტალინმა ჩერჩილს შეატყობინა, რომ თექვსმეტი დაკარგული პოლონელი წითელი არმიის მიმართ საფრთხისშემცველი ქმედებებისთვის იყო დაპატიმრებული და მალე სასამართლოს გადასცემდნენ. სტალინმა წერილი ასე დაასრულა: **„გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ასეთი პოზიცია პოლონეთის საკითხის შეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას გამორიცხავს“.**

იუგოსლავიის ლიდერ **იოსებ ბროზ ტიტოს** მცდელობები — ტრიესტში გამაგრება და ავსტრიის მოკავშირულ-ერთობლივი ოკუპაციისთის მზადება — ჩერჩილს აღელვებდა, ტრუმენი კი **ჰარი ჰოპკინსის** სპეციალური მისიით მოსკოვში ვიზიტზე დიდ იმედს ამყარებდა. სტალინი შეეცადა, სტუმრისათვის გამორჩეული მიღება მოეწყო და ჩერჩილის არყოფნით ესარგებლა. სტალინი კრემლში ჰოპკინსსა და აშშ-ის ელჩ **ჰარიმანს** ექვსჯერ შეხვდა, თანაც რამდენიმე შეხვედრა ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

განხილვები არაოფიციალური და მარტივი ხასიათის იყო. სტალინი მეგობრულობითა და გონივრული საუბრით გამოირჩეოდა, თუმცა მნიშვნელოვან საკითხებში არაფერს თმობდა. წარმოქმნილი გართულებები ჩერჩილს დააბრალა: „დიდ ბრიტანეთს საბჭოეთის საზღვრებზე „სანიტარული დერეფნის“ სისტემის აღორძინება სურსო. ჩერჩილს შეეძლო ეთქვა, რომ ამის გაკეთება სტალინს სურდა, მაგრამ ჰოპკინსი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობების გადასარჩენად იყო ჩამოსული და არა ინგლისელების დანაშაულზე სადავოდ. მან სტალინს რამდენჯერმე გაუმეორა, რომ პოლონეთის საკითხი მნიშვნელოვანი იყო, როგორც ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის წარმოქმნილი პრობლემა. მაშინ სტალინმა თქვა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა რთული არ იქნებოდა. მან პოლონეთის მთავრობის 25 თანამდებობიდან ოთხი თუ ხუთი ადგილი შესთავაზა იმ პირებს, რომლებიც ვარშავის იმჟამინდელ ჯგუფთან კავშირში არ ყოფილან და ჰოპკინსი დაარწმუნა, რომ დაცული იქნებოდა სიტყვის თავისუფლება და სხვა თავისუფლებები, რა თქმა უნდა, ფაშისტური იდეოლოგიისა და პარტიის გარდა.

ჰოპკინსი პოლონეთის საქმეებს კარგად არ იცნობდა. როგორც **რობერტ შერვუდი** ამბობს (ჰოპკინსის ჩანაწერების რედაქტორი), „მისთვის ისეთი სახელები იყო ცნობილი, როგორებიც გახლდათ **მიკოლაიჩიკი** და **ლანგე,** მაგრამ საკმარისი იყო, სხვა სახელები დაესახელებინათ, რომ მან უკვე აღარ იცოდა, ვინ რას წარმოადგენდა და სანდოები იყვნენ თუ არა ისინი“. როდესაც ჰოპკინსი თექვსმეტი ლიდერის ციხიდან გასათავისუფლებლად სტალინის დაყოლიებას ცდილობდა, სტალინმა თავი გააქნია, მას მართლმსაჯულების საქმეებში ჩარევა არ შეეძლო, მაგრამ იმედი ჰქონდა, სასჯელი ხანგრძლივი არ იქნებოდა. სტალინმა ჰოპკინსთან იმ ტაქტიკას მიმართა, რომელმაც იალტაში წარმატება მოუტანა. **სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციამ კვლავ გამოხატა იმ საკითხის მიმართ უკმაყოფილება, რომელსაც ამერიკელები იალტაში უკვე შეთანხმებულად თვლიდნენ. ვაშინგტონიდან მიღებული ინსტრუქციის მიხედვით, ჰოპკინსმა ამერიკელთა იმედგაცრუება გამოთქვა და სტალინს ამ საკითხის გადახედვა სთხოვა. როგორც ჰარიმანმა აღნიშნა, როდესაც საბჭოებთან საქმე გაქვს, ერთი და იმავე ცხენის ორჯერ საყიდლად მზად უნდა იყო.**

ჰოპკინსისა და სტალინის მოლაპარაკებებმა ბევრი საკითხის გადაჭრა ვერ უზრუნველყო, თუმცა ჰოპკინსის ვიზიტს ფუჭად არ ჩაუვლია. სტალინმა უსაფრთხოების საბჭოს პროცედურის მიხედვით მოლოტოვის გადაწყვეტილება შეცვალა. ტრუმენი და ჩერჩილი პოლონეთის საკითხში საბჭოთა წინადადებას დათანხმდნენ. ყველაზე მეტი, რაც მათ შეძლეს, მიკოლაიჩიკისთვის ვიცეპრემიერის თანამდებობის მიღება იყო და ამის შემდეგ პოლონეთის მთავრობა აღიარეს.

ამრიგად, სანამ სამი ლიდერი 1945 წლის ივლისში გერმანიაში ერთმანეთს შეხვდებოდა, სტალინის დაჟინებამ და დიპლომატიურმა ოსტატობამ ყველანაირი წინააღმდეგობა გადალახა და იალტაში მოკავშირეების მიერ მიღებულ პოლონეთის საზღვრებს კიდევ ერთი პუნქტი დაამატა — ეს იმ მთავრობის აღიარება იყო, რომლის შესახებაც პირველად 1943 წელს თეირანში ისაუბრა. ახლა უკვე მესამე პუნქტი უნდა შეეთანხმებინა — საუბარია პოლონეთის დასავლეთის საზღვრებზე.

**პოტსდამში ბოლო შეხვედრა 1945 წელს 16 ივლისი- 2 აგვისტოს პერიოდში გაიმართა. რუზველტს ჰარი ტრუმენი და მისი სახელმწიფო მდივანი ჯიმი ბირნსი ცვლიდნენ. შეხვედრების შუა ქარცეცხლში ჩერჩილი და იდენიც შეცვალეს. ასე რომ, სტალინი თავდაპირველი ტრიუმვირატის ერთადერთი უცვლელი მონაწილე აღმოჩნდა.** განადგურებულ ბერლინს არ შეეძლო კონფერენციის მასპინძლობა.

შეიძლებოდა კი არნახული მასშტაბის განადგურებული ტერიტორიების აღდგენა და უსახლკაროდ დარჩენილი დაახლოებით 40 მლნ ადამიანისთვის თავშესაფრის მიცემა? — აი საკითხი, რომელიც ბევრს აწუხებდა. ასეთი ვითარება იყო იმ პერიოდში, რომლის დავიწყებაც არ შეიძლება. ეს ის საკითხებია, რომელთა გადაჭრასაც სტალინი მთელი დარჩენილი ცხოვრება ცდილობდა — როგორ უნდა აღგენილიყო ჩამოშლილი ეკონომიკა და კონტინენტის უსაფრთხოება.

**იმის ნაცვლად, რომ ომისდროინდელი მოკავშირეების**


პოტსდამის კონფერენცია, 1945 წ.

**1943 წელს, თეირანის კონფერენციაზე ჩასვლის მომენტში, სტალინს ბექებზე ჰყავდა გაკრული ჰიტლერი და სტალინგრადში გერმანიის გამარჯვების მზის ჩასვენებითა და წითელ მოედანზე სტალინგრადის გმირი მებრძოლების პატივსაცემად გასროლილი საარტილერიო ზალპით მსოფლიოსთვის დამტკიცებული ჰქონდა თავისი წინასწარმეტყველება, რომ «გაივლის ექვსი თვე, ერთი წელი, შეიძლება წელიწად-ნახევარი, რომ ჰიტლერს თავისი დანაშაულებრივი სიმძიმე გასრესს». თეირანში სტალინი დიდი სამეულის, ერთ-ერთი წევრი კი არა, «ხაზეინი» იყო**


თეირანის კონფერენციაზე, 1943 წ.

**ძალების გაერთიანება მომხდარიყო, იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა დაუსრულებელი კამათის მიზეზად იქცა. ბრალდებებისა და კონტრბრალდებების სისტემა საგარეო საქმეთა სამინისტროებისთვის საკმაოდ ნაცნობი მოვლენა იყო. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პროპაგანდულ ომს კი ჯერ კიდევ პოტსდამში ჩაეყარა საფუძველი.** ინგლისელები და ამერიკელები რუსული საოკუპაციო ჯარების სამხედროებისა და ადგილობრივი კომუნისტური პარტიების მხრიდან დასავლეთ ევროპაში მათი უფლებების დარღვევის შესახებ მოხსენებებს წარადგენდნენ. რუსები კი ამ ყველაფერს უარყოფდნენ და პასუხს მოითხოვდნენ იმაზე, რატომ თელავდნენ ინგლისელები დემოკრატიას ფეხქვეშ და საბერძნეთში ფაშისტებს მხარს რატომ უჭერდნენ.

კურსი, რომელზეც იალტის კონფერენციამდე **ჯორჯ ქენენმა** წერილში ილაპარაკა, საუკეთესო ვერ იქნებოდა **„გავლენის სფეროს მიხედვით ევროპის შუაზე გაყოფა, რუსებისგან თავის შორს დაჭერა და მათი გვერდით გაწევა“.** ეს კურსი იმას ნიშნავდა, რომ გერმანიის სრული გაყოფის აღიარება და დასავლეთ ევროპის ფედერაციის ჩამოყალიბება მომხდარიყო. ვინ იცის, ამ საკითხზე რომ შეთანხმებულიყვნენ 1945 წელს, შემდეგი უთანხმოებისთვის თავი აერიდებინათ. შეუძლებელია, სტალინს ოდესმე ეფიქრა, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან ამ გადაწყვეტილებებზე თანხმობას მოისმენდა. რისი იმედიც მას ჰქონდა, იყო ის, რომ იმავე შედეგისთვის ინტერვენციის დახმარებით მიეღწია. იმ შემთხვევაში, თუ პროცესი თანდათანობითი და დანაწევრებული იქნებოდა, სტალინმა გათვალა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები პროტესტს გამოთქვამდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც მიიღებდნენ, რადგან საუბარი უკვე მომხდარ ფაქტზე იქნებოდა.

სტალინის გათვლების სისწორეს ორი კითხვიდან გვიჩვენებს ის ერთი პასუხი, რომელზეც ყველაზე დიდი დრო დაიხარჯა და პოტსდამში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს იყო პოლონეთის დასავლეთ საზღვრების საკითხი. ამერიკელები და ინგლისელები იალტაში დათანხმდნენ, რომ პოლონეთი აღმოსავლეთში რუსეთის სასარგებლოდ ტერიტორიული დანაკარგის გამო კომპენსაციას მიიღებდა. დასავლეთ სახელმწიფოებმა თავისდა გასაკვირად ნახეს, რომ ინფორმირებისა და მათთან კონსულტაციების გარეშე რუსებს ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ. სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია სტალინსა და ჩერჩილს შორის დაპირისპირება, მაგრამ ის, რომ წითელმა არმიამ ყველა იმ ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინა, რომელთა შესახებაც იყო საუბარი, გადამწყვეტი აღმოჩნდა. ინგლისელები და ამერიკელები ომის დამთავრების შემდეგ რუსებსა და პოლონელებს ტერიტორიის იძულებით დატოვებას აღარ აიძულებდნენ.

სხვა მთავარმა საკითხმა კი აჩვენა, რომ სტალინის გათვლები გამოყენებული არ იყო იმ რაიონებისთვის, რომლებიც სხვა სახელმწიფოების მიერ იყო ოკუპირებული. კონფერენციის დაწყებამდე რუსებმა საკუთარი ზონებიდან ყველაფრის გატანა დაიწყეს, რისი გატანაც კი შეიძლებოდა, მაგრამ სხვა სახელმწიფოები გერმანიის რეპარაციაზე უარის თქმას არ აპირებდნენ. რუსებმა 10 მლრდ დოლარი, რომელსაც მოთხოვდნენ, ვერ მიიღეს და იძულებულნი იყვნენ, იმ პრინციპებს დათანხმებოდნენ, რომელთა მიხედვითაც თითოეულ სახელმწიფოს თავისი რეპარაციული მოთხოვნები საკუთარ ტერიტორიაზე უნდა დაეკმაყოფილებინა, ამას ემატებოდა დასავლეთ ზონებში საწარმოო დანადგარების პროცენტი. შედეგად, ეს დამატება საკამათო შეიქნა და საბჭოელებმა, დასავლეთ ზონიდან აღებული რეპარაციის გარდა, ბევრი ვერაფერი მოიგეს.

პოტსდამში ჩასვლიდან მეორე დღეს ტრუმენს შეატყობინეს, რომ აშშ-ის პოლიგონზე, ნიუ-მექსიკოში, ატომური ბომბი წარმატებით ააფეთქეს. ამერიკელებმა ინგლისელებთან ხანგრძლივი სჯა-ბაასის შემდეგ მოილაპარაკეს, რომ სტალინისთვის შეეხსენებინათ: „მოკავშირეებს არნახული გამანადგურებელი ძალის მქონე ახალი იარაღი აქვთ“, მაგრამ ამ ძალის საიდუმლო არ უნდა გაემხილათ. სტალინმა თქვა, რომ ამის მოსმენა ძალიან უხარია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია. ამან ჩერჩილი და დანარჩენები დაარწმუნა, რომ სტალინმა ინგლის-ამერიკული ატომური იარაღის შესახებ არაფერი იცოდა. რა თქმა უნდა, ისინი ცდებოდნენ. თავის მხრივ, სწორედ მათ არ იცოდნენ არაფერი რუსული ატომური პროექტის შესახებ მანამდე, სანამ, მათდა გასაოცრად, 1949 წელს საბჭოთა ატომური მოწყობილობა წარმატებით არ გამოსცადეს.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## გეოპოლიტიკა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვით ჩვენი მოთხოვნა, შეწყდეს მისი (გიულენის) ყოფნა აშშ-ში. ვიზიტისას ჩვენ გადავეცით ბევრი დოკუმენტი გიულენის ორგანიზაციაზე, რომელიც ჩვენთვის ტერორისტული ორგანიზაციაა. ჩვენთან, როგორც იცით, იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ადამიანი, რომელიც ამაში დამნაშავეა, ცხოვრობს აშშ-ში. ეს მიუღებელია. ჩვენ გვსურს, რომ, როგორც ჩვენ გადავცემთ მათ (აშშ-ს) ტერორისტებს, ისე გადმოგვცენ ის“**

# ჯაჭვური რეაქცია: მაკრონისა და ვან დერ ბელენის შემდეგ ნატოს წესების გადახედვაზე ბაბიშიც ალაპარაკდა

**ჩეხეთის პრემიერმა ანდრეი ბაბიშმა ნატოს მნიშვნელობაზე ლაპარაკისას განაცხადა, რომ ალიანსის დაარსებიდან 70 წლის შემდეგ აუცილებელია, გადაიხედოს მისი შექმნის შესახებ შეთანხმება.**

**„აუცილებელია, ევროპულმა სახელმწიფოებმა, ნატოს წევრებმა, განაცხადონ, რომ დადგა დრო, ვილაპარაკოთ შეთანხმებაზე, რომელიც ხელმოწერილი იქნა 70 წლის წინათ“,** — განუცხადა ბაბიშმა ჟურნალისტებს ჩეხეთის პრეზიდენტ **მილოშ ზემანთან** შეხვედრის შემდეგ. პრემიერის თქმით, მას და პრეზიდენტს მსგავსი თვალსაზრისი აქვთ ნატოზე, მაგრამ ალიანსის დაარსებიდან 70 წლის შემდეგ მისი ზოგიერთი წესი უნდა გადაიხედოს.

ბაბიშს განზრახული აქვს, ეს საკითხი ევროპის საბჭოს სხდომაზე გაიტანოს. უფრო ადრე საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** ჟურნალ The Economist-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ნატომ დაკარგა კოორდინაცია, რაც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ტვინის სიკვდილი“. მაკრონის მიერ დასმულ დიაგნოზს დაეთანხმა ავსტრიის პრეზიდენტი **ალექსანდრე ვან დერ ბელენი.**


ანდრეი ბაბიში

# ერდოღანი პუტინს ანგარიშს ჩააბარებს




**ერთ-ერთი პრიორიტეტული თემა ვაშინგტონში უმაღლეს დონეზე გამართულ თურქეთ-აშშ-ის მოლაპარაკებებისა იქნება ბრძოლა „ფეთჰულა გიულენის ტერორისტული ორგანიზაციის“ წინააღმდეგ, — განაცხადა რამდენიმე დღის წინათ აშშ-ში გაფრენამდე გამართულ ბრიფინგზე თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.**

თურქეთის ლიდერმა აღნიშნა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა ვაშინგტონში **დონალდ ტრამპთან** გამართული მოლაპარაკებების ძირითადი თემა იქნებოდა.

„ჩვენ მზად ვართ, უსაფრთხოების სფეროში ახალი გვერდი გადავშალოთ აშშ-თან ურთიერთობაში. მიუხედავად დაძაბულობისა ანკარასა და ვაშინგტონს შორის, მე და აშშ-ის პრეზიდენტი — დონალდ ტრამპი ერთ აზრზე ვართ, რომ აუცილებელია შეთანხმებების მოგვარება და თანამშრომლობის განვითარება, — განაცხადა ერდოღანმა. — ამ პოზიციას ტრამპს გავაცნობ, დაბრუნების შემდეგ კი **ვლადიმერ პუტინს** ტელეფონით ვესაუბრები“. „თურქეთი აშშ-სა და რუსეთთან ერთად განაგრძობს გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმას სირიაში უსაფრთხოების ზონების შესაქმნელად“, — დასძინა ერდოღანმა.

ტრამპთან შეხვედრის შემდეგ კი ერდოღანმა განაცხადა: **„ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვით ჩვენი მოთხოვნა, შეწყდეს მისი (გიულენის) ყოფნა აშშ-ში. ვიზიტისას ჩვენ გადავეცით ბევრი დოკუმენტი გიულენის ორგანიზაციაზე, რომელიც ჩვენთვის ტერორისტული ორგანიზაციაა.**

ჩვენთან, როგორც იცით, იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და ადამიანი, რომელიც ამაში დამნაშავეა, ცხოვრობს აშშ-ში. ეს მიუღებელია. ჩვენ გვსურს, რომ, როგორც ჩვენ გადავცემთ მათ (აშშ-ს) ტერორისტებს, ისე გადმოგვცენ ის“, — განაცხადა ერდოღანმა ტრამპთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

აშშ-დან დაბრუნების შემდეგ ერდოღანი პუტინს საქმის კურსში ჩააყენებს ტრამპთან გამართული მოლაპარაკებების შინაარსს მოუყვება.

# მოლდოვას ახალი მთავრობა ჰყავს




**მოლდოვას ახალი პრემიერი ჰყავს — იონ კიკუ, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველი იყო.** 14 ნოემბერს იან კიკუ ოფიციალურად შეუდგა მუშაობას პრემიერმინისტრის რანგში. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა 62-მა დეპუტატმა: სოციალისტებმა და დემოკრატებმა. კენჭისყრაში არ მონაწილეობდნენ პარტია „შორისა“ და ბლოკ ACUM-ის წარმომადგენლები, რომლის მთავრობა რამდენიმე დღის წინათ გადააყენეს.

პრემიერის პოსტზე იონ კიკუს კანდიდატურა მოლდოვის პრეზიდენტმა **იგორ დოდონმა** წარადგინა. პარლამენტის სხდომის დასრულების შემდეგ მთავრობამ იონ კიკუს ხელმძღვანელობით ფიცი დადო პრეზიდენტის წინაშე.

9 მინისტრიდან 6 პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველია.



# ბრიქსის ქვეყნებმა შეიძლება კრიპტოვალუტა შემოიღონ

**ბრიჩსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) წევრი ქვეყნები ანგარიშსწორების მიზნით ერთობლივი კრიპტოვალუტის შემოღების შესაძლებლობაზე მსჯელობენ.**

კრიპტოვალუტით ანგარიშსწორება იგეგმება ბრიჩსის გადახდების სისტემის მეშვეობით, რომლის შექმნაზეც მსჯელობს 5 სახელმწიფო.



# რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი ფულის გადახდის თავიანთ სისტემას ქმნიან

**რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი ფულის გადახდის გლობალური სისტემა SWIFT-ის თავიანთ ანალოგს ქმნიან. ამის შესახებ ლაპარაკი იყო ბრიჩსის (სახელმწიფოების ჯგუფი, რომელიც შედგება 5 ქვეყნისგან: ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთი აფრიკა) ქვეყნების სამიტის კულუარებში.**

სამ სახელმწიფოს განზრახული აქვს, ძალისხმევა მიმართოს საკუთარი სავაჭრო ინტერესების დასაცავად აშშ-ის მხრიდან სანქციების გაძლიერების ფონზე. ბრიჩსის სხვა წევრებს — ბრაზილიასა და სამხრეთ აფრიკას — ჯერჯერობით ინტერესი არ გამოუვლენიათ. ვარაუდობენ, რომ ფულადი მიმოქცევის რუსულ სისტემას დაუკავშირებენ ინდურ და ჩინურ ფინანსურ ინფრასტრუქტურას. ჩინეთის შემთხვევაში იგეგმება ფულადი მიმოქცევის რუსული სისტემის შეპირაპირება ჩინურ ანალოგიურ სისტემასთან — ბანკთაშორის გადახდის სისტემასთან (CIPS). ინდოეთს ჯერჯერობით არ აქვს ბანკთაშორისი გადახდების სუვერენული ინსტრუმენტი.



# გერმანული ჰანოვერის მერად წარმოშობით თურქი მოქალაქე აირჩიეს

**ჰანოვერში პირველად აირჩიეს წარმოშობით თურქი მერი, — იუწყება „ევრონიუსი“.**

ბელით ონაი, რომელიც „მწვანეთა პარტიას“ წარმოადგენს, წარმოშობით თურქი მოქალაქეა, რომელიც გერმანიაში ქალაქის არჩეული მერი გახდა. მას ჰანოვერის მოქალაქეთა 52,9%-მა დაუჭირა მხარი. მისი კონკურენტი „ქრისტიან-დემოკრატიული“ კავშირის კანდიდატი, ეკჰარს შოლცი იყო.

38 წლის ონაი პროფესიით იურისტია, რომელიც ქვედა საქსონიის პარლამენტში დეპუტატად 2013 წლიდან მუშაობდა. მისი მშობლები წარმოშობით სტამბოლიდან არიან. თვითონ ონაი კი გერმანიაში დაიბადა.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

„მაკრონმა სამი მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა: პირველი, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია თანამედროვე პრობლემების გადაჭრა. თქვა კაცმა, რომელიც როტშილდებმა მიიყვანეს საფრანგეთის სათავეში. მან იცის, რასაც ლაპარაკობს. თქვა, რომ ნატოს მოუკვდა ტვინი. პათოლოგანატომია?! არის კიდევ ერთი კაცი, რომელიც თითქმის იმავეს ამბობს, მაგრამ სხვა სიტყვებით, უფრო მარტივად, უფრო პრიმიტიულად — ტრამპი“.

აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაქნილი კანონიერი ქურდების ნაცვლად აშშ-ში ქურდბაცაცების წვრილფეხობა გამოდის

**16 ნოემბერს ტელეარხ „ტე-ვე-ცე“-ს არხის პროგრამა „ცოდნის უფლებამ“ უმასპინძლა ისრაელის თვალსაჩინო დიპლომატს, პოლიტოლოგსა და სახელმწიფო მოღვაწეს — ИАКУБ КЕДМИ-ს, რომელმაც რუსი და სირიელი ექსპერტების შეკითხვებს უპასუხა. ტელეინტერვიუ, რომელიც დღევანდელი მსოფლიოს აქტუალურ პრობლემებს შეეხო, ფრიად საინტერესო გამოდგა. გთავაზობთ ამ კითხვა-პასუხის ქართულად თარგმნილ საგაზეთო ვარიანტს.**



შესავალ ნაწილში კედმიმ განაცხადა, რომ უკრაინაში სიტუაციის ამრევი ქალბატონი **ნულანდი** სულაც არ განახორციელებდა აშშ-ის სახელმწიფო პოლიტიკას. რასაც იგი აკეთებდა, ერთი გარკვეული ჯგუფის ინტერესებს ემსახურებოდა.

— ამერიკა, დიდი ამერიკა მისი არ იყო. გარკვეული ძალისმიერი ჯგუფები ცდილობდნენ, გაეტანათ რაღაც თავისი, რასაც ამერიკის ინტერესებთან საერთო არაფერი ჰქონდა, გარდა ტრამპთან ანგარიშის გასწორებისა. გაჰყვიროდნენ უკრაინაზე, რომელიც მათი მოკავშირეა, მაგრამ ამას ცალკეული სენატორები ამბობდნენ, კონგრესმენები, და იმთავითვე იყო ცნობილი.

ამერიკას არავითარი ინტერესი არ აქვს უკრაინის მიმართ. იგი ვერ იწერება ამერიკის ინტერესების პალიტრაში, ამა თუ იმ პოლიტიკოსების ინტერესებში — კი, ეროვნულ ინტერესებში — არა. ისევე, როგორც ახლო აღმოსავლეთი.

**— ტრამპი არ დაგეთანხმებათ. ახლო აღმოსავლეთის შესახებ ხმას არ იღებს, მაგრამ ამბობს, რომ სირიის ნავთობის ჭაბურღილებს ჩვენ ვაკონტროლებთ და იქიდან (სირიიდან) არსად წასვლას არ ვაპირებთო.**

— სირიის ნავთობს ასადისთვის აქვს მნიშვნელობა. მსოფლიოს ნავთობკომპლექსისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ერთი. მეორე, ტრამპის ფსიქოლოგია ძალიან უბრალო საბაზო პრინციპებს ეფუძნება. რას ამბობდა 2011 წელს? ამბობდა, რომ ომში გამარჯვებულებს მიაქვთ ალაფი. ერაყში ჩვენ გავიმარჯვეთ, ალაფი ნავთობია. სირიას რაღაც ხომ უნდა გამოვართვათ... ძალიანაც კარგი! ანუ იგი მას არ განიხილავს ნავთობის კუთხით, რომელსაც ოდესღაც მნიშვნელობა ჰქონდა შტატებისთვის, მისთვის ეს უფრო ღრმა და მარტივია — ალაფი.

რაღაც ხომ უნდა აიღონ, კარგა ხანი იქ დაგვიყვია, ხარჯი გაგვიწევია. აგვინაზღაურეთ რამეთი, თავის მართლება რომ შეგვეძლოს! სინდისი რომ დავიმშვიდოთ...

დავუბრუნდეთ უკრაინას. უკრაინის მორიგი საგარეო საქმეთა მინისტრის გამონათქვამები გვარწმუნებს, რომ ამ ქვეყნის ხელმძღვანელობას არ ესმის, რა ხდება მსოფლიოში; არ იცის, როგორ მოიქცეს; არ იცის, რა არის კარგი და რა ცუდი უკრაინისთვის; არ იცის, რა გააკეთოს; არ იცის როგორ გააკეთოს; არ იცის, რისთვის გააკეთოს.

**— მაშ, რად ისწრაფვის ნორმანდიის ფორმატისკენ?**

— რათა არ დაივიწყონ, რომ არსებობს ასეთი ადგილი — უკრაინა; რათა მიენიჭოს საერთაშორისო სტატუსი უკრაინის ახალ პრეზიდენტს, თორემ ვინ ილაპარაკებს მის შესახებ?! ტრამპს ელაპარაკა და სისულელე წამოროშა. საგარეო პოლიტიკაში რა ძირითადი პრობლემა აწუხებს? პირისპირ რომ წარუდგეს პუტინს, ესაა მიზანი. რატომ? რისთვის? აბა, რა ქნას?! რაზე ილაპარაკოს? რაზე მოელაპარაკოს? აქვს მას პოლიტიკური პლატფორმა? არა.

მიწის შესახებ — აქვს.

**— მაგრამ პოლიტიკური არ არის.**

— სპეციფიკურია. რატომ არ არის პოლიტიკური? იმიტომ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამაზე სიტყვა არ უთქვამს. ვის ახსოვს, რაზე ილაპარაკა?

**— პოროშენკოს ემუქრებოდა: მე თქვენი, კონკურენტი კი არა, თქვენი განაჩენი ვარო.**

— ზელენსკი პოროშენკოს მოსაცილებელი იარაღი აღმოჩნდა. შემდეგ — რა? როგორ მოექცეს პოროშენკოს? რას დაჰპირდა ამომრჩევლებს, მას თვითონ არ ახსოვს. ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა, თუ რა უნდა გაკეთდეს უკრაინაში, მის სიტყვებს აქვს. იგი ვერ მართავს სახელმწიფოს. მას არ გააჩნია არც ერთი სტრუქტურა, რომელსაც შეიძლება მისცეს მითითება და ისიც შეასრულებს ამ მითითებას. მაშ, ვინ მართავს სახელმწიფოს?

რატომ შეიყვარა **ბენიამ (კოლომოისკიმ)** უცებ რუსეთი? რა მოხდა? ბანდერადან რუსეთზე გადაიტანა ორიენტაცია. მაშასადამე, ბენია მიხვდა, რა პირობებში შეიძლება იარსებოს უკრაინამ საერთოდ. პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რა სურს ბენიას *(აშკარაა და ყველასთვის ნათელია, რაც უნდა)*, არამედ პრობლემა არის ის, რომ ამერიკას უკრაინა არ სჭირდება. დღეს „ნეზალეჟნაია“ ისტებლიშმენტის ნაწილს სჭირდება ტრამპის დასამარხავად,

**«ტრამპის ძირითადი მიმართულება რუსეთთან შეთანხმების მიღწევაა. «მე მსურს რუსეთთან მოლაპარაკება, — ხშირად იმეორებს ამერიკის პრეზიდენტი. — რუსეთთან ჩემი მოლაპარაკების გარეშე წარმოუდგენელია ამერიკის ინტერესების სწორად განხორციელება მსოფლიოში». ამას ამბობდა, ამბობს და განაგრძობს თავისი პოზიციის განმტკიცებას. გარშემო კი დარბიან პიგმეები და გაჰყვირიან, რომ ჩვენ ამის გამო მოგიცილებთ; ასე რომ ლაპარაკობ, რუსეთის ჯაშუში ხარ!»**

არჩევნებში ხელის შესაშლელად სჭირდება. მეტი — არაფრისთვის! შეერთებული შტატების ძირითადი პოლიტიკური ინტერესის განსაზღვრა პრეზიდენტის ხელშია. პრეზიდენტი უკრაინას ვერ ხედავს და არ სურს, დაინახოს ისეთად, როგორიც ბენიას უნდა. იგი (ტრამპი) კულტურული, გამოცდილი ადამიანია და იცის, რომ ყირიმი რუსეთის ტერიტორიაა. ეს მან თვითონ თქვა. მან, როგორც გახსოვთ, განაცხადა, რომ ომის შემდეგ გამარჯვებულს ეკუთვნის ალაფი. ყირიმი იყო რუსეთის და გახდა რუსეთის.

**— ყირიმი რუსეთისაა. ობამა შეეცადა მის ხელში ჩაგდებას. რუსებმა ჩასცხეს კინკრიხოში, ჩაუშალეს ყველაფერი და დღეს ჩვენ გვაქვს ის, რაც გვაქვს.**

— მართალია. ობამამ დავიდარაბა ატეხა ახლო აღმოსავლეთში, ამერიკელებმა უთვალავი ფული შეალიეს. სანაცვლოდ რა მიიღეს?

არაფერი.

ობამამ წამოიწყო ავანტიურა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამჟამად მთელი შავი ზღვა რუსეთის ხელშია. რა ჰქნან? ფოთში (როგორც ჩანს, იგულისხმება ანაკლია) ახალ პორტს აშენებენ ნატოსთვის? სასაცილოა! არიან ამერიკაში ისეთი ჭკვიანები, რომლებსაც ამისი სჯერათ: სევასტოპოლში არ გამოუვიდათ და გადაინაცვლეს ფოთში (!).

ტრამპის პოლიტიკის ძირითადი მიმართულება რუსეთთან შეთანხმების მიღწევაა: „მე მსურს რუსეთთან მოლაპარაკება, ხშირად იმეორებს ამერიკის პრეზიდენტი. — რუსეთთან ჩემი მოლაპარაკების გარეშე წარმოუდგენელია ამერიკის ინტერესების განხორციელება მსოფლიოში“. ამას ამბობდა, ამბობს და განაგრძობს თავისი პოზიციის განმტკიცებას. გარშემო კი დარბიან პიგმეები და გაჰყვირიან, რომ ჩვენ ამის გამო მოგიცილებთ; ასე რომ ლაპარაკობ, რუსეთის ჯაშუში ხარ!

ისრაელის უკრაინასთან დამოკიდებულების შესახებ საუბრისას კედმიმ განაცხადა, რომ მის ქვეყანას, როგორც სახელმწიფოს, არავითარი პოზიცია არ აქვს იმ ამბების მიმართ, რომლებიც უკრაინაში ვითარდება, აბსოლუტურად არავითარი.

**— „ნატოს ტვინი კვდება“ ძალიან საინტერესო ფიზიოლოგიური კონცეფციაა. მსოფლიო შეიცვალა და ამჟამად რუსეთის გარეშე უკვე არაფრის გაკეთება არ შეიძლება.**

— **მაკრონმა** სამი მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა: პირველი, რომ კაპიტალიზმს არ შეუძლია თანამედროვე პრობლემების გადაჭრა. ეს თქვა კაცმა, რომელიც **როტშილდებმა** მიიყვანეს საფრანგეთის სათავეში. მან იცის, რასაც ლაპარაკობს. თქვა, რომ ნატოს მოუკვდა ტვინი. პათოლოგანატომია?! არის კიდევ ერთი კაცი, რომელიც თითქმის იმავეს ლაპარაკობს, მაგრამ სხვა სიტყვებით, უფრო მარტივად, უფრო პრიმიტიულად — **ტრამპი.** იმას რისთვისღა სჭირდება ნატო? რა სარგებელი აქვს ნატოსგან? არავითარი. მისთვის თავის ტკივილია და დამატებითი ხარჯები. თავისი პრობლემების მოგვარება რუსეთთან მას სულ სხვა გზით შეუძლია.

პოლონეთში სამხედრო ბაზების გაშენებისთვის ტრამპს ნატო სულაც არ სჭირდება. რუმინეთში სამხედრო ბაზების გახსნისთვის ნებისმიერს შეიძლება პირისპირ დაელაპარაკოს. ნატო რად უნდა?!

მეტიც: მაკრონმა ეს ნატოს მიმართ განაცხადა, მაგრამ ევროკავშირის პათოლოგიურ-ანატომიური ანალიზი არ გააკეთა. რას ჰგავს ეს? წინააღმდეგ ვინ გამოდის? ისევ და ისევ ტრამპი! ის, რაც ხდება, კარდინალური ცვლილებებია ევროპის სახელმწიფოებში, მათ პოლიტიკაში, რადგან გაირკვა, რომ 30, 40, 60 წლის წინათ შექმნილი არც ერთი სისტემა, რომლებიც შექმნილი იყო სხვა მიზნებისთვის, უკვე აღარ მუშაობს. არც ეკონომიკური სისტემა, არც პოლიტიკური სისტემა, არც საერთოევროპული თითქოსდა ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემა, არც სამხედრო-პოლიტიკური სისტემა. არაფერი არ მუშაობს იმიტომ, რომ მსოფლიოა სხვაგვარი, ევროპის ადგილიც სხვა არის. და ევროპის ყველა ქვეყნის ადგილი არ ესადაგება მსოფლიო განვითარების დინამიკას. ამ გზაგასაყარზე მან თავისი დიაგნოზი დაადგინა: პროცესმა უკვე ტვინამდე მიაღწია. როდის შეიკრიბება კომისია და შეადგენს დოკუმენტს გარდაცვალების შესახებ, ეს ბიუროკრატია იქნება მხოლოდ.

**— დღეს, საერთაშორისო ამინდის შეფასებისას, აშშ-ზე ლაპარაკობენ, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ ფაქტზე. დინოზავრები გადაშენების პირას არიან და დედამიწაზე ხელისუფლების სათავეში მეორე ეშელონის მხეცები მოდიან. ამ სიტუაციაში გაუჩნდა თუ არა ისრაელს მსოფლიოს ლიდერობის პრეტენზია?**

— ამერიკის მიმართ საერთაშორისო პოლიტიკაში მე ცოტა სხვაგვარი შეფასება მაქვს. გაქნილი კანონიერი ქურდების ნაცვლად დღეს აშშ-ის სახელმწიფო სცენაზე ქურდბაცაცები, აბსოლუტურად უპასუხისმგებლო წვრილფეხობა გამოდის, რომელმაც არ იცის, რა აკეთოს. ყველა დანარჩენი უკვე ჩამოსცილდა.

ღმერთმა დაგვიფაროს იმისგან, რომ ვითამაშოთ მსოფლიო სახელმწიფოს („დერჟავას“) როლი ან ვიყოთ მსოფლიო ლიდერები რომელიღაც პოლიტიკური პრობლემების მიმართულებით. არაფრად გვჭირდება! ან ვინ ვართ ჩვენ? ერთი პატარა ქვეყანა ახლო აღმოსავლეთში, ღმერთმა გადაგვაწყვეტინოს ჩვენი პრობლემები. არავის დამოძღვრას არ ვაპირებთ. რაც აქამდე მსოფლიოსთვის გავაკეთეთ, საკმარისია. მორჩა. ფინიტა ლა კომედია.

**— თქვენ გამახსენეთ ერთი ძველებრაული ანეკდოტი. ებრაელი კვდება და იბარებს: იცხოვრეთ, როგორც ავტობუსში, თავი არ გამოჰყოთ და წინა რიგები არ დაიკავოთ... თქვენი აზრით რუსეთის ადგილი ახალ სამყაროში როგორია?**

— რუსეთი იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სახელმწიფო („დერჟავა“) ან არ იქნება, საერთოდ. თქვენ დაწესებული გაქვთ, რომ უნდა იარსებოთ მხოლოდ, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფომ („დერჟავამ“). თქვენ თვითონ უნდა გადაწყვიტოთ, როგორ მოიქცეთ, როგორ უნდა გადაწყვიტოთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს თქვენთვის. გსურთ თუ არა, იყოთ ასეთი.

დღეს მსოფლიო, როგორც ცხონებულმა **პრიმაკოვმა** თქვა, მრავალპოლუსიანი და მრავალდონიანი ხდება. ამ გარემოში ყველა წარმატებული სახელმწიფო მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო ვერ იქნება. ასეთები შეიძლება იყოს სამი-ოთხი. მეტი არა. შეხვალთ ამ ექსკლუზიურ კლუბში — მაშინ რუსეთს დიდი მომავალი ექნება; არ შეხვალთ — არავითარი მომავალი არ გექნებათ.

მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

# ხსოვნა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გოდერძის უყვარდა საქართველო და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი. ვფიქრობ, გოდერძის სურვილი იყო, რომ დღეს აქ ყოფილიყვნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა... ისწავლეთ ქართული და გიყვარდეთ საქართველო, ისწავლეთ ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება“.**

## ჯუმბერ პატიაშვილი:

## «გოდერძი ჩოხელი საქართველოს დარჩება, როგორც დიდი მწერალი, გულიანი, ალალ-მართალი კაცი. მიხარია, რომ მისი სახელობის სახლ-მუზეუმი გაიხსნა»



## ლალი მარგიანი:

## «ვუყურებ ბავშვებს და მეტირება, რა ღრმად აქვთ გათავისებული გოდერძი ჩოხელი მისი სევდითა და სიდიადით»

## ნინო ზედელაშვილი:

## «გოდერძი ჩოხელი ამქვეყნად იმიტომ მოვიდა, რომ დიდი სიყვარული, სულის სილამაზე დაენახვებინა ყველასთვის»

**გოდერძი ჩოხელი დაიბადა 1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში. სოფლის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფასანაურის საშუალო სკოლაში. 1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, 1974 წელს — კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 1979 წელს დაამთავრა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად. 1980 წლიდან კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, ხოლო 1981 წლიდან მწერალთა კავშირის წევრია. 1977 წლიდან მისი მოთხრობები იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში.1980 წელს გამოსცა პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“. წიგნს წლის საუკეთესო პირველი წიგნის პრემია მიენიჭა. 1981 წლიდან წიგნი რუსულ ენაზე ითარგმნა. გამოცემული აქვს ლექსებისა და მოთხრობების კრებულები: „ბინდისფერი ხეობა“, „თევზის წერილები“, „შემინახე, დედაო მიწავ“, „სულეთის კიდობანი“, „არჩევნები სასაფლაოზე“. ლექსების კრებული „ბედი მდევარი“, მოთხრობების კრებული იტალიურ ენაზე „შავი არაგვი“, რომელიც ითარგმნა სხვა ენებზეც. რომანები: „მგელი“, „მღვდლის ცოდვა“, „ადამიანთა სევდა“, „სულეთის კიდობანი“. გოდერძი ჩოხელს გადაღებული აქვს თექვსმეტი მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმი.**

რამდენიმე დღის წინ სოფელ ჩოხში გოდერძი ჩოხელის სახლ-მუზეუმი გაიხსნა. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა **ჯუმბერ პატიაშვილმა** უყურადღებოდ არ დატოვა ეს ფაქტი და წეროვანის მეორე საშუალო სკოლის ბავშვებს მის მიერვე დაარსებული ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზი დაუთმო, რათა მომავალი თაობისათვის კიდევ ერთხელ მიეცა საშუალება, წარმოეჩინა ნიჭი და ცოდნა.

გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილ საღამოს მისი მეუღლე, ქალბატონი **ნინო ჩოხელი**, ოჯახის ახლო მეგობარი და დამსახურებული პედაგოგი, ქალბატონი **ნინო ზედელაშვილი** და თავისუფალი ჭიდაობის ბეჭდაუდებელი ფალავანი **რომან რურუა** ესწრებოდნენ.

მოსწავლეები გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებს თვალცრემლიანები კითხულობდნენ, ასევე ასრულებდნენ ჩოხელის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს, იყო ცეკვაც, მაგრამ გოდერძი ჩოხელისეული სევდა საღამოს თან სდევდა, რადგან ახალგაზრდებს გათავისებული ჰქონდათ მწერლის განწყობა, მისი ხედვა და ტრაგედია...

საღამო აღსანიშნავი იყო იმათაც, რომ გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილ საღამოს წეროვანის მეორე საშუალო სკოლასთან დამეგობრებული მარნეულის რაიონის სოფელ ხოჯორნის სომხურ-აზერბაიჯანული სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ, რომელთაც ქართველი ბავშვებისგან ვერ განასხვავებდა დამსწრე საზოგადოება. არაქართველი მოსწავლეები არაჩვეულებრივად კითხულობდნენ გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებებს, ბრწყინვალედ ფლობდნენ ქართულ ენას.

**ლალი მარგიანი,** სოფელ ხოჯორნის სომხურ-აზერბაიჯანული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი:

— წეროვანის მეორე საშუალო სკოლა სოციალურ ქსელში ვიპოვე. მინდოდა, ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი ჩემი ბავშვებისთვის **ტარიელ ხარხელაური** გამეცნო და ვეძებდი გზებს. მაშინ აღმოვაჩინე, რომ სწორედ წეროვანის სკოლას მიუწვევია ის და სკოლის დირექტორს შევეხმიანე. მან მასწავლა, როგორ დავკავშირებოდი პოეტს. მას შემდეგ ვმეგობრობთ.

სამი წელიწადია, პროექტის ფარგლებში ვმუშაობ აღნიშნულ სკოლაში. ჩვენ განსაკუთრებული წიგნები გვაქვს და ამ წიგნებში ბევრი რამ არ წერია... გოდერძი ჩოხელის ერთადერთი ნაწარმოებია შეტანილი მე-11 კლასის სახელმძღვანელოში — „ცასწავალა“, ბავშვებს ვთხოვე, მთლიანად წაეკითხათ. ამ მასალას რომ გავდიოდით, წეროვანიდან დამირეკეს და მითხრეს, გოდერძი ჩოხელის საღამო გვაქვს და ჩამობრძანდითო. სიხარულით ვაცნობე ბავშვებს ეს ამბავი და დავავალე, გოდერძი ჩოხელის შემოქმედება შეესწავლათ, თუმცა ბავშვებს კომპლექსი ჰქონდათ, — ქართულად კარგად ვერ ვსაუბრობთო. გავბედეთ და მაინც ჩამოვედით, ჩემს ბავშვებს უყვართ საქართველო, ვცდილობ, ვასწავლო ყველაფერი, ვცდილობ, შეიგრძნონ ქართული სული და ამ საქმეში ყველას დახმარება მჭირდება, წეროვანელების დიდი იმედი მაქვს.

ვუყურებ ბავშვებს და მეტირება, რა ღრმად აქვთ გათავისებული გოდერძი ჩოხელი მისი სევდითა და სიდიადით...

**ნინო ზედელაშვილი:** — ულმეს მადლობას ვუხდით წეროვანის მე-2 საშუალო სკოლის პედაგოგებს, დირექტორს, ასევე, მადლობას ვუხდით მოწვეულ სტუმრებს მარნეულის რაიონიდან.

სამწუხაროდ, სასკოლო პროგრამაში ძალიან მცირე დოზით არის შეტანილი გოდერძი ჩოხელის შემოქმედება და დღეს აქ ვხედავთ, თუ როგორი ნამუშევარი აქვთ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებს, როგორ ზედმიწევნით კარგად აქვთ შესწავლილი გოდერძი ჩოხელის შემოქმედება.

გოდერძი ჩოხელი ამ ქვეყნად იმიტომ მოვიდა, რომ დიდი სიყვარული, სულის სილამაზე დაენახვებინა ყველასთვის და აქ ვხედავ, რომ ეს გათავისებული აქვთ ბავშვებს, მადლობა ამისთვის პედაგოგებს და მასპინძელსაც. აღფრთოვანებულები ვართ სომეხი და აზერბაიჯანელი ბავშვების გამოსვლებით — საქართველო თქვენიცაა, აქ დაიბადეთ, აქ გაიზარდეთ, ენის ცოდნა აუცილებელია, ქართული თქვენი ენაცაა!

ღმერთმა წყალობა მოიღო ჩემზე, მაქვს ბედნიერება, ვიმეგობრო გოდერძი ჩოხელის ოჯახთან და მემეგობრა გოდერძისთან. გამოვეცი ორი წიგნი სახელწოდებით „ნაწილიანი“. მასალების შეგროვებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. წიგნში შესულია მწერლების, საზოგადო მოღვაწეების, ოჯახის წევრების, ნათესავების, მსახიობების, რეჟისორების მოგონებები. მოგონებების წიგნში ერთ-ერთი გამორჩეულია გოდერძი ჩოხელისა და ჯუმბერ პატიაშვილის შეხვედრა, ასევე შესულია წიგნში **ჰამლეტ კერესელიძის** მოგონება გოდერძიზე, სადაც ის ყვება ბატონი ჯუმბერ პატიაშვილისა და გოდერძის შეხვედრის დეტალებს.

გოდერძი სტუდენტი რომ იყო, ბატონ ჯუმბერთან მისულა კინორეჟისორი **ლანა ღოღობერიძე** და უთხოვია დახმარება: გამორჩეული სტუდენტი გვყავს, გოდერძი ჩოხელი, სახლ-კარი არ აქვს, იქნებ დავეხმაროთო. ჯუმბერ პატიაშვილს დაუბარებია გოდერძი, მაგრამ მას სასტიკი უარი უთქვამს. ჰამლეტ კერესელიძეს გოდერძისთვის კატეგორიულად მოუთხოვია ბატონ ჯუმბერთან წაყოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურიდან გამათავისუფლებენო,— უთქვამს.

მისულა გოდერძი ჩოხელი ჯუმბერ პატიაშვილთან, შეხვედრის შემდეგ პატიაშვილს უთქვამს: — რა ჯიუტი კაცი ყოფილა, ვერ დავაცდენინე, რომ ბინა არ აქვსო.

გოდერძის ბინა მისცეს.

თვითონ ჯუმბერ პატიაშვილი გოდერძი ჩოხელს ასე იხსენებს: „გოდერძი ყოველთვის მკაცრად აკრიტიკებდა არსებულ წყობას, მაგრამ მას ვუყურებდით, როგორც მოვლენას. ფილმი „აღდგომა“ რომ გადაიღეს, **შევარდნაძემ** თქვა: „გოდერძი ჩოხელმა ჩვენ თუ გვამოგზაურა საიქიოში, სხვებმა რა დააშვესო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფილმი სამზეოზე უნდა გამოსულიყო.“

**ჯუმბერ პატიაშვილი:** — ბევრი რამ ითქვა გოდერძიზე, მეც მოვიგონებ: ერთ დღეს, **კახი კავსაძე, გივი ბერიკაშვილი** და გოდერძი ჩოხელი მესტუმრნენ წეროვანში. სწორედ იმ დღეს მიდიოდნენ ფშავში ფილმის გადასაღებად. ის დღე ჩემთვის დასამახსოვრებელი იყო — გოდერძიმ ორი წიგნი მაჩუქა.

გოდერძი ჩოხელი საქართველოს დარჩება, როგორც დიდი მწერალი, გულიანი, ალალ-მართალი კაცი. მიხარია, რომ მისი სახელობის სახლ-მუზეუმი გაიხსნა.

დიდი მადლობა ბავშვებს, განსაკუთრებით სომეხ და აზერბაიჯანელ ბავშვებს იმისთვის, რომ ქართულად საუბრობენ, უყვართ, მე ამ სიყვარულს ვხედავ და დიდი მადლობა ამისთვის პედაგოგებს.

**ნინო ჩოხელი**, გოდერძი ჩოხელის მეუღლე: — დიდი მადლობა ყველას, ვინც მცირედი წვლილიც კი შეიტანა ამ არაჩვეულებრივი საღამოს მოწყობაში. ლამაზები და კარგები ხართ ყველა. **გოდერძის უყვარდა საქართველო და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანი. ვფიქრობ, გოდერძის სურვილი იყო, რომ დღეს აქ ყოფილიყვნენ სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა... ისწავლეთ ქართული და გიყვარდეთ საქართველო, ისწავლეთ ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედება.**

გოდერძი ჩოხელის, ამ ტრაგიკული მწერლის, პოეტის, სცენარისტისა და რეჟისორის ბუნებისა და ხასიათის მეტად წარმოსაჩენად ერთ ნოველას გთავაზობთ, რომელიც ერთ-ერთმა მოსწავლემ ბრწყინვალედ წაიკითხა.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

### მგელი

**გამოღმა სოფელი ჩოხია, გაღმით საკიდობნიას ხევი. შუაში შავი არაგვი მოდის.**

ხეობა ვიწროა, გაღმიდან რომ მგელმა დაიყმუვლოს, გამოღმა სოფელში კაცს გული აუფორიაქდება, იმიტომ რომ მგელს ცივი და გამყინავი ხმა აქვს.

ხოდა, ყმუის მგელი. სამი დღეა, განუწყვეტლივ ყმუის.

მთასა და მთას შორის შავი არაგვი მოდის.

— უნდა წავიდე, — იძახის გამიხარდა.

— სად? — ეკითხება ცოლი.

— მგელთან.

— გადაირიე, კაცო?!

— კი არ გადავირიე, მგელს რაღაცა უჭირს და შველას ითხოვს — ამბობს გამიხარდა და თან ტანსაცმელს იცვამს.

— მგელსაც შეუჭამიხართ შენც და შენი ტანსაცმელიც! — ეუბნება ცოლი.

გამიხარდას თოფი არ მიაქვს.

ის გუმანით ხვდება, რომ მგელს რაღაცა უჭირს. გადაივლის არაგვს, აივლის საკიდობნიას მთას და მიაგნებს მგელს.

დიდი წიფლის ძირში მწოლიარე მგელი გამიხარდას დანახვაზე შეკრთება.

გამიხარდა მგელს უყურებს. სიკეთე კრთება მისი თვალებიდან.

მგელი ფეხს გამოუწვდის და თითქოს ტირისო, ისე შეჰყმუვლებს.

გამიხარდა სულ ახლოს მივა მასთან და გამოწვდილ ფეხთან ჩაიჩოქებს.

დიდი ეკალი აქვს მგელს ფეხში შერჭობილი.

გამიხარდამ ეკალი ამოაძრო...

მერე?

გამიხარდას ცოლი დერეფანში იდგა და უყურებდა, როგორ გაბრუნდა მათი სახლის დერეფნიდან მგელი.

— ქალო! — გამოსძახა სახლიდან გამიხარდამ ცოლს.

ქალი სახლში შევიდა.

— დამისხი! — თქვა გამიხარდამ და, როცა ცოლმა ხარის ყანწში ჟიპიტაური დაუსხა, გამიხარდამ თქვა:

— ყველას გაუმარჯოს, ვისაც უჭირს ამ ქვეყანაზე!

— აუუუ! — თითქოს გამიხარდას უდასტურებსო, მხოლოდ ერთხელ მოისმა სადღაც შორიდან მგლის ყმუილი.

ეგ იყო და ეგ: ეს მოთხრობაც აქ მთავრდება.

მე კი რატომღაც მინდოდა, სიკეთის ყმუილი მოგესმინათ აქედან ყველას...


შოთა სამსონაშვილი და პაპუნა ლალიძე

**მწყობრიდან გამოსულ მანქანებს შლიდნენ და ნაწილებს ჰყიდდნენ, მაგრამ, ნახმარი ნაწილებით მოვაჭრეებისგან განსხვავებით, ამ ნაწილებს კლიენტებს მანქანებზე თავადვე უყენებდნენ.**

მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვხედავ, კაცთათვის
სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა,
თუ არ იხარა თავის ნაღვაწით,
რადგან ესაა მისი წილი
ამ მზისქვეშეთში, ვინ დაანახვებს,
რა მოხდება შემდგომად მისა?“**

*ეკლესიასტე 3,22*

# «ჩვენ უფრო გვაინტერესებს, ბიზნესი იყოს თავისუფალი»

**დღევანდელი პუბლიკაციით ვაგრძელებთ წერილების ბეჭდვას რუბრიკით „მისი უდიდებულესობა მუშათა კლასი“.**

## ერთად მოჰკიდეს საქმეს ხელი

როგორც იქნა, აცივდა. ბოლო წლების თბილ შემოდგომას შეჩვეული თბილისელებისთვის ცოტა მოულოდნელად. 16 ნოემბერს, დილით, აღმაშენებლის ხეივნიდან გლდანისკენ გადასახვევის ჩაყოლებით, მტკვრის მარჯვნივ გაშლილ სივრცეში მაინც განსაკუთრებით იგრძნობოდა ტემპერატურის მკვეთრი დაცემა ნულისკენ. ცელსიუსით.

16 ნოემბრის ასეთ დილას შევხვდი იმ უბანში **პაპუნა ლალიძესა** და **შოთა სამსონაშვილს,** რომლებსაც ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სახელოსნო აქვთ გახსნილი, ამერიკის საელჩომდე მისვლას სულ არაფერი რომ არ აკლია, იქ.

— გუშინ და დღეს კი არა, ხუთი-ექვსი წელიწადია, აქ ვმუშაობთ. აქ დავიწყეთ მეორადი ავტომანქანების დაშლა-აწყობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მეტიც შეგვეძლო და გადავედით მანქანების შეკეთებაზე. წლებია, ვემსახურებით მოქალაქეებს და დღემდე თავი არ შეგვირცხვენია, — მიყვება პაპუნა ლალიძე, შემდეგ შოთაც ჩაერთვება საუბარში, სამსონაშვილი.

— რატომღაც დამაინტერესა „ფოლკსვაგენ-შკოდას“ ფირმის მოდელმა და დეტალურად შევისწავლე ეს მანქანა. ერთხელ, როცა ჩემი ავტომობილი ავტოავარიაში სერიოზულად დაზიანდა, გადავწყვიტე, დამეშალა და ავტონაწილებად გამეყიდა. დაშლის პროცესში დავრწმუნდი, რომ შემეძლო ჩემი ცოდნა ხელობად გამომეყენებინა და მოქალაქეების მიღება დამეწყო, შემეკეთებინა მათი დაზიანებული მანქანები.

პირველად „დამოუკიდებელ ცურვაში“ დიღმის მასივის მეორე კვარტალში გავიდა, სადაც საერთო სარგებლობის „ორმოზე“, ღია ცის ქვეშ („მაწვიმდა, მათოვდა“) დაიწყო თავისი კერძო საქმე, როგორც თვითდასაქმებულმა, თანდათან გაშალა და გააფართოვა სამუშაო არეალი და ახლა უკვე სოლიდურ ობიექტს ხელმძღვანელობს შოთა სამსონაშვილთან ერთად, რომელიც მისი ბავშვობის მეგობარია.

უკვე ვთქვით, რომ მწყობრიდან გამოსულ მანქანებს შლიდნენ და ნაწილებს ჰყიდდნენ, მაგრამ, ნახმარი ნაწილებით მოვაჭრეებისგან განსხვავებით, ამ ნაწილებს კლიენტებს მანქანებზე თავადვე უყენებდნენ.

ახლა ავტონაწილები შემოაქვთ დუბაიდან, ჩინეთიდან. სახელოსნოში შვიდნი არიან — ელექტრიკოსი, მღებავი, ძრავისა და სავალი ნაწილის სპეციალისტები. ვინ თვითონ მოვიდა, ვინ — კლიენტების რეკომენდაციით მიიღეს. მაგალითად, **ნუგზარ კევლიშვილი.** მეგობარმა გვირჩია — კარგი ბიჭია, ცენტრში სტაჟირება გაიარაო. დავიყენეთ გვერდით და ახლა ერთად ვართ. დავმეგობრდით. ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ: **მიხეილ ვაშაკიძე, ომარ ზურაბაშვილი, ბესარიონ დევდარიანი, გიორგი იზორია, ნუგზარ კევლიშვილი.**

უფრო აპირებენ გაფართოებას.

უფროსებმა ხომ შეაქეს თანამშრომლები, ახლა ოსტატებსაც მოვუსმინოთ:

— ძალიან კარგები არიან, — ამბობს **გიორგი იზორია**, სერტიფიცირებული მღებავი, — მეგობრული, ძმაკაცური. ამიტომ ვარ აქ ამდენი ხანი, თორემ რა გამაჩერებდა! ექვსი წელიწადია, ერთად მოვდივართ. ერთი პერიოდი „ფეიქრებზე“ *(ფეიქრების ქუჩაზე, სადაც ნახმარი ნაწილები იყიდება)* ერთად ვმუშაობდით, ერთ სერვისში. ვნახე, რომ ნორმალური ხალხი იყო, საქმის მცოდნე და პასუხისმგებელი, გადავწყვიტე, მათთან ერთად ერთ წრეში ვყოფილიყავი. არც შევმცდარვარ. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ბევრი წელიწადი გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა. ჟესტი, „მალიარკა“, პლასტმასის აღდგენა. ამაზე მე ვმუშაობ.

## „არ არსებობს გაუკეთებელი“

საუბარი საერთო ხდება, ყველა ერთვება და აზრი ეკარგება დაკონკრეტებას, ვინ იყო ამა თუ იმ რეპლიკის, მოსაზრების, ინფორმაციის მომწოდებელი თუ ავტორი.

— ვარემონტებდით მექანიკურ კოლოფებს. პრაქტიკამ ბევრი რამ გვასწავლა და ამჟამად სიჩქარის არეული კოლოფების აწყობა ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია.

**— გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ ვერ შეგიკეთებიათ დაზიანება?**

— როგორ არა. მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, — არ არსებობს გაუკეთებელი. მეტი დაკვირვება სჭირდება, ინტერნეტის ყურადღებით მოქექვა, ბოლოს და ბოლოს, მაინც გამოგვისწორებია — XXI საუკუნეა, მოგეხსენებათ. თუ ნიჭი გაქვს, ყველაფერს გააკეთებ.

**— სადღაც ამოვიკითხე, რომ ფრანგული წარმოების მანქანების კონსტრუქცია, კვანძების განლაგება, ძრავა გაცილებით რთულია ამერიკულ მანქანებთან შედარებით.**

— სწორად ამოგიკითხავთ, მაგრამ ფრანგული მანქანების ჩაუთვლელად სხვა ევროპული მანქანები მარტივია. თუმცა „ლეონის ფოლკსვაგენი“, „ფიატი“, „შკოდა“, საზოგადოდ, ერთი ფუძიდან მოდის. მათი გარკვეული დეტალები, ნაწილები ჩანაცვლებადია, ცოტა გადაკეთება დაჭირდება ზოგჯერ, მორგება, მაგრამ გაუკეთებელი არაფერია.


თავიანთი საქმის დიდოსტატები

**აქ დავიწყეთ მეორადი ავტომანქანების დაშლა-აწყობა. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მეტიც შეგვეძლო და გადავედით მანქანების შეკეთებაზე. წლებია, ვემსახურებით მოქალაქეებს და დღემდე თავი არ შეგვირცხვენია**

**— მოუკითხავთ ავტომოყვარულებს იმის გამო, რომ სხვებს ვერ შეუკეთებიათ მათი გაფუჭებული ავტოები?**

— აი, მე მოვედი, — საუბარში ერთვება იქვე მდგარი კლიენტი. ნუ ჩავუთვლით უზრდელობად ჩვენს საუბარში ჩართვას, რადგან ყველგან — ავტოსახელოსნოებში, ბენზინგასამართ სადგურებში, „სტაიანკებზე“ ან, უბრალოდ, ქუჩაში ორი კაცი მანქანებზე თუ დაიწყებს ლაპარაკს, მესამე აუცილებლად ჩაერთვება, თუნდაც უცნობი გამვლელი. ასეთი წესი და ტრადიციაა, — იმხელა დაწესებულებამ, სადაც დღეში 150 მანქანა შედის და გამოდის, ვერ გამირემონტა მანქანა. ევაკუატორით მოვიტანეთ აქ და ბიჭებმა უშველეს.

**— სამაგიეროდ, იქაურ თბილ კაფეებში ყავას სვამენ, — დავიწუწუნე იმ დილის ყინვანარევი ქარით შეწუხებულმა.**

— ყავას კარგად სვამენ, — დამეთანხმა უცნობი.

— ყოფილა ასეთი შემთხვევები, — ამბობს შოთა სამსონაშვილი, — არ იციან და არც ცდილობენ, შეისწავლონ, რადგან მოგება მაინც აქვთ.

— მე, მაგალითად, სიჩქარეების კოლოფი დამიშალეს, ვერაფერი გააწყვეს და იმაში, რომ ბოლოს ეთქვათ, არაფერი გამოვაო, 150 ლარი გამომართვეს, — არ ცხრება გამწარებული უცნობი.

და ისევე, როგორც იქაურმა ბიჭებმა, ამ უცნობმაც არ დაასახელა, რომელ „იმხელა დაწესებულებაში“ მოხდა ეს აბსურდული შემთხვევა.

ჯენტლმენები არიან.

მაგრამ მწარე შეფასებისგან მაინც ვერ შეიკავეს თავი:

— „კრახობორობაა“ ეს, მენამცეცეობა!

— პირველებმა ჩვენ შემოვიღეთ ავტომობილების მექანიკური კოლოფების გადაკეთება, — დაასკვნეს.

## ის ურჩევნიათ ბიჭებსა

ეზო სავსეა „შკოდების“ კორპუსებით, ბამპერებით, ძველითა და ჯერ უხმარით. ბევრი რამ აწყვია კიდევ.

**— ეს სიუხვე ნიშნავს, რომ კლიენტები გყავთ?**

— კი, რა თქმა უნდა. საკმაოდ. ისე არაა ქუჩიდან შემოსული ადამიანი მივიღოთ. პირდაპირ რომ ძირითადად კლიენტების ჩაწერა ხდება და ზუსტად დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათზე მზად ვართ ხოლმე „პაციენტი“ მანქანების მისაღებად.

**— ყველაზე ხშირად, მაგალითად, „შკოდას“ რომელი აგრეგატი გამოდის მწყობრიდან? — ვეკითხები მიხეილ ვაშაკიძეს.**

— ძირითადი პრობლემა ზეთის „ჭამაა“, ამ პრობლემას ოპერატიულად ვაგვარებთ და გარანტიასაც ვაძლევთ, რომ ძრავა იმუშავებს იდეალურად. ორიგინალი ნაწილებით ვაწყობთ, ჩამოტანილით დღემდე პრობლემა არ შეგვქმნია. ხალხი კმაყოფილია და მადლობელი.

**— ოჯახები თუ არის კმაყოფილი?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილია.

შეკითხვას, რომელ ავტომანქანას იყიდდნენ, არჩევა რომ შეეთავაზებინათ, უმრავლესობამ „შკოდა-ოქტავია“ დაასახელა.

— ნაწილების შოვნა პრობლემა არ არის, შეკეთება კი ჩვენი საქმე და ხელობაა.

## და მაინც პოლიტიკა

**— რა არ მოგწონთ დედაქალაქში? პოლიტიკის პერმანენტული და ზომას გადამეტებული გააქტიურება ხელს არ გიშლით ცხოვრებაში?**

— გარკვეული პროცენტით, გვიშლის ხელს.

— მოქმედებს, როგორ არ მოქმედებს! საერთოდ ყველაფერზე მოქმედებს: ბიზნესზე, ჩვენს მომხმარებელზე, მისვლა-მოსვლაზე. პოლიტიკა გვმართავს.

— ჭკვიანურად უნდა წარმართვა.

— სიმყარის განცდას გვიკარგავს.

ეს ახალგაზრდები, ისე ვატყობ, მარტო სუპერპროფესიონალები კი არ არიან თავ-თავიანთ დარგებში, არამედ პოლიტიკურ ვითარებაშიც ტელეექსპერტებზე ნაკლებად არ ერკვევიან.

**— ძალიან გაწუხებთ პრობლემა, რომელი პრინციპით აირჩევენ გაისად საქართველოს პარლამენტის წევრებს?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ მაგ ყველაფერს. ძალიან კარგი იქნებოდა, პროპორციული პრინციპით რომ ჩატარებულიყო არჩევნები. სტაბილურობაც იქნებოდა და თავისუფლების მეტი გარანტიაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. რატომ? ვერ შევალთ პოლიტიკურ სიღრმეებში. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს და, უპირველეს ყოვლისა, იმას უნდა მივხედოთ, ამიტომ ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ და ზეგ. ჩვენ უფრო გვაინტერესებს, ბიზნესი იყოს თავისუფალი.

**— პოლიტიკას თავი დავანებოთ... თბილისში რა გიქმნით დისკომფორტს?**

— გადატვირთულობა. ავტომობილებით გადატვირთულობა. რა ეშველება? ინფრასტრუქტურის განვითარება ხდება აუცილებელი. ამას წინათ, საღამოს მტკვართან რომ ჩავიარეთ, ბიჭებმა თქვეს: აქაურობა იაპონელებს რომ ენახათ, ზედ რას არ გააკეთებდნენო — ესტაკადებს, ათას რამეს, ხიდებს... აბა, ავტომანქანის შეძენას ხომ არ აუკრძალავენ ხალხს?!

— სოფელი რომ განვითარდება, მიბრუნდებიან. ჩასხდებიან თავიანთ მანქანებში, წავლენ თავიანთ სოფლებში და დაინახავთ, როგორ დაცარიელდება თბილისი. სოფელი უნდა განვითარდეს, პირველ რიგში, — აზრი შემოგვიგდო კიდევ ერთმა უცნობმა, საამქროსკენ აჩქარებულმა, რომელმაც ქარივით კი ჩაგვიქროლა, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი აზრის გასაჯაროება ჩვენი მცირე აუდიტორიის წინაშე.

— აღდგომაზე თბილისის ქუჩები რომ ამოისუნთქავს, ამას ამტკიცებს, — შემოგძახებს ახლა უკვე უკან დაბრუნებული იგივე უცნობი.

რაკეტაა, ჩემმა მზემ!

**— ახლა ყველაზე დიდი სურვილი რისი გაქვთ? — უკანასკნელი შეკითხვაა.**

პასუხიც ბოლო:

— ქვეყანა რომ წელში გაიმართება, თითოეული ჩვენგანიც კარგად ვიქნებით!

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.**

**ამათი კუდიგორისკენ მიმავალი გზა „ასავალ-დასავალის“ უნიკალური შაირ-ფელეტონების ლიტერატორულმა გმირმა, კონგენიალურმა ჟანჟან დილიჟანმა (გვარი შეთხზულია) მიმასწავლა:**

„თხამ შეჭამა ვენახი და
მიაყოლა მსხალიცაო...
გეიკინომ გადარია
საქართველოს სტალიცაო.
აკინო, ფიწლის გიტარა
ჟანიმ ხიდის ქვეშ გიტარა!“

**სადღაც იმ უბანში არისო...**

**ა.ს.**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იქნებ ჩვენ დღეს სწორედ ის ღვთისმოსაობა და ღვთის სიყვარული გვაკლია, რაკი ასე განქიქებით ვეკიდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ყველა ჩვენს უბედურებას რუსებს მივაწერთ, საკუთარი უკუღმართობანი კი გვავიწყდება?!**

# განა ილიას არ შეეძლო, ჩამოეთვალა საყვედურები რუსეთის მიმართ? რატომ არ გააკეთა ეს?

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**დღეს ნებისმიერ პროგრესულად მოაზროვნე ქართველს სურს, ღმერთმა სწორ გზაზე ატაროს ქართველი ხალხი — გვესწავლოს ჩვენი ისტორია, საიდან მოვდივართ, სად ვართ და საით უნდა წავიდეთ მომავალში; და, როგორც წმინდა ილია მართალი გვასწავლის, თავი დავაღწიოთ იმ გადაგვარებასა და გათახსირებას, რომელიც ყველა ერს მაშინ ემართება, როცა საკუთარ წარსულს ივიწყებს.**

ზუსტად 220 წლის წინათ, 1799 წლის 23 ნოემბერს, ხელი მოეწერა პეტერბურგის ტრაქტატს — საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის დადებულ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების საფუძველზე რუსული არმიის ეგერთა პოლკი თბილისში შემოვიდა. ამ ფაქტს ეხმიანება ილიას წერილი „ასის წლის წინათ“, რომელიც გაზეთ „ივერიაში“ 1899 წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა და რომელიც რუსეთის მიმართ ლოიალურობით არის განმსჭვალული. ილია მიმოიხილავს რა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, დაწვრილებით აღწერს, თუ როგორი საყოველთაო სიხარული გამოიწვია საქართველოში რუსეთის მხედრობის შემოსვლამ, როგორ საზეიმოდ მოირთო თბილისი იმ ისტორიული დღისთვის: „ქალაქის ბანები მოიჭედა დიდითა და პატარითა, ქალითა და კაცითა, და მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელს, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომვლინებელსა. ბოლოს მოვიდა ჯარიცა... სიხარულის კიჟინა ხალხისა, ზარბაზნის სროლა, ზარების რეკა ერთს დიდს ყოფას და ამბავს წარმოადგენდა... მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია, საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე არ ენახა ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერადა და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას“.

და რომ, **„ამ ღირსახსოვარი დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დაუდუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლშვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა მიწას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და ალება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა, დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა...“**

განა ილიას არ შეეძლო, ჩამოეთვალა საყვედურები რუსეთის მიმართ? რატომ არ გააკეთა ეს? ნუთუ ილია კომპრომისზე წავიდა თავის სინდისთან? და თუ წავიდა, რატომ, რა მიიღო სანაცვლოდ?..

უბრალოდ, **ილიამ უფრო შორს გაიხედა და რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებას, ირიბი ფორმით — ისტორიული სარჩულის მოშველიებით, საქართველოს ავტონომიური მოწყობა შესთავაზა;** კერძოდ, როდესაც ის წერს, რომ გიორგი მეფემ რუსეთს შესთავაზა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობითო, თუმცა კი სინამდვილეში 1799 წლის 23 ნოემბრის ტრაქტატით სულ სხვა ურთიერთობები იქნა დამყარებული, რომლებიც თავის წიგნში „ცხოვრება გიორგი XIII-სა“ კარგად აღწერა პლატონ იოსელიანმა.

„ძმათაგან და გარეშე მტერთაგან შეწუხებული მეფე არღა ჰხედავდა ქვეყანასა მტკიცედ დაბინავებულად. ამისთვის მოინდომა და თუმცა დიდის ღელვითა, გარნა გაბედა და მისწერა დესპანთა თვისთა, რუსეთისაგან განმზადებულთა შემდგომი წერილითი დარიგება და ჰაზრი თვისი უკანასკნელი და გარდაწყვეტილებითი:

„...უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელოი ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერითგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ...“.

დესპანთა ამათ მეცადინებითა შესდგა და დამტკიცდა ტრაქტატი, მიღებული იმპერატორისა პავლესაგან.

აჰა თვით ჰაზრნი და მუხლნი ტრაქტატისა ამის, რომელიცა იპოება დაბეჭდილსა ფრანციზულად წიგნსა შინა როტიესსა (Inteneraire de Tiflis a Constantinopole /Bruxelles, 1829):

**„1799 წელსა, 23 ნოემბერსა, შედგა ახალი ტრაქტატი შორის პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფისა შემდეგი:**

*** მისი დიდებულება იმპერატორი ყოვლისა რუსეთისა მიიღებს ტიტულსა „მეფე საქართველოისა და შემდეგნი მისნი მემკვიდრენი“.**

*** ძე მეფისა გიორგისა დავით ტიტულსა „განმგე საქართველოისა“ და გარდავალს ესე შთამომავლობითა პირმშოდამ პირმშომდის.**

*** საქართველოისა ერი და მუნ მსახლობელნი 12 წლისა განგრძობასა, არ გაიღებენ არასა ხარჯსა, რათა დაეწყვნენ თვისსა მდგომარეობასა შემდეგ ესოდენთა ბრძოლათა. განმგე საქართველოისა მიიღებს რუსეთიდამ 12 წელსა მისთვის და სამეფოსა სახლისა წევრთათვის 20.000 თუმანს (200.000).**

*** მადანი ოქროისა და ვერცხლისა ახტალას და მისხანასა (მიშხანასა) შევა რუსთა განმგებაში და იმითი აივსება ზემო თქმული ჯამი ფულისა.**

*** 6.000 რუსისა ჯარი სრულისა კომპლექტითა იდგება საქართველოში. ქართველნი გამოვლენ ცხენოსნად ამა ქვეითისა ჯარისათვის.**

*** ქართველნივე მოაგროვებენ ჯარსა ესოდენსა, რაოდენიცა საჭირო იქმნების დასაცველად სამზღვრებისა.**

*** რუსნი წარმოგზავნიან ინჟენერთა თვისთა აღსაშენებელად და განსაახლებელად ციხეთა მათ ადგილთა ზედა, სადაცა დაინახება საჭიროდ.**

*** ფულსა, მოჭრილსა თფილისში, ექმნება ერთსა მხარეს ღერბი რუსეთისა და მეორეს საქართველოისა.**

*** საზრდო რუსეთისა ჯარისათვის მოიყიდება იმავე ფასითა, რომელიცა იქმნება დანიშნული ადგილობრივთა მცხოვრებთათვის.**

*** როდესაც მოხდება აღწერა ხალხისა, უნდა იქმნას კომლეურად და არა თვითო სულად (ქვემოთ არის შენიშვნა: წიგნი დაბადებისა, პირველი ნეშტთა თავი 21. მეორე მეფეთა თავი 24. ქართველთა მეფენი, მოშიშნი ღვთისა ბრძანებისა, ერიდებოდნენ ს უ ლ ო ბ ი თ მცხოვრებთა აღწერასა).**

**(ხელმოწერილია):**
**რუსეთისა მხრით**
**რ ო ს ტ ო პ ჩ ი ნ ი ღ რ ა ფ ი.**
**საქართველოისა მხრით**
**ა ვ ა ლ ო ვ ი.**
**ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ო ვ ი.“**

ასე რომ, აღნიშნული **ტრაქტატის მიხედვით, საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს სტატუსიდან გადავიდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომის სტატუსში, საქართველოს მეფის წოდება მიიღეს რუსეთის იმპერატორებმა, ხოლო გიორგი XIII-ის შთამომავლები იქცნენ საქართველოს განმგებლებად, ანუ მეფისნაცვლებად.** წმ. ილია მართალი ამის თაობაზე სწერს: **„სხვა გზა არ იყო, მეფე გიორგის ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან. ამ საქმეს აჩქარება უნდოდა. ღვთის-მოსავმა და ღვთის-მოყვარე მეფე გიორგიმ, რა თქმა უნდა, ერთმორწმუნე რუსეთი არჩია. ამას ეუბნებოდა წინაპართა ანდერძიცა, რადგანაც მისდა მეფობის წინათაც, ჯერ კიდევ 1576 წლითგან, საქართველოს მეფენი ბევრჯერ გამოჰლაპარაკებიან რუსეთს და მისგან ხელშეწყობასა და ხელის გამართვას მოჰლოდებიან. ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისვე მოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად“.**

**იქნებ ჩვენ დღეს სწორედ ის ღვთისმოსაობა და ღვთის სიყვარული გვაკლია, რაკი ასე განქიქებით ვეკიდებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ყველა ჩვენს უბედურებას რუსებს მივაწერთ, საკუთარი უკუღმართობანი კი გვავიწყდება?!**

გვავიწყდება ის მწარე სიმართლე, რომლის მოსმენა და მით უმეტეს დაჯერება არ გვსურს, რადგან იმ სამარცხვინო ისტორიებით ნამდვილად ვერ ვიამაყებთ და მხოლოდ აკაკის სიტყვებს თუ გავიმეორებთ, რომლებიც მან ილიას მკვლელობის შემდეგ „მიუძღვნა“ თანამემამულეებს: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“.

მაგალითისთვის გავიხსენოთ ფრანგი ოფიცრის — **შარლ დე გრაი დე ფუას** მოგონებანი საქართველოს შესახებ (ის გახლდათ გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი და 1769 წლის შემოდგომაზე მის რაზმთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედებისთვის), რომელშიც წერს, რომ მრავალი წლის განმავლობაში შინაომებისგან გაჩანაგებულ ამ ბედკრულ ქვეყანაში მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში იყო. **იმხანად გამარჯვებული და დამარცხებული ქართველები ისეთი სისასტიკით უსწორდებოდნენ ერთმანეთს, რომ მსგავს მაგალითებს მხოლოდ სპარსეთის ისტორიაში** ▶



ილია ჭავჭავაძე

**«მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..**
**. . . . . . . . .**
**ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული,**
**მეხა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენი ტანჯვითა!»**

**როდესაც იმპერატორმა ალექსანდრემ, როგორც მონარქმა, იმერეთი დაიკავა, ხოლო სამეგრელოსა და გურიაზე სიუზერენის უფლება მოიპოვა, მისი ხელისუფლების პირველი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან აკრძალა თურქებისათვის ტყვეთა მიყიდვა, ლაგამი ამოსდო მთავრებისა და ბატონების სისასტიკეს და აუკრძალა მათ სხეულის დასახიჩრებისა და სიკვდილით დასჯის კანონის გამოყენება**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსები, ძირითადად, ძალაში ტოვებენ იმპერიასთან შემოერთებული ხალხების კანონებსა და ჩვეულებებს, მაგრამ საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულნი უყოყმანოდ აუქმებდნენ ბარბაროსობის ყოველ წესს.

**«...უმსხვერპლეთ ყოველი სამეფო და სამფლობელოი ჩემი უზაკველითა და ქრისტიანებრითა ჭეშმარიტებითა მსხვერპლებითა და დაუდევით არა თუ მფარველობასა ქვეშე უდიდებულესსა დიდსა რუსეთისა საიმპერატოროსა ტახტსა, არამედ დაანებეთ სრულსა ნებასა და მზრუნველობასა მათსა, რათა ამიერითგან დაიდვას სამეფო ქართლოსიანთა საიმპერიოდ რუსეთისად წესითა მით, ვითარცა სხვანი იგი რუსეთსა შინა პყრობილნი პროვინციანი სარგებლობენ...»**

**◀ თუ შევხვდებითო, რომ ისინი არ ზოგავდნენ არც ბავშვებს, არც მოხუცებს, არც ქალებს, არც კაცებსა და არც სილამაზეს.**

**ლევან დადიანი** — სამეგრელოს ერთ-ერთი გავლენიანი ხელისუფალი, რომელიც 1650-იან წლებში მართავდა სამეგრელოს, გაეყარა აფხაზთა მთავრის ახალგაზრდა, ტურფა და ჭკვიან ასულს და, სანამ მამამისს უკან მიჰგვრიდა, ქალს ცხვირი, ყურები და ხელები დააჭრა. შემდეგ კი ცოლი წაართვა საკუთარ ბიძას, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მისი მეურვე იყო და რომლის წყალობითაც საკუთარი გვირგვინი ჰქონდა შენარჩუნებული.

რაც შეეხება იმერეთს, სულ მცირე დროის განმავლობაში აქ ერთმანეთის მონაცვლეობით მეფობდნენ ბაგრატი, ვახტანგი, ვამეყი და არჩილი, რომელთაც რიგრიგობით დასთხარეს თვალები ან მოკლეს. ერთ-ერთმა მათგანმა, კერძოდ, ბაგრატმა, კვლავ დაიბრუნა ტახტი. მან საკუთარი ხელით განგმირა ტახტიდან გადაყენებული წინამორბედი, ამოჰკვეთა გული, ხელებით დასრისა და ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა......

რაკი მეფეები ასე ბარბაროსებივით იქცეოდნენ, ცხადია, რომ ისინი არც ქვეშევრდომებს ინდობდნენ. ხშირი ყოფილა სხეულის დასახიჩრების შემთხვევები. ზოგჯერ ამ ზომას იმ მიზნით მიმართავდნენ, რათა ყმების გაქცევები აღეკვეთათ, თუმცა ზოგჯერ ასევე სჯიდნენ სულ უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც...

**როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ, როგორც მონარქმა, იმერეთი დაიკავა, ხოლო სამეგრელოსა და გურიაზე სიუზერენის უფლება განახორციელა, მისი ხელისუფლების პირველი ქმედება იმაში გამოიხატა, რომ მან აკრძალა თურქებისთვის ტყვეთა მიყიდვა, ლაგამი ამოსდო მთავრებისა და ბატონების სისასტიკეს და აუკრძალა მათ სხეულის დასახიჩრებისა და სიკვდილით დასჯის კანონის გამოყენება.**

**რუსები, ძირითადად, ძალაში ტოვებენ იმპერიასთან შემოერთებული ხალხების კანონებსა და ჩვეულებებს, მაგრამ საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულნი უყოყმანოდ აუქმებდნენ ბარბაროსობის ყოველ წესს.**

შესაძლოა, ბევრი რამ სადავოა ამ მოსაზრებაში, ბევრიც — მისაღები, მაგრამ ყოველივე ამას (ისევე, როგორც წმ. ილია მართლის, პლატონ იოსელიანისა და შარლ დე გრაი დე ფუას ნაწერებს) სჭირდება სათანადო გააზრება და გაანალიზება დღევანდელობისთვის სასარგებლო დასკვნების გასაკეთებლად და არა „ამერიკა, ამერიკასა“ და „ნატო, ნატოს“ ძახილით რუსეთისკენ ფურთხება.

ცნობილია, რომ რუს და ქართველ ხალხთა მეგობრული ურთიერთობისა და საზოგადოებრივ-ისტორიული თანამშრომლობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ჩვენს 60-იანელებს — თერგდალეულებსა და ხალხოსნებს, რომელთა უმრავლესობამ სწავლა-განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს ეზიარა. თუმცა ი. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვა თერგდალეულები, ისევე, როგორც ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის გაგებაში ერთსულოვანნი იყვნენ. ჩვენი სამოციანელები და ხალხოსნები მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შეუნელებელ ინტერესს იჩენდნენ რუსეთის მიმართ, რადგან მასთან იყო დაკავშირებული საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი. „რუსეთის საკითხი“ მათ აინტერესებდათ არა განყენებულად, არამედ თავიანთი სამშობლოს ბედთან დაკავშირებით. ისინი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, უპირველეს ყოვლისა, საქართველოზე ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, საქართველოს ინტერესებიდან გამოდიოდნენ და ამ პოზიციებიდან განიხილავდნენ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებს. ამ მხრივ საინტერესია **ვანო შადურის** წიგნი **„რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ“.** გთავაზობთ ნაწყვეტს ამ წიგნიდან.

**„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..**

**. . . . . . . .**

**ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული,**

**მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენი ტანჯვითა“!**

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები ყველა მისი თანამებრძოლის აზრსა და გრძნობას გამოხატავდა.

დიდძალი მასალა, რომელიც წარმოდგენილია თერგდალეულთა და ხალხოსანთა თხზულებებში, კერძო წერილებსა და ზეპირ გამოსვლებში სწორად და ღრმად აშუქებს ორი ქვეყნის კავშირ-ურთიერთობას ძველად და გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ.

„ოც საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულს ასპარეზზედ გამოსულა. ამ ხანგრძლივ დროთა მიმავლობაში ჩვენს ხალხს ერთს ხელში თოფი და ხმალი სჭერია და მეორეში გუთანი და ამ ყოფით და ვაი-ვაგლახით გაუტარებია ეს აუარებელი დრო“, — ასე წერდა თერგდალეულთა აღიარებული ბელადი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე და საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ **რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე მტკიცდებოდა, მშვიდობისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი იყო.** მას წარმოუდგენლად მიაჩნდა თავისი სამშობლოს განვითარება რუსეთთან ძმური კავშირის გარეშე. სხვა წერილებში ი. ჭავჭავაძე სწორად აღნიშნავს, ქართველებს მტკიცედ სწამთ, რომ რუსეთი მოევლინა მათ მხსნელად და მფარველადო.



მეფე გიორგი XIII

ანალოგიურ აზრს ხშირად გამოთქვამდნენ სხვა თერგდალეულნიც.

**„ჩვენმა სამშობლომ,** — წერდა **აკაკი წერეთელი** 1872 წელს, — **მრავალი საუკუნის განმავლობაში მტრებთან ბრძოლის, სისხლის ღვრის, ტანჯვის და ბევრი უბედურების გამოცდის შემდეგ, თავის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გადაწყვიტა თავისი ბედი მით, რომ მონახა სასურველი პატრონი, რომელსაც შეავედრა და მიანდო თავისი თავი. იმ ახალ პატრონს, ცხადია, იმ დროის საქართველოს სიკეთე ჰსურდა და მიტომაც მიიღო ის თავის მფარველობაში“.**

ა. წერეთელი უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა იმ ფაქტს, რომ რუსეთმა საქართველო დაღუპვას გადაარჩინა, ბოლო მოუღო ჩვენს მიწა-წყალზე დამპყრობთა ველურ თარეშს და მშვიდობა დაამკვიდრა.

უნდა შევნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხშირად ეხებოდა არა მარტო თავის პუბლიცისტურ წერილებში, არამედ მხატვრულ ქმნილებებშიც.

გავიხსენოთ, მაგალითად, მისი პოემა **„თერთმეტი ენკენისთვე“** (1895). დიდი მგოსანი აგვიწერს ასი წლის წინათ მომხდარ კრწანისის ტრაგედიას, მოგვაგონებს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპულ გმირთა სისხლით დაწერილ ანდერძს რუსეთთან კავშირის აუცილებლობის შესახებ.

**„კავშირი ძმური და**
**მეგობრული...**
**და, ვინც იფიქროს**
**მისი გაწყვეტა,**
**იყოს წყეული,**
**ხვთისგან და კრული...**
**...ასე ჰფიქრობდნენ,**
**რომ გვიანდერძეს**
**მათი განზრახვა**
**სახელმძღვანელოდ,**
**და მათი ღირსი**
**აღარ ვიქნებით,**
**ეგ გრძნობა გულში**
**რომ გავინელოთ“.**

თვით აკაკის გულში ის გრძნობა არასოდეს განელებულა. პოეტი ხშირად ლაპარაკობდა რუსეთთან ძმური კავშირის აუცილებლობაზე.

**„როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვენ, რუსები, მოგიწვიეს,** — თქვა მან კ. ბალმონტის საპატივცემლოდ გამართულ ბანკეტზე 1914 წელს, — **მაშინ ჩვენ, შვილიშვილებს, გვიანდერძეს: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით“.**

**„გარეშე მტრებისგან დაცვის გარდა, რომელიც იყო თავდაპირველი მიზეზი ჩვენი სამშობლოს რუსეთთან შეერთებისა,** — წერდა ა. წერეთელი, — **უკანასკნელის მოვალეობა მოითხოვდა, შესდგომოდა, აგრეთვე, ჩვენში მოქალაქეობისა და განათლების შემოტანას“.**

**როგორ ასრულებდა რუსეთი ამ მოვალეობას? როგორ დამოკიდებულებას იჩენდა იგი საქართველოსადმი?“**

ეს იყო მეტად რთული საკითხი, რომელზეც ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს გაზეთის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.



აკაკი წერეთელი

**«ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსთა შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელთაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა»**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

## ბრიტანეთის საპყრობილეში მკვდარი პედოფილი იპოვეს



**ეს იყო რიჩარდ ჰაკლი, რომელსაც მალაიზელი ბავშვების მიმართ მრავალრიცხოვანი დანაშაულის ბრალდებით მისჯილი ჰქონდა 22-ჯერ სამუდამო პატიმრობა.**

— ფულ-სატონის ციხის პატიმარი რიჩარდ ჰაკლი მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს გარდაიცვალა, — The Guardian ამ ინფორმაციას ავრცელებს დიდი ბრიტანეთის ციხეების სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებაზე დაყრდნობით.

წერილში აღნიშნულია, რომ რიჩარდ ჰაკლი კუალალუმპურის ღატაკ თემებში თავს ასაღებდა ინგლისური ენის ფილანტროპ მასწავლებლად. ეს კაცი 2006-2012 წლებში ძალადობდა 6 თვიდან 12 წლამდე ბავშვებზე და ამ დროის განმავლობაში მსხვერპლთა რაოდენობამ 200-ს მიაღწია.



## ამერიკელებმა აკრძალეს Metallic-ის, U2-ის, Queen-ის და Beatles-ების სიმღერები

**ხელმძღვანელობის აზრით, ისინი შეიცავს ძალადობისკენ მოწოდებას და უკიდურესად ნეგატიურად მოქმედებს Clear Channel-ის 110-მილიონიანი აუდიტორიის ფსიქიკაზე.**

ამერიკელი ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველებმა საქმეს მასშტაბურად მოჰკიდეს ხელი: „შავ სიაში“ აღმოჩნდა Metallic-ის სამი სიმღერა, დასახელებული ანსამბლების — Queen-ისა და U2-ის თითო სიმღერა. მათ გვერდით აღმოჩნდა Black Sabbat-ის ერთი სიმღერა და Beatles-ის უწყინარი კომპოზიცია Of-La-Di, Ob-La-Da, ლუი არმსტრონგის What a wonderful world და ჯერი ლი ლუისის სახელგანთქმული Great Balls of Fire.

სოცრეალიზმს გადააჭარბეს ამ მარაზმატიკოსებმა.



## მამამ და შვილმა გააუპატიურეს ქალი და კალიფორნიის უდაბნოში დატოვეს

**კალიფორნიაში 54 წლის მამაკაცმა და მისმა 22 წლის ქალიშვილმა მოიტაცეს და გააუპატიურეს ქალი, რომელიც შემდეგ უდაბნოში დატოვეს სასიკვდილოდ, — იუწყება Fox News-ი.**

გამოცემის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, წებოვანი ლენტით გაკოჭილი ქალი სამხედროებმა უდაბნოში სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზასთან ახლოს იპოვეს.

დანაშაული ჩადენილი იქნა 30 ოქტომბერს. პისტოლეტით შეიარაღებულმა მამა-შვილმა ქალი მისი სახლიდან (ლასვეგასიდან) გაიტაცეს კალიფორნიაში, სადაც 1 კვირის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებული, შემდეგ კი უდაბნოში დატოვეს. ორივე დამნაშავეს წარუდგინეს 7 ბრალდება: მოტაცება, გაუპატიურება, ძარცვა, თავდასხმა მკვლელობის მიზნით და 3 ბანკომატის გატეხვა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## დასავლეთი უკვე გვამია



**ბრიტანული წყვილი წლინახევრის შვილს შეგნებულად უსქესო არსებად ზრდის. ბავშვს, რომელსაც სომეხი ბებიის სახელი — ანუში დაარქვეს, ერთდროულად ბიჭად და გოგოდ გაზრდა-ჩამოყალიბების პერსპექტივა ელოდება ან რაღაც მესამე სქესი.**

38 წლის **ჰობიტ ჰამფრი** და 35 წლის **ჯეიკ ინგლანდ ჯონი** ბრიტანეთის ცირკში აკრობატებად მუშაობენ და ანუშს „გენდერული ტრადიციით“ ზრდიან იმ მოსაზრებით, რომ დაიცვან შთამომავალი სქესის მიხედვით უაზრო დისკრიმინაციისგან. ერთი ხანია, დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ განიხილავენ გენდერული იდენტურობის პრობლემას, მაგრამ ამ ბრიტანულმა წყვილმა გენდერული თვითინდიფიკაციის თავდაჯერებულ მომხრეებს გაუსწრო იმით, რომ ექსპერიმენტის ჩატარება საკუთარ ნაშიერზე გადაწყვიტა.

ცოლ-ქმარი არ აცხადებს, რომელი სქესისაა ანუში. საკუთარ მშობლებსაც არ უმხელენ, მაგრამ ბებიამ შემთხვევის წყალობით გაარკვია ეს, როცა პატარას პამპერსი გამოუცვალა. ანუშს ხან ბიჭივით გამოაწყობენ, ხან გოგოსავით.

რამდენიმე დღის წინათ წყვილი BBC-ის One შოუში გამოჩნდა და ილაპარაკა აღზრდისადმი ორიგინალურად მიდგომაზე. მათ აზრით, ბავშვი მომავალში თავად გაარკვევს, ვინ (ქალი თუ კაცი) სურს, რომ იყოს. მანამდე კი არ სურთ, თავს მოახვიონ ქცევის არც ერთი გენდერული მოდელი.

„ჩვენ არ გვსურს, ვაიძულოთ „ისინი“, გააკეთოს ის, რაც ჩვენ გვინდა; ჩვენ გვსურს, რათა მათ თავად გადაწყვიტონ საკითხი. მსოფლიოში სქესის მიხედვით უამრავი დისკრიმინალიზაციაა, ზოგჯერ შეუგნებელიც კი, ამიტომ, როცა დავვორსულდი, ჩვენ განვიხილეთ ეს პრობლემა და გადავწყვიტეთ, შევეცადოთ ამგვარი აკვიატებულობის შერბილება. იმთავითვე დავმალეთ ბავშვის სქესობრივი კუთვნილება“, — ყვება გონებადაბნეული და გულქვა დედა ჰობიტ ჰამფრი.

დედ-მამა ბავშვთან ურთიერთობაში იყენებს ნაცვალსახელს „ისინი“, რათა, როგორც აცხადებენ, შეუქმნან ბავშვს თავისებური სიტუაცია, რომელშიც თავს კომფორტულად იგრძნობს. „ასე რომ არ მოვიქცეთ, ბოლოს და ბოლოს „ისინი“ გაარკვევს, რომ ვარდისფერი გოგონებისთვისაა, ცისფერი კი ბიჭებისთვის და თქვენ ამას ვერაფერს მოუხერხებთ, რადგან ასეა დადგენილი განსხვავებული სქესის ადამიანებისთვის. ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ ყველაფრისგან დავიცვათ ანუში“.

„ჩვენ ნებას ვრთავთ ანუშს, იყოს გენდერობისგან დამოუკიდებელი ბავშვი. ანუში ლამაზი და აქტიური პატარა ადამიანია. ჩვენ შეგვექმნა პრობლემები სხვა ადამიანებთან, რომელთაც ვერ გაიგეს ჩვენი გადაწყვეტილება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ ბავშვს საშუალებას ვაძლევთ, განვითარდეს მისი სქესისგან დამოუკიდებლად“, — ყვება ჰამფრი.



ბოლო წლებში დასავლეთში გავრცელდა გენდერული ნეიტრალობის, უფრო ზუსტად, გენდერული გაურკვევლობის მოდა, რომლის ინიციატორები გამოჩენილი ადამიანები იყვნენ. ხან ერთ, ხან მეორე მსახიობი ან მომღერალი ქალი თავის ბიჭს კაბაში გამოპრანჭულს დაატარებს, გოგონას კი ნებას რთავს, ბიჭად წარმოიდგინოს თავი.

მაგალითად, 2018 წელს ბრიტანელმა მომღერალმა ქალმა **პალომა ფეიმტმა** განაცხადა, რომ ზრდის თავის შვილს გენდერულ-ნეიტრალური ტრადიციების მიხედვით. იგივე გაიმეორა ჰოლივუდის მსახიობმა ქალმა **ქეით ჰადსონმა.** კომიკოსმა **რასელ ბრენდმა** ასევე განაცხადა, რომ ორივე მისი გოგონა გენდერულ-ნეიტრალურ სტილში იზრდება. მსახიობ **შარლიზ თერონის** ვაჟიშვილი კაბით დადის.

## საფრანგეთში კვლავ აღიძრა საქმე რეჟისორ ლუკ ბესონის წინააღმდეგ



**მსახიობმა ქალმა სენდ ვან როიმ ხელმეორედ შეიტანა სარჩელი რეჟისორის წინააღმდეგ, რადგან უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ პირველად აღძრული საქმე დაუსაბუთებლად დახურეს.** სასამართლოს გამომძიებელმა განაახლა საქმე, რომლითაც ბესონს ბრალად ედება ძალადობა, — იუწყება Franse Info.

პირველი საქმე დაიხურა 2019 წლის 25 თებერვალს, ცხრა თვის განმავლობაში წარმოებული გამოძიების შემდეგ, რადგან ბრალდებულს დანაშაული ვერ დაუმტკიცეს.

მაგრამ მსახიობმა და მანეკენმა **სენდ ვან როიმ** ხელმეორედ შეიტანა სარჩელი. იგი ირწმუნება, რომ რეჟისორმა იგი 2018 წლის 10 მაისს გააუპატიურა სასტუმრო „ბრისტოლში“.

იმავე წლის ნოემბერში ხუთმა ქალმა დაადანაშაულა ლუკ ბესონი სექსუალურ ძალადობაში.

**მაკრონის კანცელარიაში განაცხადეს, რომ ნორმანდიის ფორმატში მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერების სამიტის გამართვა, რომელშიც გაერთიანებულია რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი და გერმანია, დაგეგმილია პარიზში 2019 წლის 9 დეკემბრისთვის, — იუწყება BLOOMBERG-ი.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რუსეთი და ბელარუსი განაგრძობენ სვლას სამოკავშირეო სახელმწიფოსკენ

**რუსეთისა და ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრები — სერგეი ლავროვი და ვლადიმერ მაკეი 18 ნოემბერს მოსკოვში შეხვნენ ერთმანეთს და განიხილეს თანამშრომლობა სამოკავშირეო სახელმწიფოსა და ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში.**

**შემდეგ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საგარეო პოლიტიკაში შეთანხმებულად მოქმედების თაობაზე.**

19 ნოემბერს კი ცნობილი გახდა, რომ ბელარუსისა და რუსეთის მთავრობების თავმჯდომარეები — სერგეი რუმასი და დიმიტრი მედვედევი მოსკოვში გამართავენ სამოკავშირეო სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს სხდომას.



## ნორმანდიის ფორმატში შეხვედრის დრო და ადგილი ცნობილია

**მაკრონის კანცელარიაში განაცხადეს, რომ ნორმანდიის ფორმატში მონაწილე სახელმწიფოთა ლიდერების სამიტის გამართვა, რომელშიც გაერთიანებულია რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი და გერმანია, დაგეგმილია პარიზში 2019 წლის 9 დეკემბრისთვის, — იუწყება Bloomberg-ი.**

შეხვედრის დრო და ადგილი მოგვიანებით კრემლშიც დაადასტურეს, რასაც წინ უძღოდა მაკრონისა და პუტინის სატელეფონო საუბარი. ორივე პრეზიდენტმა მიიჩნია, რომ შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს მინსკის შეთანხმებების რეალურად შესრულებას და რომ კიევმა აუცილებლად უნდა შეასრულოს შიდაუკრაინული დარეგულირების პოლიტიკური ასპექტები, რომლის ვალდებულებაც აღებული აქვს. პირველ რიგში, ძალაში უნდა შევიდეს კანონი დონბასის გამორჩეული სტატუსის შესახებ.



## მაკრონის მორიგი სვლა: მას სურს, მიაღწიოს ნატოსგან ევროკავშირის დამოუკიდებლობას



**საფრანგეთის პრეზიდენტმა მოითხოვა, შეიცვალოს ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ, თანამეგობრობა თავდაცვის საკითხებში ნატოსგან უფრო დამოუკიდებელი რომ გახდეს, — წერს Welt am Sonntag-ი ბრიუსელის წყაროზე დაყრდნობით.**

გამოცემის ინფორმაციით, მაკრონს სურს დააკონკრეტოს ხელშეკრულების 42 მუხლის მე-7 პუნქტი, რომელშიც ლაპარაკია ევროკავშირის წევრების ვალდებულებაზე, დაეხმარონ თანამეგობრობის ნებისმიერ სხვა ქვეყანას.

მაკრონი მიიჩნევს, რომ ცვლილებები საჭიროა იმისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ევროკავშირის დაცვა საკუთარი ძალებით იმ შემთხვევაში, თუ ნატო ვეტოს გამო ვერ შეძლებს კოლექტიური თავდაცვის მუხლის გააქტიურებას.



## საფრანგეთი მიიჩნევს, რომ რუსეთი წარმატებით აღწევს თავს დოლარს

**„რუსეთი ამერიკული დოლარისგან გათავისუფლების გზაზე დგას“, — წერს ფრანგული გამოცემა Les Echos-ი.**

მასალაში ნათქვამია, რომ, როგორც RT („რაშა თუდეი“) აღნიშნავს, რუსეთის ეკონომიკის დედოლარიზაციის პროცესი 2014 წელს დაიწყო, როცა გართულდა აშშ-თან ურთიერთობა.

ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ რუსეთმა სავალუტო რეზერვი გაზარდა ბრიქს-ის ქვეყნებში. მოსკოვმა 17 პროცენტით შეძლო რუბლის კურსის სტაბილიზაცია 2018 წლის ვარდნის შემდეგ.



## მოლდოვის ახალი პრემიერი იონ კიკუ პირველ ოფიციალურ საგარეო ვიზიტს მოსკოვში გამართავს

**ვიზიტი 20 ნოემბერს შედგება რუსეთის პრემიერ მედვედევის მიწვევით.** შეგახსენებთ, რომ კიკუ მოლდოვის პრეზიდენტ ი. დოდონის კანდიდატურაა, რომელიც, რუსეთთან კონფრონტაციის ნაცვლად, მასთან კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის მომხრეა.



## ტრამპი: ამერიკული სამხედრო ბაზები უცხოეთში მილიარდიანი შემოსავლების წყარო უნდა იყოს

**ტრამპმა იაპონიას მოსთხოვა, ოთხჯერ გაზარდოს ხარჯები ამომავალი მზის ქვეყანაში ამერიკის შეიარაღებული ძალების განლაგების საფასურად, რაც, დაახლოებით, 8 მილიარდ დოლარს უდრის, — იუწყება Foreing Policy.**

იაპონიამ უარით უპასუხა.

ამჟამად ტოკიო 1,8 მლრდ-ს იხდის თავის ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების ყოფნისთვის.

Foreing Policy-ის ინფორმაციით, იაპონიას აშშ-ის 54 ათასი ჯარისკაცის „სტუმრობა“ 8 მილიარდი დოლარი დაუჯდება.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ჯარისთვის გაღებული ხარჯი ტრამპის სტრატეგიის თანმდევი შედეგია, რომლის მიზანია, საზღვარგარეთ არსებული ამერიკული სამხედრო ბაზები ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დამატებითი შემოსავლის წყაროდ აქციოს.

ტრამპის მოთხოვნის გასაჯაროებისთანავე იაპონიაში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები. ქვეყნის საზოგადოებრიობა უკიდურესად აღაშფოთა კაბალური ვალდებულების მოცულობის გაზრდამ. პროტესტანტები მოითხოვენ ამერიკული ჯარის გაყვანას იაპონიიდან.



## პუტინმა ფოტოსურათი ბრაზილიის სპეცრაზმთან ერთად გადაიღო

**ჟურნალისტმა დიმიტრი სმირნოვმა გამოაქვეყნა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ფოტო ბრაზილიის სპეცრაზმთან ერთად გადაღებული.**

„სამახსოვრო ფოტო: პუტინი და ბრაზილიის სპეცრაზმი, რომელიც მას იცავდა“, — მიაწერა ფოტოგრაფმა.

გასული კვირის განმავლობაში პუტინი სტუმრობდა ბრაზილიას, სადაც ტარდებოდა ბრიქს-ის სამიტი.



## ტრამპის იმპიჩმენტი იფუშება

**შოუ ჩაეშალათ. იმპიჩმენტის საკითხზე გამართული მოსმენების დროს მოწმეებმა სენსაციური ჩვენებები არ მისცეს.** ვილაცამ ოდესღაც ყური მოჰკრა ვილაც დიპლომატების საუბარს. ბიბლიაზე დაფიცებით არავის დაუდანაშაულებია ტრამპი სამშობლოს ღალატსა და სხვა მიუტევებელ ცოდვებში. ძლიერი კანდიდატი დემოკრატებს კვლავ არ ჰყავთ აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე 2020 წლის არჩევნებში. ასე რომ, ტრამპი შეიძლება აშშ-ის პირველკაცობის ერთადერთი პრეტენდენტი აღმოჩნდეს.

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საოცრად საზრიანი ფრინველი, რომელმაც წარმოაჩინა თავისი კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები, მძაფრი დისკუსიების ობიექტი შეიქნა მკვლევარ-ნატურალისტებს შორის. მას შეეძლო, შემოქმედებითად გამოეყენებინა ადამიანის სიტყვები და ფრაზები, ხოლო გონებრივი შესაძლებლობებით 5 წლის ბავშვის დონეზე იყო. თუთიყუშს ფერების აღქმაც კი შეეძლო, აგრეთვე, საგნებისა და იცოდა მნიშვნელობა სიტყვებისა: დიდი, პატარა, ზევით, ქვევით.



# ცხოველები, რომლებმაც გავლენა იქონიეს ისტორიის მსვლელობაზე

ჩვენ, ადამიანები, ყოველთვის მივიჩნევდით ცხოველებს განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომ არსებებად და ხშირად სათანადოდ ვერ ვაფასებდით მათ შესაძლებლობებს. ისტორიამ კი იცის ბევრი შემთხვევა, როცა ადამიანები ცხოველების წყალობით პოულობდნენ დაავადების საწინააღმდეგო საშუალებას, იმარჯვებდნენ მტერზე, იწყობდნენ წარმატებულ პოლიტიკურ კარიერას და მიფრინავდნენ კოსმოსშიც კი. აი ცხოველები, რომლებმაც გავლენა იქონიეს ისტორიულ მოვლენებზე.



## შავი ღორი, რომელმაც საფრანგეთის მეფე იმქვეყნად გაისტუმრა



ახალგაზრდა **ფილიპე (1116-1131), ლუდოვიკო VI**-ის ვაჟი, ახალი ასული იყო ტახტზე. ის ამალასთან ერთად ცხენით მისეირნობდა მდინარე სენის ნაპირზე, როცა მოულოდნელად გამოვარდა შავი ღორი და დამფრთხალმა ცხენმა მეფე უნაგირიდან გადმოაგდო. მეფის დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა და ის მეორე დღეს გარდაიცვალა.
ასე შეცვალა შავმა ღორმა ისტორიის მსვლელობა, ფილიპეს გარდაცვალებამ კი შეაჩერა საფრანგეთის მიერ ახალი მიწების დაპყრობის პროცესი.



## ალექსი — გენიოსი თუთიყუში

აფრიკულმა ნაცრისფერმა თუთიყუშმა, სახელად ალექსმა სრულიად შეცვალა ადამიანების წარმოდგენა ცხოველების ინტელექტზე. საოცრად საზრიანი ფრინველი, რომელმაც წარმოაჩინა თავისი კოგნიტური და კომუნიკაციური უნარები, მძაფრი დისკუსიების ობიექტი შეიქნა მკვლევარ-ნატურალისტებს შორის. მას შეეძლო შემოქმედებითად გამოეყენებინა ადამიანის სიტყვები და ფრაზები, ხოლო გონებრივი შესაძლებლობებით 5 წლის ბავშვის დონეზე იყო. თუთიყუშს ფერების აღქმაც კი შეეძლო, აგრეთვე, საგნებისა და იცოდა მნიშვნელობა სიტყვებისა: დიდი, პატარა, ზევით, ქვევით.



## ცხენი, სახელად ჯიმი

იცოდით, რომ დიფტერიის საწინააღმდეგო ვაქცინის აღმოჩენას ცხენს უნდა ვუმადლოდეთ? ულაყი, სახელად ჯიმი წინასწარგანზრახვით დაასნებოვნეს დიფტერიის ჩხირით, მაგრამ სხვა ცხოველებისგან განსხვავებით, რომელთაც არ გაუმართლათ, ის ცოცხალი დარჩა. მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ჯიმის ორგანიზმმა გამოიმუშავა ანტისხეულები, რომლებიც შეებრძოლნენ დაავადებას. ამ ექსპერიმენტმა სპეციალისტებს მისცა დიფტერიის საწინააღმდეგო შრატის შექმნის საშუალება, ჯიმი კი ისტორიაში შევიდა, როგორც სამედიცინო საოცრება, რომელმაც მილიონობით ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა.



## ჩეკერსი — ძაღლი, რომელმაც თავისი პატრონის პოლიტიკური კარიერა გადაარჩინა

1952 წლის 23 სექტემბერს იმხანად სენატორმა რიჩარდ ნიქსონმა აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ცნობილი და გულში ჩამწვდომი სიტყვა წარმოთქვა. არჩევნებში ნიქსონი იყო ვიცეპრეზიდენტის პოსტის კანდიდატი, თუ პრეზიდენტი **დუაიტ ეიზენჰაუერი** იქნებოდა.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ნიქსონი უკანონო შემოწირულების მიღებაში დაადანაშაულეს. თავის გამოსვლაში მან უარყო ბრალდება და განაცხადა, რომ ერთადერთი საჩუქარი, რომელიც მან წინასაარჩევნო კამპანიისას მიიღო, იყო კოკერ-სპანიელის ჯიშის ლეკვი. სწორედ „ჩეკერსზე სიტყვის“ წყალობით დარჩა ის რესპუბლიკურ პარტიაში ეიზენჰაუერის მეწყვილედ, შემდეგ კი საპრეზიდენტო არჩევნებშიც გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ 23 სექტემბერი აშშ-ში გამოცხადებულია პოლიტიკაში ძაღლის დღედ, რომელიც, აგრეთვე, ცნობილია, როგორც ჩეკერსის დღე.



## მაიმუნი, რომელიც ბერძნებს სძულთ

ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაჩაღებული ორი წარმატებული ომის შემდეგ საბერძნეთმა ლიდერის პოზიციები დაიკავა საბერძნეთ-ოსმალეთის ომში და ტერიტორიას ტერიტორიაზე იპყრობდა (1919-1922). ბერძენმა სამხედროებმა ხელში ჩაიგდეს ფრაკიის დიდი ნაწილი, მცირე აზია და დაიწყეს მზადება კონსტანტინოპოლში (სტამბოლი) შესაჭრელად და ამ ქალაქის გასათავისუფლებლად ოსმალების 500-წლიანი ოკუპაციისგან, მაგრამ ბრმა შემთხვევის გამო ბერძნების სამხედრო კამპანიის ლიდერი დაიღუპა — **ალექსანდრე I-ს** სამეფო ბაღში სეირნობისას უკბინა მაიმუნმა და სისხლის მოწამვლის გამო 3 კვირის შემდეგ გარდაიცვალა. მისი სიკვდილიდან 2 წლის შემდეგ, ბერძნების მიერ დაშვებული შეცდომების შედეგად, ძლევამოსილი სამხედრო კამპანია ეროვნულ კატასტროფად გადაიქცა, მაიმუნი კი ბერძნებისთვის — ყველაზე საძულველ ცხოველად.



## ობობა, რომელმაც რობერტ I აღაფრთოვანა

შოტლანდიის სახელგანთქმული მონარქი, დამოუკიდებლობისთვის თავისი ქვეყნის გმირული დაცვის ორგანიზატორი ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, **რობერტ I ბრუსი** ბევრისთვის ცნობილია ფილმით „მამაცი გული“, მაგრამ, სანამ შოტლანდიის გმირი გახდებოდა, ბრუსმა რამდენიმე დამამცირებელი და მძიმე პერიოდი გადაიტანა, რომელთა გამოც 1306 წლის ზამთარში იძულებული შეიქნა, დამალულიყო გამოქვაბულში კუნძულ რატლინზე. ლეგენდის თანახმად, ის აკვირდებოდა ობობას, რომელიც ფართო გამოქვაბულში ქსოვდა ქსელს, ობობას მიერ მოქსოვილი ქსელი ხშირად წყდებოდა. ამის მიუხედავად, ჯიუტი მწერი თავისი საქმის კეთებას ყოველდღე განაგრძობდა, სანამ ქსელმა საკმაო სიმტკიცე არ შეიძინა. რობერტი ისე აღაფრთოვანა ობობის შეუპოვრობამ, რომ გამოუკეთდა გუნება-განწყობა და მიიღო გადაწყვეტილება, ბოლომდე ებრძოლა სამშობლოს გასათავისუფლებლად.

## ასტრონავტი შიმპანზე ჰემი



შიმპანზეს ჰემი დაარქვეს ჰოლომანის საავიაციო-კოსმოსური ცენტრის პატივსაცემად და პოპულარობა მოიხვეჭა. ამერიკაში ჟურნალ „ლაიფის“ გარეკანზეც კი მოხვდა მას შემდეგ, რაც 1961 წლის 31 იანვარს ჩასვეს კოსმოსურ ხომალდ „მერკური-რედსტოუნ-2“-ში და კოსმოსში გაუშვეს კანავერალის კონცხიდან. გაფრენის წინ ჰემს შეასწავლეს სინათლის სიგნალზე ბერკეტის გადაწევა. ბრძანების ზუსტად შესრულებისთვის მას ბანანით აჯილდოებდნენ, ხოლო თუ შეცდებოდა, დაბალი ძაბვის დენი ურტყამდა თათზე. შიმპანზე შესანიშნავად ასრულებდა დავალებას. ჰემი იყო პირველი ცხოველი, რომელმაც დავალებები შეასრულა კოსმოსური ხომალდის სივრცეში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**„ლეო მესისთვის საჯარიმო დარტყმები პენალტივით არის“, — დაწერა სოციალურ ქსელში ბრაზილიის ნაკრებისა და ლივერპულის „ლივერპულის“ მეკარე ალისონმა, რომელსაც მესიმ მე-600 გოლი გაუტანა „ბარსელონის“ მაისურით. „განცვიფრებული ვარ — მესისთვის საჯარიმოს დარტყმა, პრაქტიკულად, პენალტია... საჯარიმოს წინ მას 10 ბურთი რომ მისცე და დაარტყმევინო, 11-ს გაიტანს“, — ეს განცხადება კი „ლეგანესის“ მწვრთნელ ხავიერ აგირეს ეკუთვნის.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საჯარიმო დარტყმა, როგორც პენალტი

## მესიმ საჯარიმო დარტყმებით იმაზე მეტი ბურთი გაიტანა, ვიდრე «იუვენტუსმა» და «რეალმა»

**ფეხბურთის არგენტინელმა ჯადოქარმა ლიონელ მესიმ 9 ნოემბერს ვიგოს „სელტასთან“ მატჩში ჰეთ-თრიკი შეასრულა (სულ 34-ე) და 3 გოლით გაამდიდრა თავისი მონაგარი. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მესიმ 3-დან 2 ბურთი-შედევრი საჯარიმო დარტყმებით (ორივე დაახლოებით 23 მეტრიდან) გაიტანა. მესის ანგარიშზე „ბარსელონის“ მაისურით ამჟამად სულ 608 გოლია, მათგან 52 საჯარიმო დარტყმით გაიტანა.**

„ლეო მესისთვის საჯარიმო დარტყმები პენალტივით არის“, — დაწერა სოციალურ ქსელში ბრაზილიის ნაკრებისა და ლივერპულის „ლივერპულის“ **მეკარე ალისონმა**, რომელსაც მესიმ მე-600 გოლი გაუტანა „ბარსელონის“ მაისურით.

„განცვიფრებული ვარ — მესისთვის საჯარიმოს დარტყმა, პრაქტიკულად, პენალტია... საჯარიმოს წინ მას 10 ბურთი რომ მისცე და დაარტყმევინო, 11-ს გაიტანს“, — ეს განცხადება კი „ლეგანესის“ მწვრთნელ **ხავიერ აგირეს** ეკუთვნის.

დღეს ეს შეიძლება ვილაცას გაუკვირდეს, მაგრამ კარიერის სტარტზე მესის საჯარიმო დარტყმის შესრულებას არ ანდობდნენ. 2004-დან 2008 წლამდე, როდესაც ლეომ მე-19 ნომერი მე-10-ზე გაცვალა და ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა, მის მიერ გატანილი 42 ბურთიდან არც ერთი არ გაუტანია საჯარიმო დარტყმით. სტანდარტების შესრულების ოსტატები იმხანად იყვნენ, რა თქმა უნდა, **რონალდინიო** და **ჩავი**.

სწორედ ამასთან არის დაკავშირებული 2005 წლის ისტორია: იმხანად „ბარსელონის“ საფეხბურთო აკადემია „ლა მასიის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს იღებდნენ სარეკლამო რგოლში და თითოეულს უნდა წარმოეთქვა ფრაზა **„დაიმახსოვრეთ ჩემი სახელი“**, შემდეგ კი შეესრულებინა რამე დასამახსოვრებელი. ლეო იყო ბოლო და ყველაზე სტატუსიანი გმირი. საზოგადოებას მან სთხოვა თავისი სახელის დამახსოვრება და საჯარიმო ზუსტად „9-იანში“ დაარტყა. ეს გაუკვირდა ბევრ მწვრთნელს, რომლებიც მესის ავარჯიშებდნენ.

„ლა მასიაში“ მას ასეთი დარტყმები არ შეუსრულებია, — იხსენებდა ლეოს პარტნიორი აკადემიაში — **როჟერ ჟირომი.** — ხშირად ურტყამდნენ **ვიქტორ ვასკესი** და **ხუანხო კლაუსი,** მესი — არასოდეს“ (კლაუსი ამჟამად ესპანეთის მეოთხე დივიზიონში თამაშობს, ვასკესი — ყატარის „ალ-არაბიში“).

მესის საჯარიმოს დარტყმას ასწავლიდა თვით **დიეგო მარადონა.** მან მოულოდნელი მასტერ-კლასი ჩაუტარა 2009 წლის თებერვალში მარსელში, როცა არგენტინის ნაკრები თამაშობდა საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ (2:0). წინასამატჩო შეკრებაზე მესი ხვეწდა საჯარიმო დარტყმას და იმედგაცრუებული იყო, რადგან მიზანს ვერ არტყამდა. „დიეგო მივიდა მასთან, მხარზე ხელი გადაჰხვია და უთხრა: „ლეო, ძვირფასო, ლეო! სცადე კიდევ ერთხელ“, მომისმინე, ბურთს ფეხი სწრაფად არ მოაშორო, თორემ ის ვერ გაიგებს, რა გსურს, — იხსენებდა არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი **ფერნანდო სინიორინი,** — ამის შემდეგ დიეგომ ბურთი ზუსტად გაგზავნა კარის კუთხეში. მესი აღტაცებული იყო“.

ფეხბურთის ბევრი სპეციალისტის აზრით, მესის დაეხმარა მსაჯების მიერ თეთრი ქაფის გამოყენება ე.წ. ცოცხალი კედლის აღმართვისას — ახლა მან ყოველთვის იცის მანძილი კედლამდე. ამას გარდა, ადრე საჯარიმოს დარტყმისას მესი სრულიად არ დგამდა საყრდენ ფეხს მინდორზე — მხოლოდ მის გარე ნაწილს.

ამის გამო ის შედარებით ნაკლებად აკონტროლებდა სხეულის მოძრაობას. ახლა კი ის ფეხს მთლიანად დგამს გაზონზე, სანამ დაარტყამს, ამას გარდა დარტყმის შესრულების წინ მას მხარი მიაქვს წინ.

თვითონ მესი ამბობდა, რომ პენალტზე იოლია საჯარიმოს დარტყმა, რადგან ასეთ შემთხვევაში გოლს მაინცდამაინც არავინ ელის. „საჯარიმოს შესრულებისას გოლს იშვიათად ელიან, იმიტომ, რომ შეიძლება გავიდეს, შეიძლება — არა!“

ახლა კი მისგან გოლს ნამდვილად ყველა ელის.

* 2006-07 წლების სეზონის შემდეგ საჯარიმო დარტყმებით მესიზე მეტი (33) ბურთი არავის გაუტანია, არც **კრიშტიანო რონალდუს** (29), არც **ანდრეა პირლოს** (16). ამ პერიოდში მესიმ გოლად აქცია საჯარიმო დარტყმების 10% (35 გოლი 347 დარტყმიდან), რონალდუს სიზუსტე 6,4%-ია.

* ამჟამად მესის დარტყმების სიზუსტე 50%-ია, 3 გოლი 6 დარტყმიდან.

* ბოლო 8 სეზონში მესიმ უამრავი გოლი გაიტანა. მსოფლიოს 5 საუკეთესო კლუბზე მეტი:

**მესი — 29 გოლი**
**„იუვენტუსი“ — 27**
**„რეალი“ — 23**
**„ლიონი“ — 21**
**„რომა“ — 21**
**„პსჟ“ — 20.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





ბრაზილია - არგენტინა. დანი ალვეში ღმერთს სთხოვს, მესის დარტყმა არ გამოუვიდეს



მარადონას მასტერკლასი




### სად გააქვს მესის საჯარიმოებიდან დარტყმის შემდეგ




### საიდან გააქვს მესის საჯარიმოები



## სანთელი

# ნუგზარ ქავთარაძე



**ხვალ, 21 ნოემბერს უკანასკნელ გზაზე გავაცილებთ ნუგზარ ქავთარაძეს... ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, პატარა ბიჭი, როცა ერთი, ლეგენდად მოარული ნამდვილი ამბის ლამის მთავარ გმირად მოგვევლინა.**

ეს მოხდა მაშინ, როცა სტალინის ეპოქის დამთავრების შემდეგ **ვასილ მჟავანაძე** რესპუბლიკის ხელმძღვანელად მოავლინეს. პარტიის ცეკამ საქართველოს პროკურატურაში კადრების წმენდის გადაწყვეტილება მიიღო. საკითხი ბიუროზე გაიტანეს. მიიწვიეს პროკურორები, მათ შორის ნუგზარის მამაც — **კონსტანტინე ქავთარაძე.** მისი რიგი რომ დადგა, მჟავანაძემ განაჩენივით გამოუცხადა:

— არის აზრი, რომ თქვენ თანამდებობიდან გაგათავისუფლოთ.

— ნუგზარს გეფიცებით, ცუდი აზრი მოგსვლიათ, — არ დააყოვნა პასუხის გაცემა კოწია ქავთარაძემ.

როგორც ჩანს, ვასილ პავლოვიჩი მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა არაორდინალურ პიროვნებასთან და ამხანაგ ქავთარაძისთვის ხელი არავის უხლია.

მამას აღმერთებდა ნუგზარი.

სიცოცხლის ბოლომდე.

ჰოდა, მაშინ პირველად გაიჟღერა ნუგზარ ქავთარაძის სახელმა უმაღლეს დონეზე და შემდეგ რესპუბლიკის უმაღლეს ეშელონებში გამორჩეულად დამკვიდრდა.

სახელით და საქმეებით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ახალგაზრდული ორგანიზაციის პირველკაცობიდან და რაიონული კომიტეტის პირველი მდივნობიდან დაწყებული რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებში — შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მინისტრთა საბჭოს აპარატში ხელმძღვანელ თანამდებობებამდე.

შინაგან საქმეთა თბილისის ქალაქის სამმართველოს უფროსად მუშაობის პერიოდში რეალურად შეწყდა ქრთამის აღების მავნე და გამხრწნელი პრაქტიკა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, როცა პირველივე თვის ბოლოს „განსაკუთრებული ნდობით" აღჭურვილმა თანამშრომელმა ნუგზარ ქავთარაძეს საუფროსო წილი — ფულით სავსე „ქეისი" მიუტანა.

ის „ქეისი" თავზე გადაამტვრია.

ვერ გეტყვით, მაშინ თუ მანამდე ავტოინსპექტორებმა მილიონი მანეთი შეაგროვეს ქავთარაძის თავიდან მოსაცილებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

გაუგონარი პრინციპულობით გამოირჩეოდა, სიმართლის დასაცავად თავი ჰქონდა გადადებული.

ყოველთვის.

ქალაქის სინდისი უწოდა მას საქართველოს პატრიარქმა თავის დროზე.

მისი შეურყვნელი ავტორიტეტიც აქედან მოდის და მისდამი ალალი დამოკიდებულებაც.

სიკეთის ქმნა სისხლში ჰქონდა გამჯდარი. უშურველი იყო ყოველთვის. ჯერ კიდევ სტუდენტმა, როცა თანაკურსელს თვალის დაავადება გაურთულდა, ხელი მოჰკიდა, ოდესაში, ფიოდოროვის თვალის კლინიკაში ჩაიყვანა და თავად აკადემიკოსს, ვისთან მოხვედრასაც რიგში მდგომი პაციენტები წლობით ელოდნენ, ოპერაცია ოპერატიულად გააკეთებინა.

ისიც კარგი კაცი იყო, ფიოდოროვი — XX საუკუნის ლეგენდარული ოფთალმოლოგი, მსოფლიოში სახელგანთქმული თვალის მიკროქირურგი — სვიატოსლავ ნიკოლაევიჩი, გაღლეტილ ქართველ სტუდენტებს ასე რომ დაეხმარა.

საოცრად მტკიცე ხასიათი და გულჩვილობა ორგანულად იყო ნუგზარ ქავთარაძეში შერწყმული. გაგელიმებათ და, ბიჭობაში, ცოტა ზედმეტის დალევა რომ მოგვიწევდა, საბურთალოზე, ახლა ქავთარაძის ქუჩა რომ არის, იქ ფერდობზე თბილისში გარდაცვლილი გერმანელი ტყვეების სასაფლაოზე (ამჟამად ყველა გერმანიაშია გადასვენებული) თვალცრემლიანები შესანდობარს ვეუბნებოდით იმ უბედურებს.

გვთამადობდა, რა თქმა უნდა, ნუგზარი...

„სადაურსა სად წაიყვან<br>სად აღუფხვრი სადით ძირსა".

წავიდა.

ქალაქს დააკლდაო, იტყვიან ხოლმე ამ დროს.

ოჯახს დააკლდაო, ამასაც ამბობენ.

დატოვა ოჯახი მისი მზრუნველობით წელში გამართული:

ლალი გუჯაბიძე — მეუღლე, ჯანმრთელობის ცენტრის ხელმძღვანელი;

კონსტანტინე ქავთარაძე — უფროსი შვილი, საქართველოს ელჩი კანადაში;

გიორგი ქავთარაძე — შვილთაგან საშუალო, იურიდიული ფირმის დამფუძნებელი;

სალომე ქავთარაძე — უმცროსი ქალიშვილი, ოჯახით აშშ-ში ჩასახლებული.

დავიწყება არ უწერია, თუნდაც ამიტომ.

იმიტომაც, რომ იყო სამართალმცოდნეთა შორის აღიარებული იურისტი, იუსტიციის გენერალი, ღირსების ორდენოსანი, მამულიშვილი და საქართველოს სახელმწიფოს ცნობილი მოღვაწე.

ხუთნი ვიყავით, განუყრელები. სტუდენტობიდან მოყოლებული: მურმან კიკნაველიძე, სუხიშვილების ანსამბლის სოლისტი. კაკლის ბერტყვის დროს უფროსი ვაჟი ხიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. ვერ გადაიტანა. გადაჰყვა. პირველი მურმანი წავიდა.

მეორე წავიდა ვიქტორ შარაშენიძე, იუსტიციის მინისტრი, რომელიც ეროვნულ მოძრაობას მიკედლებულმა ბინძურმა ადამიანებმა თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.

ზურაბ გაბუნია, თბილისის ისნის რაიონის მოსამართლე, მოურჩენელი სენით დაავადდა და საშინლად განაწამები გარდაიცვალა ორიოდ წლის წინათ.

ახლა — ნუგზარიც.

მე ბოლოსთვის მომიტოვეს, ამ სტრიქონების დასაწერად.

ალბათ.

**არმაზ სანებლიძე**



# თენგიზ დუმბაძე ბელარუსის პარლამენტის დეპუტატია

**გასულ კვირას, 17 ნოემბერს, ბელარუსში მორიგი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა.**

110-ე პარტიზანების საარჩევნო ოლქში მინსკელებმა ნდობა გამოუცხადეს და დეპუტატად აირჩიეს ქართველი ჟურნალისტი, ამჟამად ბელარუსის მოქალაქე, ბათუმელი **თენგიზ დუმბაძე.**

ვულოცავთ ბატონ თენგიზს ამ საპატიო გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ მის საპასუხისმგებლო საქმიანობაში!

**„საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია**

# დემოკრატია ამერიკულად

**აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა უილიამ ბარმა განაცხადა, რომ „ბოლო დროს შეიცვალა თეთრი სახლისა და აშშ-ის კონგრესის დაპირისპირების ხასიათი, და ბრალი დასდო პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ცდილობენ „ადმინისტრაციის საქმიაჰნობის საბოტაჟს", — იუწყება Washington Examiner.**



„ტრამპის მოწინააღმდეგეები ისე ლაპარაკობენ „წინააღმდეგობის გაწევაზე", თითქოს საქმე ეხება „საოკუპაციო სამხედრო ხელისუფლების" წინააღმდეგ ბრძოლას, ანუ საკუთარ თავს „ლოიალურ ოპოზიციად" კი არ მიიჩნევენ, არამედ ომის მონაწილეებად".

„პოლიტიკური დღის წესრიგისთვის საფუძვლის გამოცლის ასეთი მცდელობა არც ერთი სხვა პრეზიდენტის მოღვაწეობისას არ მომხდარა, — განაცხადა გენერალურმა პროკურორმა და დასძინა, რომ დღეს „შეირყა ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა".

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# სერბეთსაც მიადგნენ



საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების საკითხებში აშშ-ის ელჩი — სემ ბრაუნზეკი სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქ ირინეი სერბელს ეწვია. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამერიკის ელჩი სერბეთში — ენტონი გოდფრი და მისი თანაშემწე.

**შეხვედრის თემის შესახებ საპატრიარქო არ იუწყება, მაგრამ მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ უთუოდ ისაუბრეს სერბეთის პატრიარქ პავლეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი დამოკიდებულების შესახებ.**

ანალოგიური შეხვედრა გაიმართა ათენისა და სრულიად ელადის არქიეპისკოპოსის მიერ მოწვეული სინოდის საგანგებო სხდომის წინა დღით. შეხვედრა ისე სასწრაფოდ დაინიშნა, რომ სინოდის რამდენიმე წევრმა ჩასვლა და დასწრება ვერ მოახერხა. სხდომის შედეგი ცნობილია — უკრაინის „რასკოლნიკური" ეკლესიის აღიარება.

საბერძნეთისა და სერბეთის პარალელურად, აშშ ბალკანეთის სხვა ქვეყნებსაც სტუმრობს. ოქტომბერში აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მაიკ პომპეო** ჩრდილოეთ მაკედონიაში ჩავიდა და იქაც რასკოლნიკების მხარდასაჭერად „იქადაგა". იყო ოხრიდშიც, სადაც იქაურ „მაკედონიის მართლმადიდებელი ეკლესიის" (ესეც „რასკოლნიკურია") არქიეპისკოპოს **სტეფანე ველიანოვსკის** ესაუბრა.

უფრო ადრე კი, როგორც საბერძნეთის მართლმადიდებელი სააგენტო Romfea იუწყება, პომპეო ეწვია ჩერნოგორიას, სადაც სერბეთის ეკლესიას ჩერნოგორიის პრობლემები აწუხებს. წლეულს, მარტში, ახლო აღმოსავლეთში ყოფნისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა შეხვედრა გამართა ბეირუთელ მიტროპოლიტ **ილიასთან** (ანტიოქიის საპატრიარქო).

მიმომხილველებმა ეს ვიზიტი შეაფასეს, როგორც აშშ-ის მორიგი მცდელობა, გათიშოს ერთ-ერთი უძველესი ადგილობრივი მართლმადიდებელი ანტიოქიის ეკლესია.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894